

#3, 2020

სკოლის მართვა



საპროტოკოლო ბავშვების
ფსიქოლოგიის, კულტურის
და სპორტის სამსახური



მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

გია მურღულია

მსოფლიო პანდემიამ განათლების სფეროს პარადიგმა მთელ მსოფლიოში ახალი რაკურსით წარმოადგინა – დისტანციური სწავლება ზოგადად სასწავლო პროცესის არსებითი ნაწილი გახდა.

ამ მიმართულებით ყველგან გააქტიურდა მუშაობა. ცხადია, საქართველოშიც შეიქმნა საინტერესო გამოცდილებაც და ახალი პროექტებიც, რომლებიც მასშტაბურ და საინტერესო ტრადიციას ქმნიან. ამ თვალსაზრისით, კარგი მაგალითია, „ტელესკოლა“, რომელიც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით, საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა (პირველმა არხმა) შესთავაზა სკოლის მოსწავლეებსა და მთლიანად ჩვენს საზოგადოებას.

რა თქმა უნდა, საკუთრივ სკოლებიც არ სხედან გულ-ხელდაკრეფილნი. ისინი საგანგებოდ ემზადებოდნენ (და ემზადებიან) ახალი სასწავლო წლისთვის – ფიქრობენ, მსჯელობენ და ახალ შესაძლებლობებსა თუ საგანმანათლებლო პროდუქტებს ქმნიან შექმნილ ვითარებაში წარმატების მისაღწევად.



ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი სკოლის ხელმძღვანელებს სწორედ თანამედროვე გამოცდილების შედეგად პრობლემათა გააზრებისა და გადაწყვეტის მაგალითებს სთავაზობს.

რა თქმა უნდა, ვეხებით სასკოლო განათლების მუდმივად აქტუალურ თემებსაც.

სკოლის მართვა

#3, 2020

გამომცემელი – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; გამოცემა მოამზადა საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციამ.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, სანდრო ელის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედაქციის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიებში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

მთავარი რედაქტორი:
გია მურღულია

სარედაქციო კოლეგია:

ბერიკა შუპაკიძე

განათლების დოქტორი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

ნატალია ინგოროყვა

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო-საგანმანათლებლო და მეთოდური რესურსების პროგრამის მენეჯერი

არჩილ სუმბაძე

„ბაქსუდის საერთაშორისო სკოლა – თბილისის“ დირექტორი

ავთანდილ აბდუშელიშვილი

სკოლა „შავნაბადას“ დირექტორი

გიორგი ვახეაძე

ევროპული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი ჭანდუჩიანი

კოალიციის „განათლება ყველასთვის“ დირექტორი

კორექტორი:
მაია ნიკლაური

დიზაინერი:
ბესიკ დანელია

ISSN 1512-0279

www.tpdc.ge

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა

3

ბერიკა შუკაკიძე

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემის პრინციპები

განათლების კვლევა

7

გიორგი ჭანტურია

სასკოლო განათლების ისტორია – 1990-2020: პროცესის აღწერა

სკოლის ადმინისტრირება

12

თამარ გურგენიძე

სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსი და მისი ფინალისტები

16

კახაბერ ფარცვანია

საგანმანათლებლო რესურსცენტრი –
სასკოლო ცხოვრების ხელშეწყობი რგოლი

20

შორენა ხუხუა

კანდემიით გამოწვეული პრობლემები და
რეკომენდაციები არაქართულენოვანი სკოლებისთვის

საერთაშორისო გამოცდილება

24

ნინო გაგელიძე

ზოგადი რეკომენდაციებიდან „სკოლებში დაბრუნების“
კონკრეტულ სტრატეგიებამდე

განათლების ხარისხის მართვა

32

თამარ კაპანაძე

მიდგომები განათლების ხარისხისადმი

ჰუმანიტარული განათლება სკოლაში

46

ჯონ აპდაიკი

ხვალ, ხვალ და კიდევ ხვალ
თარგმნა ნანა ბუხრაძემ

ბერიკა შუაკაძე

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი



მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემის პრინციპები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა შექმნის მომენტიდან რამდენჯერმე შეიცვალა. უკანასკნელ ხანს, სპეციალური კვლევის შედეგად, ჩამოყალიბდა ამ დოკუმენტის ახალი ფუძემდებლური პრინციპები, რომელზე დაყრდნობითაც სქემა თვისებრივად განსხვავებულ სახეს იძენს. შემოთავაზებული წერილი კონკრეტულად ასახავს ცვლილებათა მიზნებსა და ლოგიკას.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემის შემოღების რაციონალი დაეფუძნა ძველი ვერსიის დანერგვით მიღებული შედეგების კვლევას. კერძოდ, ჩვენი ცენტრის კვლევის სამსახურმა იმუშავა 19 ფოკუსჯგუფთან. გამოვკითხეთ მასწავლებლები და განათლების ექსპერტები. დავადგინეთ ძირითადი ტენდენციები.

ახალი სქემის მოდელი დავაფუძნეთ რამდენიმე არსებით პრინციპზე/პოსტულატზე:

- **დეცენტრალიზაცია** – მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიმართულებების განსაზღვრაში ძირითადი მოთამაშე სკოლის დონეზე შექმნილი საშუალო რგოლის მენეჯმენტი (ხარისხის მართვისა და თანამშრომლობის ჯგუფი) ხდება. შეუძლებელია კონკრეტული მასწავლებლის საჭიროებები მასწავლებლის სახლის დონეზე დადგინდეს. ეს ყველაზე ეფექტურად სკოლას შეუძლია გაიაზროს. მხოლოდ ასეთი ტიპის დიაგნოსტიკების შემდგომ შეიძლება შეიმუშაოს მასწავლებლის სახლმა ანდა რეგისტრი-

რებულმა გარე პროვაიდერმა (დეცენტრალიზაციის პროგრამის სრულად ამოქმედების შემდგომ) შესაბამისი ტრენინგმოდულები. თუმცა, ჩვენი პოზიციაა, რომ მასწავლებლების პროფესიული განვითარება შესაძლებელია სკოლის ბაზაზეც. მაგალითისთვის, თუ სკოლას ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებელი, რატომ არ შეიძლება რომ გადაამზადოს თავისი კოლეგები? მან ხომ უფრო კარგად იცის კონკრეტული მასწავლებლის და ხშირად სკოლის მოსწავლეთა და თემის საჭიროებები. ამის პარალელურად, ყოველთვის იქნება ისეთი მიმართულებები, რომელთა განვითარებაზეც მუდმივად უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო. მაგალითად, ინკლუზია, სასკოლო უსაფრთხოება, ტექნოლოგიები, კვლევა და სხვა.

■ **პრაქტიკული, შედეგზე ორიენტირებული მიდგომა** – მასწავლებლების მიერ შესასრულებელი საქმიანობები სრულად იქნება ფოკუსირებული საკლასო ოთახზე, მოსწავლეთა საჭიროებებზე. კვლევამ გვიჩვენა, რომ მასწავლებელთა გარკვეული (არცთუ მცირე ოდენობა) ნაწილი დიდწილად ორიენტირებული იყო სქემით გათვალისწინებული აქტივობების ფორმალურ შესრულებაზე და ხშირად ამ აქტივობებს არ ჰქონდა პოზიტიური გავლენა კლასზე. ისე არ გამოგვივიდეს, რომ წინა სქემა უვარგისი იყო და ახალი მოაგვარებს სისტემაში არსებულ პრობლემებს. წინა ვერსიამ შეასრულა თავისი მოვალეობა და სანამ ის მორალურად გაცვეთილ დოკუმენტად იქცეოდა, მანამდე შეცვალეთ.

■ **ნდობა** – ეს პრინციპი, გარკვეულწილად, პირველის (დეცენტრალიზაცია) ნაწილად შეიძლება მოვიაზროთ. როცა წამყვანი ქვეყნების სისტემებს ვადარებთ, ხშირად ამკარაა, როგორი მაღალია ნდობა სისტემის სხვადასხვა დონეებს შორის. განსაკუთრებით კი ეს სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს შორის იგრძნობა. დეტალურად შევისწავლეთ შვეიცარიის, ფინეთის, ავსტრალიის, აშშ-ს (არიზონა, აიოვა და ნებრასკის შტატები), ლატვიისა და ესტონეთის მაგალითები. განსაკუთრებით საინტერესო იყო ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნების (ლატვიისა და ესტონეთის) სკოლების გამოცდილება. ჩვენ სკოლებში და ზოგადად საზოგადოებაში ამ მიმართულებით ბევრი გვაქვს სამუშაო. სქემის ახალი ვერსია სახელმწიფო დონეზე დეკლარირებულად აცხადებს, რომ სასკოლო საზოგადოებამ უნდა ისწავლოს და პასუხისმგებლობა

აილოს სკოლის მოვლა-პატრონობაზე. ამის მიღწევა სისტემაში მოქმედ აქტორებს შორის ნდობის გარეშე წარმოუდგენელია. პირველ რიგში, ეს ნაბიჯი იერარქიაში მაღლა მდგომმა უწყებებმა უნდა გადადგან. ორი წლის განმავლობაში ჩვენ პრაქტიკაში ვნახეთ, როგორი მოტივირებული არიან საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსები, სკოლის დირექტორები და მასწავლებლები, როცა ხედავენ ჩვენი ცენტრის მხრიდან კოლეგიალურ დამოკიდებულებას და, რაც მთავარია, საერთო მიზნის მისაღწევად ერთობლივი ქმედების სურვილის. დიდია ალბათობა, რომ ნდობის ესტაფეტა სკოლის დირექტორიდან მასწავლებელსა და მოსწავლეს გადაეცემა.

■ **სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ჰარმონიზაცია** – საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ერთ-ერთი გამოწვევა წლების განმავლობაში, სისტემის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას შორის დისონანსი იყო. ბოლო წლებში ბევრი სამუშაო ჩატარდა ამ მხენე პრაქტიკის გამოსასწორებლად. კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეროვნული სასწავლო გეგმების სამსახურის, მასწავლებლის სახლისა და ეროვნული გამოცდების ცენტრის ჰარმონიზაცია. ახალი სქემა სრულად ფოკუსირებულია „ახალი სკოლის მოდელის“ გაძლიერებასა და წარმატებულ დანერგვაზე. უფრო მეტის სურვილს ტოვებს ზემოთ ნახსენები სამი უწყების საგნობრივი ექსპერტების თანამშრომლობა. პროცესი დაწყებულია და, წინა წლებთან შედარებით, მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორებულია.

■ **მასწავლებლის პროფესიის განმაპირობებელ დოკუმენტებთან შესაბამისობა** – ახალი სქემის შემუშავებამდე, გადაიხედა და უფრო პრაქტიკაზე ორიენტირებული გახდა მასწავლებლის სტანდარტი. ამის შემდგომ მოხდა ამ ორი დოკუმენტის (ახალი სქემა და სტანდარტი) ჰარმონიზაცია.

რაც შეეხება სქემის ახალი ვერსიის დეტალებს.

■ სქემით განისაზღვრება მასწავლებლის სამი სახის სტატუსი :

- უფროსი მასწავლებელი;
- წამყვანი მასწავლებელი;
- მენტორი მასწავლებელი;

■ გაუქმდა კრედიტქულები და მისი დაგროვების სისტემა;



- მასწავლებლები აქტივობებს განახორციელებენ მხოლოდ: ე.ს.გ-ის ფარგლებში (თემატური ერთეულის შექმნა (მატრიცა) და თემატური ერთეულის ფარგლებში (რეფლექსია, საგაკვეთილო დაკვირვება და ა.შ.).
- ყველა სკოლა ვალდებულია, შეიმუშაოს ხარისხის მართვისა და მონიტორინგის საკუთარი სისტემა;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება გახდა სავალდებულო:
 - სკოლის ბაზაზე იქმნება ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფები. დირექტორი ან ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროცესს და მის საქმიანობას. კერძოდ, აკვირდება წლის განმავლობაში: უფროსი მასწავლებლის

- 3 გაკვეთილს, წამყვანი მასწავლებლის 2 გაკვეთილს, მენტორი მასწავლებლის 1 გაკვეთილს. პერიოდულად უკუკავშირს აძლევს მასწავლებელს, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს აფასებს მის საქმიანობას (დაადგენს მასწავლებლის საქმიანობის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს) და აძლევს განმავითარებელ შეფასებას;
- სავალდებულოდ განისაზღვრა, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ან დადგენილი წესის შესაბამისად აღიარებული ტრენინგ კურსის/კურსების გავლა ან პროფესიული განვითარების სხვა აქტივობის/აქტივობების განხორციელება მასწავლებელთა საჭიროების შესაბამისად:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა

- უფროსი მასწავლებელი გაივლის ტრენინგს - მინიმუმ 20 საკონტაქტო საათი;
 - წამყვანი მასწავლებელი გაივლის ტრენინგს - მინიმუმ 12 საკონტაქტო საათი;
 - მენტორი მასწავლებელი გაივლის ტრენინგს - მინიმუმ 6 საკონტაქტო საათი;
- ან განახორციელებენ პროფესიული განვითარების სხვა აქტივობას/აქტივობებს.
- წინსვლა ხდება მხოლოდ გარე მექანიზმებით;
 - წინსვლისთვის აუცილებელია, რომ უფროს/წამყვან მასწავლებელს საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული ჰქონდეს მინიმუმ 50%-იანი შედეგით (ხარისხის უზრუნველსაყოფად);
 - უფროსი/წამყვანი მასწავლებელი წინსვლას ახორციელებს „კომპლექსური შეფასებით“. („კომპლექსური შეფასება“ მოიცავს: შესაბამისი სტატუსის გამოცდას პროფესიულ უნარებში (naec), გარე დაკვირვებას, მასწავლებლის მიერ თემატური ერთეულის ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილის შემდგომ რეფლექსიას (თვითშეფასებას), სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებას (ინტერვიუება) და პორტფოლიოს შეფასებას (tpdc). დაკვირვებას ახორციელებს 2 ექსპერტი (მეტი ობიექტურობისთვის).
 - მასწავლებლის პორტფოლიო ფასდება მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, რომელიც განთავსებული უნდა იყოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში – eschool.emis.ge ან ელექტრონული სისტემა) არსებულ ელექტრონულ პორტფოლიოში **მასწავლებლის შეხედულებებისამებრ**;
 - წამყვანი/მენტორი მასწავლებლის სტატუსის შესაბამისი პროფესიული უნარების გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ პირი გადალახავს გამოცდის წარმატებით ჩაბარებისთვის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დაწესებულ ზღვარს. პირს გამოცდაზე მიღებული შედეგი **უნარუნდება 3 წლის განმავლობაში**. შესაბამისად, პირს უფლება აქვს აღნიშნული 3 წლის განმავლობაში გაიაროს კომპლექსური შეფასების პრაქტიკული ნაწილი;
 - განისაზღვრას სპეციალური მასწავლებლის სტატუსები და მათი განვითარებისა და წინსვლის მექანიზმები.
- არაქართულენოვანი სკოლებისთვის:
- არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების პრაქტიკოსი მასწავლებელი 2022-2023 სასწავლო წლის ბოლომდე ინარჩუნებს პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს;
 - 2023 წლამდე არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სექტორების პრაქტიკოსი მასწავლებელი უფროსი მასწავლებლის სტატუსს მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ დააკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:
 - ა) 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებამდე დადასტურებს საგნობრივ კომპეტენციას და პროფესიულ კომპეტენციას 10-10 კრედიტულაზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საგნობრივი და პროფესიული კომპეტენცია 7-7 კრედიტულაზე აქვს დადასტურებული, მას უფლება ექნება დარჩენილი კრედიტულები შეივსოს ტრენინგით/ტრენინგებით და დააგროვოს 19 კრედიტულა;
 - ბ) გაივლის (ან გავლილი აქვს) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სსიპ-მურაბ ჟვანიას სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ქართული ენის კურსს ან წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს და ნაწილობრივ დადასტურებს საგნობრივ კომპეტენციას (1, 4, 7 ან 10 კრედიტულაზე). მას უფლება მიეცემა, გაიაროს პროფესიული უნარების გრძელვადიანი ტრენინგ-კურსი, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი.
 - იმ მასწავლებლებს, რომლებიც ასწავლიან რუსულენოვან სკოლებში/სექტორებზე რუსულს, როგორც მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, ჩაბარებული ან ნაწილობრივ დადასტურებული აქვთ პროფესიული უნარებისა და რუსულის, როგორც უცხო ენის გამოცდა და მოპოვებული აქვთ ან 2023 წლამდე მოიპოვებენ წინსვლისთვის საჭირო 19 კრედიტულას, მიენიჭებათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი.
- როგორც სქემის ახალი ვერსიის დეტალების გააზრება გვიჩვენებს, მასში გათვალისწინებულია პედაგოგთა კორპუსის შენიშვნები და რეკომენდაციები; შესაბამისად, ის მისაღებია, ქმედითი და შედეგზე ორიენტირებული.

გიორგი ჭანტურია

განათლების კოალიციის
დირექტორი



სასკოლო განათლების ისტორია – 1990-2020: პროცესის აღწერა

სტატიაში განხილულია ნაშრომის „სასკოლო განათლების ისტორია: 1990-2020“ შემუშავების პროცესი. ავტორები მოგვითხრობენ, თუ რატომ გადაწყვიტეს ამ ნაშრომზე მუშაობა, როგორ მიმდინარეობდა სამუშაო პროცესი და რა სამომავლო გეგმები არსებობს ამასთან დაკავშირებით.

„სასკოლო განათლების ისტორია: 1990-2020“ – ასე ეწოდება იმ ნაშრომს, რომელიც მე და ჩემმა მეგობრებმა შევიმუშავეთ. სხვათა შორის, 2019 წელს, როდესაც ჯერ კიდევ საველე სამუშაოებზე ვიყავით გასულები, ამ ჟურნალში გამოქვეყნდა კვლევის ერთ-ერთი ავტორის, მერი ქადაგიძის სტატია (2019 წლის 29 დეკემბერი, N4), რომელშიც მოკლედ არის მიმოხილული ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტიკის 30 წლიანი ისტორია საქართველოში.

აქედან გამომდინარე და კიდევ იმიტომ, რომ, როგორც იქნა, დავასრულეთ ნაშრომზე მუშაობა, აღნიშნულ სტატიაში მოგითხრობთ სამუშაო პროცესის „ისტორიას.“ თუმცა, როგორც კვლევაში, აქაც იქნებიან თანაავტორები და ჩემი მეგობრების გამოთქმულ მოსაზრებებსაც მოვიშველიებ.

დავიწყოთ სულ თავიდან. 2016 წელს შევუერთდი განათლების კოალიციას და აქტიურად დავიწყე მუშაობა სასკოლო განათლების მიმართულებით. დამეთანხმებით, არის ამ სისტემაში ბევრი ისეთი რამ, რაც გაცუბას იწვევს. „რამეში“ პრობლემებს ვგულისხმობ, გაცუბაში კი – მათ მოუგვარებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წლების

განმავლობაში სისტემაში არსებობს პრობლემები, რომელზეც თითქოს ყველა ვთანხმდებით, რომ მოსაგვარებელია, მაგრამ მაინც მოუგვარებელი რჩება.


ანალოგიურად, სულ მიკვირდა, როდესაც ვმსჯელობდით სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე, მაგრამ ხელთ არ გვექნოდა სათანადო ინფორმაცია, კონკრეტული მონაცემები ან საკითხი უბრალოდ შესწავლილიც არ იყო. არადა, როდესაც თემაზე მუშაობ, შეუძლებელია საბაზისო საკითხების არცოდნა. პრინციპში, ბევრჯერ მომისმენია ისეთი გამონათქვამიც, როგორცაა „ჯერ დაწყები ხარ, მალე მიეჩვევი“. მიუხედავად ამისა, მსგავსი მდგომარეობა დღემდე უცნაურია ჩემთვის.

ზუსტად ასეთი მიმართულება აღმოჩნდა განათლების ისტორიაც. რეალურად, განათლების სფეროს სპეციალისტები, ექსპერტები, გადაწყვეტილების მიმღები პირები ყოველთვის საუბრობენ ამ საკითხზე და საკმაოდ ხშირად მანიპულირებენ კიდევ. თუმცა, რამდენჯერაც ვცადე, მომეძიებინა მასალები სასკოლო განათლების ისტორიის შესახებ, მხოლოდ რამდენიმე კვლევაში თუ აღმოვაჩინე ძალიან ზოგადი ინფორმაცია ან საერთაშორისო პროექტების ანალიზში თუ იყო კონკრეტული მიმართულება გაანალიზებული.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ეს თემა, ბოლო წლებია, ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გახდა. უკანასკნელ წვეთად კი იქცა ერთი შეხვედრა, რომელზეც ითქვა, რომ ჩვენ, ანუ საზოგადოებამ, არც კი ვიცით, როგორ ვითარდებოდა სასკოლო განათლების სისტემა საქართველოში.

ამ შეხვედრიდან მეორე დღესვე, ჩემს კოლეგას და მეგობარს მერი ქადაგიძეს ვუთხარი, რომ ამ მიმართულებით უნდა დაგვეწყო მუშაობა. ერთობლივად ჩამოვაყალიბეთ გეგმა-პროექტი. პირველი ნაბიჯი მცირე ფოკუს-გუფის ორგანიზება იყო, რომლის მიზნად განათლების სპეციალისტების მოსაზრებების მოსმენა განისაზღვრა, კვლევის პერსპექტივისა და საჭირო რესურსების შესახებ. ამის შემდგომ, დავიწყეთ მხარდამჭერების მოძიება. იმ პერიოდში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე ვსწავლობდი და სწორედ კოლეგებთან თანამშრომლობით დავიწყეთ პირველადი სამუშაოების განხორციელება.

დასაწყისშივე ვიცოდით, რომ რესურსი ძალიან ცოტა იყო, გეგმა კი – საკმაოდ ამბიციური. მიუხედავად ამისა, მაქსიმალურად ვეცადეთ არც ერთი წყარო არ დავგვე-



ტოვებინა შეუსწავლელი. ყველაზე საინტერესო იყო განათლების სამინისტროს არქივში მუშაობა. საბოლოო ჯამში, რამდენიმე თვე გავატარეთ არქივში, რომელიც ყველაზე დიდ ფართს იკავებს სამინისტროს შენობაში და სადაც განთავსებულია 2000 წლიდან არსებული თითქმის ყველა დოკუმენტი. 2000 წლამდე ინფორმაცია ეროვნულ არქივში ინახება; შესაბამისად, გარკვეული პერიოდი იქაც ვიმუშავეთ. ჩემი აზრით, კვლევის ზუსტად ეს ნაწილი იყო ყველაზე საინტერესო, როგორც თავგადასავლის, ასევე ინფორმაციის კუთხით.

ამის პარალელურად, გავაკეთეთ ე.წ. სამაგიდო კვლევა და შევეცადეთ ყველა იმ თემატურ დოკუმენტებსა თუ საკანონმდებლო ინფორმაციას გავცნობოდით, რისი გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი იყო.

დაბოლოს, ჩავიწერეთ ინტერვიუები თითქმის ყველა დაინტერესებულ მხარესთან, დაწყებული გადაწყვეტილე-

ბის მიმღები პირებითა და განათლების სპეციალისტებით, დამთავრებული მასწავლებლებით, დირექტორებითა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

კვლევის ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით ინტერვიუებისას, მიმყარდებოდა ის განცდა, რომ ძალიან დიდი ინტერესი ამ საკითხისადმი. ყველა რესპონდენტი თუ ადამიანი, რომელიც შეიტყობდა ამ კვლევის შესახებ, გამოხატავდა შესამჩნევ ინტერესსა და სურვილს, რომ გასცნობოდა საბოლოო ნაშრომს.

ახლა გადავიდეთ მეორე ნაწილზე – რატომ არის მნიშვნელოვანი აღნიშნული კვლევა, რა არის გამორჩეული მის შინაარსში და რა განვითარება შეიძლება ჰქონდეს ნაშრომს. ამ კითხვებზე, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ჩემი კოლეგები, უპასუხებენ:

რატომ არის მნიშვნელოვანი სასკოლო განათლების ისტორიის კვლევა:

გიორგი მელიქაძე (კვლევის თანაავტორი): „ჩემი აზრით, ნებისმიერი ისტორიის დანიშნულება ისტორიის ობიექტის (იმის, რის შესახებაც არის ისტორია) შესახებ საზოგადოებრივი კონსენსუსის შექმნა ანდა გამყარებაა. თავის მხრივ, საზოგადოებრივი მნიშვნელობის კონკრეტული საკითხის მიმართ გარკვეული დოზით საზოგადოებრივი კონსენსუსის არსებობა, ამ საკითხზე მიმართული კოლექტიური ძალისხმევის ეფექტიანობის წინაპირობაა.

სიმარტივისთვის მაგალითი მოვიყვანოთ: ისტორიული ნარატივის გავრცელება, რომელიც საერთო იქნებოდა ვრცელ ტერიტორიაზე გაბნეული მოსახლეობისთვის (რომელსაც კომუნიკაცია და უშუალო კონტაქტი, შესაბამისად, საზიარო „ამბავი“, რომელიც ერთად გადახდა თავს, იშვიათად ან არასდროს ექნებოდა), მისი წარმოშობის ეტაპზე, ბეჭდური მედიისა და ცენტრალიზებული სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება იყო, რაც ერი-სახელმწიფოების წარმოშობის წინაპირობა გახდა. სწორედ ამას ვგულისხმობთ (ან უნდა ვგულისხმობდეთ), როცა მაგალითად, ილია ჭავჭავაძეს, მისი ღვაწლიდან გამომდინარე, „ქართული ერის მამას“ ვუწოდებთ.

იმისთვის, რომ საქმიანობის ნებისმიერი სფერო, მასში ჩართული ადამიანების ძალისხმევით, კონკრეტული მიმართულებით პროგრესირებდეს, პირველ რიგში, იმ

რეალობის ინტერპრეტირების ძლიერი ინსტრუმენტებია საჭირო, რომელზეც აღნიშნული სფეროა მიმართული. თუმცა, ასეთი ინსტრუმენტების არსებობის პირობებშიც, პერსპექტივა და, შესაბამისად, ინტერპრეტაცია მრავალია, რაც, შესაძლოა, საპირისპირო ეფექტის მომტანი იყოს, თუკი ამ რეალობის ძირითადი ფაქტებისა და გარემოებების შესახებ გარკვეული კონვენციები არ იარსებებს. ისტორიაც, გარკვეულწილად, კონვენციურია და ფუნქციურად მისი დანიშნულება სწორედ გარკვეული მიმართულებით პროგრესისთვის საყრდენის როლის შესრულებაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი განათლების პოლიტიკის ისტორიის დოკუმენტური ფორმით არსებობა და ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია, რათა გაჩნდეს ერთგვარი კონვენციური ქვაკუთხედი განათლების სფეროში მომუშავე პროფესიონალებისთვის და კონსენსუსი იმ საგანმანათლებლო რეალობის შესახებ, რომლის გაუმჯობესებისთვისაც ისინი იღვწიან.

ისტორიის მნიშვნელობის გამოსაკვეთად, ორი სიტყვით უნდა ითქვას ისტორიის ფორმების შესახებაც. პირობითად სამი ტიპი გამოვყოთ: მონუმენტური, ანტიკვარული და კრიტიკული. თითოეულ ტიპს თავისი სარგებელი და საფრთხეები ახლავს. **მონუმენტური** ისტორია წარსულის დიადი მოვლენებისა თუ პიროვნებების გამოკვეთით, კონკრეტული ღირებულებების გადაცემას და მომავლის შთაგონებას ემსახურება, თუმცა აღმატებულსა და საგმიროზე ფოკუსირებით, ის ხშირად ჩქმალავს და უკუაგდებს შედარებით მიწიერ ანდა ისეთ ისტორიულ ფაქტებს, რომლითაც თავს ვერ მოვიწონებდით. **ანტიკვარული** ისტორია წარსულის ფაქტების პრაქტიკულ აპლიკაციას კი არ ცდილობს, არამედ თავად ისტორიის, როგორც ასეთის, მნიშვნელოვნებას უსვამს ხაზს (ისტორია ისტორიისთვის, history for its own sake) – საერთო წარსულს და მის მიმართ მიკუთვნების განცდას, როგორც სიმყარის და საზოგადოებრივი სტაბილურობის წინაპირობას. მეორე მხრივ, ასეთი ისტორია აჩენს რისკს, რომ ნაცნობი წარსული ყოველთვის უცნობ მომავალზე აღმატებული, უკეთესი და ნაკლებად საფრთხის შემცველი მოგვაჩვენოს, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა განვითარებას აფერხებდეს. **კრიტიკული** ისტორიას რაც შეეხება, მეცნიერული იმპერატივით ის წარსულის გადასინჯვას ახდენს და იმის გამორკვევას ემსახურება, მომავალი კეთილდღეობისთვის წარსულის პროცესთა თუ მოვლენათა განრომლის გაგრძელება ან განმეორება იქნე-

ბოლოდამართებული და რომლის უკუგდება გვმართებს, როგორც დროსთან შეუსაბამოსი ან დამაზიანებლის. თუმცა, აქვე, მიუხედავად იმისა, რომ წინა ორტიპთან შედარებით, კრიტიკული ისტორიის უპირატესობა, გარკვეულწილად, თვალშისაცემად გვეჩვენება, იგი შესაძლოა ძირს უთხრიდეს იმ სარგებელსა და სიკეთებს, რასაც დანარჩენი ორი ტიპი გვთავაზობს – საზოგადოებას „დავიწყება“ და „მითებიც“ ესაჭიროება, რაც ასე ხშირად არის ერთ-ერთი აგური იმ კონსენსუსისა და კონვენციების საძირკველში, რომელთა მნიშვნელოვნებაზეც ზემოთ ვსაუბრობდით.

სფეროში მიმდინარე მოვლენები დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე და გამოკვეთოს ის პროცესები, რომელმაც, სხვადასხვა დროს, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პოლიტიკის შექმნასა და განვითარებაზე. სწორედ ამიტომ, მიმაჩნია რომ ნაშრომი მნიშვნელოვანი იქნება არა მხოლოდ დარგის სპეციალისტებისა და განათლების სფეროს წარმომადგენლებისთვის, არამედ ყველა იმდამიანისთვისაც, ვინც დღეს სხვადასხვა პლატფორმიდან თუ სოციალური როლიდან გამომდინარე ურთიერთქმედებს სისტემასთან და ცვლის მას.



„ლიბერალის“ ფოტო

ჩემი აზრით, განათლების და, ამ შემთხვევაში, ზოგადი განათლების ისტორიაშიც ზემოხსენებული პრინციპების უგულვებლყოფა არ შეიძლება. განათლების ისტორიის დოკუმენტური ფორმით არსებობაც განათლების სფეროსთვის და შესაბამისად, საზოგადოებისთვის არსებითია იმდენად, რამდენადაც ქმედითი და მნიშვნელოვანია პრინციპები, რომლებსაც ისტორიის ზემოხსენებული ტიპები აერთიანებს და ემსახურება.

მერი ქადაგიძე (კვლევის თანაავტორი): სასკოლო განათლების ისტორიის კვლევა პირველი მცდელობაა, თანმიმდევრულად აღწეროს ზოგადი განათლების

რას გამოვარჩევდი შინაარსიდან? რა იყო საინტერესო?

გიორგი მელიქაძე: პირადად ჩემთვის თვალშისაცემია თუ რამდენად რეაქციულია ქართული ზოგადი განათლების პოლიტიკა. რეფორმები, გადაწყვეტილებები, აქცენტების მონაცვლეობა ძირითადად მხოლოდ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ველში არსებული დაძაბულობის გამოძახილი და მასზე რეაქციაა, ხშირად დაგვიანებულიც, რის გამოც ის ხშირად ამავე ველში ექოსავით მიიღევა და მას რაღაც ახალი ანაცვლებს. სფეროს პროფესიონალებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების

გუნდური მოქმედება და შეთანხმება საერთო პრინციპებზე, რომელზეც პოლიტიკური რყევების მიუხედავად უარი არ ითქმება, იშვიათად შეიმჩნევა. ერთადერთ გამონაკლისად 2003 წელს მთავრობის ცვლილების შემდგომ ხანმოკლე პერიოდი მესახება (სანამ პოლიტიკური სიტუაცია ისევ აირეოდა და ძალაუფლებით თამაში განახლებოდა), როცა გამოჩნდა, რომ რეფორმები შინაგანად იყო მოტივირებული, საფუძვლად კონკრეტული ხედვები ედო – გუნდმა იცოდა, რა უნდოდა (მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არა მათ ამ პრინციპებსა თუ ხედვებს). აქვე უნდა აღინიშნოს, თუ რამდენად თვალშისაცემია განათლების სფეროზე პოლიტიკური ძალაუფლების ველის გავლენა (ძირითადად, უარყოფითი) – იგივე, რამაც ზემოხსენებული პათოსი თვალსა და ხელს შუა ააორთქლა.

მერი ქადაგიძე: ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო იმ კონტექსტის წარმოდგენა, რომელშიც საქართველო და მათ შორის განათლების სისტემა იმყოფებოდა 1991-1998 წლებში და სასტარტო პირობების გააზრება, რომლიდანაც დაიწყო ახალი საზოგადოების, ახალი სახელმწიფოს და ახალი სკოლის ფორმირება. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით კონტრასტულია ერთი ნაშრომის ფარგლებში ვაგონებში არსებული სკოლების აღწერა და მეორე მხრივ დისტანციური სწავლების გამოწვევებზე მსჯელობა. სწორედ ამ კონტრასტებისა და ცვლილებების ანალიზის შემდეგ, მკაფიო გახდა, რომ სისტემა, მიუხედავად გამოწვევებისა, იცვლება და ვითარდება, თუმცა რამდენადაც მკაფიოა პროგრესი, იმდენადვე აშკარად ჩანს, ისიც, თუ სად უნდა ვიყოთ ან სად უნდა ვყოფილიყავით, რომ არასისტემური, პოლიტიკური სოციალური რყევები და რეფორმის ქაოტური და არასისტემური ხასიათი, რაც ყველა პერიოდის პოლიტიკის ფორმირების (ჯერჯერობით) უცვლელი ელემენტია.

რა განვითარება შეიძლება კომუნალ-აღნიშნულ კვლევას?

გიორგი მელიქაძე: კვლევის გაგრძელების კუთხით, ორი ძირითადი მიმართულება მესახება: კვლავ მოცემულ პერიოდში ჩაღრმავება და კონკრეტული საკითხების უფრო ძირეულად გამოკვლევა, ანდა ვექტორის უფრო წარსულისკენ მიმართვა – საბჭოთა პერიოდი და მანამდე,

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი, როცა საქართველოში პირველი სკოლები ჩნდება.

დასრულებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისი კრიტიკის ქარცეცხლში გატარება აუცილებელია – ამის გარეშე, მე პირადად პროდუქტს დასრულებულის სტატუსს ვერ მივანიჭებდი. იგი თავისივე კრიტიკასთან ერთად უნდა არსებობდეს. სასურველია, აღნიშნული კრიტიკის დოკუმენტირებაც მოხდეს – კრიტიკული აზრების ერთ პლატფორმაზე თავმოყრა – იქნება ეს ონლაინ, ბეჭდური, კონფერენციის ოქმის თუ ვიდეოჩანაწერის სახით. ასევე, აუცილებელია დოკუმენტის პრეზენტაცია განათლების მიმართულების მაგისტრანტებისა და დოქტორანტების წინაშეც გაკეთდეს. სასურველია, აღნიშნული მასალის განათლების მიმართულებით უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირებაც.

მერი ქადაგიძე: აღნიშნული ნაშრომი ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯია და იმედი მაქვს, მნიშვნელოვან პოზიტიურ როლს ითამაშებს სასკოლო ისტორიის შესწავლის კუთხით. ასევე, წაახალისებს ნაშრომში წარმოდგენილი მიმართულებებისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ სამეცნიერო კვლევითი პროექტების შექმნას და ამ მიმართულების განვითარებას აკადემიურ სივრცეებში.

შეჯამებისთვის, უნდა ითქვას, რომ ნაშრომისადმი ინტერესი საკმაოდ დიდია. პირველ რიგში, ეს ინტერესი გვაქვს ჩვენ – მის ავტორებს. იმედი გვაქვს, რომ საკმაოდ დიდი გამოხმაურება იქნება და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მივესალმებით ყველანაირ კონსტრუქციულ კრიტიკას – ამის იმედიც გვაქვს.

დაბოლოს, კვლევითი დოკუმენტის პირველადი პრეზენტაცია დაგეგმილია 19 სექტემბერს, სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის პრეზენტაციაზე. ნაშრომის წარდგენის ღონისძიება უკვე ამის შემდგომ, სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბერში გაიმართება.



თამარ გურგენიძე

პროექტის
„სკოლის ლიდერობის
ეროვნული კონკურსი“
კომუნიკაციის მენეჯერი

სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსი და მისი ფინალისტები

2019 წელს განათლების კოალიციამ სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსი გამოაცხადა. აღნიშნულის შესახებ ჟურნალშიც გამოქვეყნდა სტატია. თუმცა, სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა და პანდემიის ფონზე, ხსენებული კამპანიის სტრატეგიაში არაერთი ცვლილება შევიდა. მიუხედავად ამისა, კამპანია საკმაოდ წარმატებულად ხორციელდება და დღესდღეობით 10 ფინალისტი, 10 სკოლის 10 საგანმანათლებლო ლიდერი გვყავს. სტატია სწორედ ამ ადამიანების მკითხველთათვის გაცნობას ისახავს მიზნად.

სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსი ქართული სკოლის განვითარების იდეას და პრესტიჟის ზრდას ემსახურება. ის მიზნად ისახავს, გამოავლინოს ჩვენი დროის საუკეთესო დირექტორები, გააცნოს ისინი საზოგადოებას და უფრო აქტიურად ჩააბას განათლების პოპულარიზაციის საქმეში. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლის ეფექტიანი ფუნქციონირება, მეტწილად, დირექტორზე დამოკიდებული, მისი საქმიანობის წარმოჩენა და კარგი პრაქტიკის გაცნობა საკმაოდ მნიშვნელოვან საქმედ მიგვაჩნია.

კონკურსი რამდენიმე ეტაპისგან შედგება: პირველ ეტაპზე დაინტერესებული საჯარო სკოლის დირექტორები წარმოადგენენ აპლიკაციებს, რომელშიც აღწერენ საკუთარ საქმიანობას. მეორე ეტაპზე გადასულ განაცხადებს კი საბჭოს წევრები შინაარსობრივად აფასებენ და უმაღლესი ქულების მქონე 10-მდე ფინალისტი (10 სკოლა) ესწრება ორდღიან სამუშაო სემინარს. ამის შემდგომ კვალიფიციური და მაღალი სანდოობის მქონე პირებისგან დაკომპლექტებული საბჭო ეცნობა დირექტორის საქმიანობის შედეგებს, იღებს უკუკავშირის სასკოლო საზოგადოების მხრიდან და ავლენს გამარჯვებულებს.

მიმდინარე წელს დაჯილდოების ცერემონიალი სექტემბრის თვეში გაიმართება. კონკურსის შედეგად გამოვლინდება გრანპრის და ორი სპეციალური პრიზის მფლობელი. გრანპრის მფლობელ დირექტორს პრიზის სახით გადაეცემა 5000 ლარი, ხოლო სკოლას კონკრეტული პროექტის განსახორციელებლად – 30000 ლარი. სპეციალური პრიზის მფლობელ დირექტორებს გადაეცემათ 2000-2000 ლარი. მათი სკოლების მხარდაჭერის ერთიანი ფონდი კი 25 000 ლარს შეადგენს.

გაიცანით 2020 წლის საუკეთესო ათი დირექტორი:

ინა ბინაძე – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლის დირექტორი. მას მიაჩნია, რომ საგანმანათლებლო და სოციალურ პროექტებში ჩართულობა, გრანტების მოზიდვა, ტექნოლოგიების სწავლების განვითარება, პროფესიონალ კადრებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა არის თანამედროვე სკოლის წარმატების გზა. იგი ითვალისწინებს სასკოლო თემის ყველა რგოლის ინტერესებსა და საჭიროებებს. მის სკოლაში განსაკუთრებით წახალისებულია მშობელთა და მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივები, თანამშრომლობითი

კულტურის დამკვიდრება. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი, რათა მან საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციასთან ერთად კულტურის ცენტრის მოვალეობაც შეასრულოს.

ლენა გომართელი – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლის დირექტორი. მას მიაჩნია, რომ დირექტორი უნდა ხელმძღვანელობდეს ჰუმანურობის, სამართლიანობის, თანასწორობისა და ტოლერანტობის პრინციპებით. მისი დირექტორობის პერიოდში სკოლამ მოიპოვა 80 000 ლარამდე საგრანტო დაფინანსება. ჩამოყალიბდა 9 სასკოლო კლუბი, დაინერგა პროფესიული სწავლება 7 მიმართულებით. კლუბები თანამშრომლობენ სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებში. მისი მხრიდან წახალისებულია კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს მასწავლებლების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას.

მორის დანდურიშვილი – ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი. მისი მართვის სტილი – საგანმანათლებლო ლიდერობაა. ის მუდმივად ზრუნავს სკოლის განვითარებაზე, სასწავლო პროცესის ეფექტიან



აღმავალი-
კატარა აკადემიის
ფონდი



ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი



KPMG





ინა ბინაძე



ლენა გომართელი



მორის დანაშვილი



მარინა ისაკოვა



გელა მაჭარაშვილი

მართვაზე, პროფესიულ განვითარებაზე, მშობლებთან და საზოგადოებასთან ეფექტიან კომუნიკაციაზე. მისი დირექტორობის პერიოდში მოწესრიგდა სკოლის ინფრასტრუქტურა, მოეწყო თანამედროვე ბიბლიოთეკა, კომპიუტერებით აღიჭურვა საინფორმაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია, მოეწყო რესურს-ოთახი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის; 55%-ით გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა. გაიზარდა მოსწავლეთა მიღწევები როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე, საერთაშორისო – გაცვლით პროგრამებში.

მარინა ისაკოვა – ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის დირექტორი. ძირითადი ღირებულებები, რომელსაც ემყარება მისი მართვა, გულისხმობს სკოლაში უსაფრთხო, თანასწორუფლებიანი და ინკლუზიური გარემოს არსებობას, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. მან სკოლაში წარმატებით განახორციელა სახელმწიფოებრივი თუ საგრანტო პროექტები, ამ პროექტების დამსახურებით სკოლას აქვს თანამედროვე სენსორული, საბუნებისმეტყველო, კომპიუტერული ლაბორატორია, ელექტრონული ბიბლიოთეკა; სკოლა სრულიად რეაბილიტირებულია და აქვს საუკეთესო ინფრასტრუქტურა, რაც ხელს უწყობს მასწავლებლების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას, ხოლო მოსწავლეებს უქმნის მათ ინტერესებზე მორგებულ სასწავლო გარემოს.

გელა მაჭარაშვილი – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლის დირექტორი. მისი, როგორც სკოლის დირექტორის მთავარი პრინციპია გუნდური მუშაობა, მუდმივი ზრუნვა თანამშრომლობითი გარემოს შექმნაზე, ინოვაციური მიდგომები, მართვის თანამედროვე და გაბედული სტილი. სკოლას აქვს მრავალ საგრანტო პროექტში მონაწილეობისა

და გამარჯვების პრაქტიკა. სკოლაში გაძლიერებულია სპორტის სწავლება, ფუნქციონირებს სპორტული წრეების ხვადასხვა სახეობაში, გამოჩენილია ძალოსნობის სექცია; სკოლაში ასწავლიან მოწვეული მწვრთნელები. სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზნით, სკოლაში დანერგილია მოსწავლეების მიერ პროექტების, ინიციატივების, იდეების წარდგენის, განხილვის, შეფასების, მოსწავლეთა წახალისებისა და გამარჯვებული პროექტების დაფინანსების სისტემა.

ვარდენ ნიქაბაძე – მამია ფანცულაიას სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის N2 საჯარო სკოლის დირექტორი. მისი აზრით, კარგი სკოლა გაბედული ადამიანებისგან შემდგარი გუნდია, რომელიც არ უშინდება სიახლეებსა და გამოწვევებს. იგი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე განათლების სისტემის მოწყობა. სასწავლო და მართვის პროცესში, ეფექტიანად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. ასევე, მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია თითოეული თანამშრომლის პროფესიული განვითარება. ისეთი პროექტები, როგორცაა – დისტანციური სწავლების სისტემა Google Classroom სასწავლო და სკოლის ადმინისტრირებისათვის, სასწავლო პროცესის ელექტრონული შეფასების სისტემა, სკოლის ფოკუსირებული შეფასება, მოსწავლის ქოუჩინგი, ერთი მხრივ, საშულებას იძლევა თვისობრივად ამაღლდეს საქმიანობის ხარისხი, მეორე მხრივ, საშულებას აძლევს მასწავლებლებსა და სკოლის თანამშრომლებს განვითარდნენ პროფესიულად და მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები.

მიმოზა ლოლიჯაშვილი – გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის დირექტორი. ურთიერთთანამშრომლობითი კულტურა, გაზარებული ლიდერობა, გუნდურობა და ფუნქციების სწორად დელეგირება – მისი სკოლის წარმატების წინაპირობაა.



ვარდენ ნიჟაბაძე

მიროზა დოლიჯაშვილი

ნინო ნიჭიანი

მამუკა ხამხაძე

შორენა ხუხუა

იგი პატივს სცემს განსხვავებულ აზრს, არ იღებს ერთპიროვნულ, უპირობო გადაწყვეტილებებს და რთავს სასკოლო საზოგადოებას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესში. სკოლას მესამე წელია მემორანდუმი აქვს გაფორმებული კოლეჯ „განთიადთან“, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეებში შრომითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, მომავალი პროფესიის არჩევას; სწავლა-სწავლების გაუმჯობესების მიზნით, მან, თანამოაზრეთა ჩართულობით, გააძლიერა არაფორმალური განათლება და სკოლაში დანერგა პროექტული და კლუბური სწავლება, რამაც შექმნა მოსწავლეებში ორიენტირებული სასწავლო გარემო.

ნინო ნიჭიანი – წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარეთის საჯარო სკოლის დირექტორი. მისთვის მნიშვნელოვანია სკოლის უსაფრთხო გარემო, თანამშრომლებისა და მოსწავლეების უსაფრთხოება. თანამშრომლობს ოჯახებთან და თემის წარმომადგენლებთან, მუდამ ღიაა სიახლეებისთვის, აღიარებს და აფასებს წარმატებას. მისთვის პრიორიტეტია მოსწავლე, მოსწავლის სწორი ფსიქო-ფიზიკური განვითარება, დაცულობის განცდა და მოტივაცია წარმატების მისაღწევად, მართებული ორიენტირები და აქცენტები თანამედროვე, განვითარებული, წარმატებული მოქალაქის ჩამოყალიბებისთვის. ეხმარება მოსახლეობასა და თემს სოციალური პროექტების მართვაში, მუშაობს გენდერული თანასწორობისა და ქალთა ინტეგრაციის მიმართულებით.

მამუკა ხამხაძე – ქალაქ რუსთავის N4 საჯარო სკოლის დირექტორი. იგი ცდილობს, ყოველდღიურ რუტინაში არ დაკარგოს უმთავრესი მიზანი – მოსწავლე და მასწავლებელი და რაც შეიძლება მეტი დრო დაუთმოს ადამიანებთან ურთიერთობას, აღმოაჩინოს და წახალისოს ინოვაციური იდეები და საქმიანობები; მასწავლებლები და არწმუნოს იმაში, რომ მათ შეუძლიათ

სასიკეთოდ შეცვალონ თითოეული ბავშვის მომავალი. მისი ძალისხმევით სასკოლო გარემო ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, მათში მართებული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასა და გუნდურ მუშაობაზე. სკოლაში მუდმივად მიმდინარეობს ცვლილებები ორი მიმართულებით: სასწავლო პროცესის მოდერნიზების, ახალი პედაგოგიური მიდგომების, საინტერესო გაკვეთილებისა და კოორდინირებული სწავლების კუთხით.

შორენა ხუხუა – ქალაქ მარნეულის N2 საჯარო სკოლის დირექტორი. ის სიტუაციური ლიდერია. მისი მართვის პრაქტიკა ცვლილებებით მიმდინარეობს: მართვის მონიტორინგული სტილიდან ნდობაზე დაფუძნებულ მართვასა და ლიდერობის ფუნქციების დელეგირებაზე. დღეისათვის მარნეულის მეორე საჯარო სკოლაში გამორჩეული ატმოსფეროა, რომელიც მიმზიდველია მარნეულელი მოსწავლეებისთვის და მათი მშობლებისთვის. ასეთი სასკოლო კულტურა თანდათან გადაიქცა თითოეული თანამშრომლის ცხოვრების წესად, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით. მისი ლიდერობით ქ. მარნეულის მეორე სკოლა გადაიქცა ერთგვარ ქცევათა მოდელად, რასაც ეფექტიანი ზეგავლენა აქვს მთელი ქალაქის, რეგიონის ცხოვრების წესის შეცვლასა და გაჯანსაღებაზე.

კონკურსს ახორციელებს განათლების კოალიცია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით. პროექტის გენერალური სპონსორია გუდავაცხე-პატარკაციშვილის ფონდი. სხვა მხარდაჭერები არიან: კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) „თიბისი“, ტელეკომპანია იმედი, KPMG Georgia და მარკეტინგული კომპანია „4media“.

სკოლის მართვა



კახაბერ ფარცვანია

**ზუგდიდის
რესურსცენტრის უფროსი**

საგანმანათლებლო რესურსცენტრი – სასკოლო ცხოვრების ხელშეწყობი რგოლი

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს, რესურსცენტრის, ფუნქციების ჯეროვან შესრულებას სასკოლო ცხოვრების მართვის ორგანიზების თვალსაზრისით, სერიოზული მნიშვნელობა აქვს. შემოთავაზებული წერილი შესაძლებლობას გვაძლევს, გავცნოთ ერთ-ერთი ასეთი ორგანოს მუშაობას.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეფექტურ საქმიანობას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. მათ შორის მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ აღნიშნული სამინისტროს თითოეული ინიციატივა და მიზანი საყოველთაოა.

სამინისტროს ყოველი წამოწყება და იდეა გათვალისწინებულია თითოეული სკოლისთვის, თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. სწორედ ამ მიზნით, ტერიტორიული ორგანო – საგანმანათლებლო რესურსცენტრი იღებს პასუხისმგებლობას ნაკისრ ვალდებულებაზე, რომ საგანმანათლებლო რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველა სკოლისათვის.

ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების შესახებ მეტ-ნაკლებად ყველას აქვს გარკვეული სახის ინფორმაცია. ჩვენი მიზანია, წინამდებარე სტატიაში, კერძო მაგალითებისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე, უფრო ფართოდ და მკაფიოდ ვთქვათ, კონკრეტულად რას წარმოადგენს, რა ფუნქცია-მოვალეობები აკისრია და რა ინიციატივები

აქვს ჩვენი სამინისტროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორგანოს – საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრები, დასახული მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებისას, ხელმძღვანელობენ საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულებით. ასევე, მათ აქვთ თავისი შინაგანაწესი და სამუშაო გეგმა, რომელიც არეგულირებს რესურსცენტრის აპარატის საქმიანობას.

ჩვენს ფუნქცია-მოვალეობებს შორის მნიშვნელოვანია საჯარო სკოლებში მიმდინარე პროცესების ზედამხედველობა, მხარდაჭერა და კონსულტირება. ვაკვირდებით საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესსა და გარემოს, ვაფასებთ აღნიშნულს და ვადგენთ ანგარიშებს, რათა ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია/საანალიზო მასალა განათლების სამინისტროს წარვუდგინოთ. ეს პროცესი ხელს უწყობს საჯარო სკოლების საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი და სხვა პროგრამებისა და პროექტების განხორციელებაში შევეუწყოთ ხელი, დავაკვირდეთ მათ და გავცეთ შესაბამისი რეკომენდაციები.

საგანმანათლებლო რესურსცენტრი აძლევს თითოეულ მასწავლებელსა და მოსწავლეს შესაძლებლობას, მიიღონ ინდივიდუალური დახმარება არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსის ფარგლებში. ხდება შეხვედრები მასწავლებლებთან, მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასა და მასში განხორციელებული ცვლილებების განხილვასთან, მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოსთან, ასევე, სისიტემაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი და სხვა პროგრამების, პროექტების განხორციელების ხელშეწყობა/მონიტორინგი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კონსულტირება ეროვნული სასწავლო გეგმის ადმინისტრაციულ ნაწილთან დაკავშირებით; საჯარო სკოლების მიერ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის დანერგვისა და გაძლიერების, სამინისტროს მიერ სახელმწიფო ენის განვითარებისა და გავრცე-

ლების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების, სპეციალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.

რესურსცენტრი აქტიურად მონაწილეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში; შესაბამისად, ხორციელდება თანამშრომლობა მულტიდისციპლინური გუნდის წარმომადგენლებთან. ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტს მიეწოდება ინფორმაცია საჯარო სკოლებში დასაქმებული სპეციალური მასწავლებლების შესახებ. პირადად ჩვენი რესურსცენტრის ერთ-ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის ბიუროს მიერ დაფინანსებული პროექტის „გენდერული ძალადობის პრევენცია და რეაგირების გაძლიერება დევნილთა თემებში საქართველოში“ ხელშეწყობა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეას“ და ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვებთან“ ერთად განხორციელდა..

იმისათვის, რომ ჩვენი საქმიანობის შედეგები დროული და ეფექტური იყოს, აუცილებელია: ტრენინგების, სემინარებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადამიანური რესურსების განვითარებაზე ზრუნვა; პროფესიულად მნიშვნელოვანი რესურსების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდება; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა როგორც საგნობრივი, ისე – სკოლის მართვის მიმართულებით.

სკოლამდელი განათლების მხარდაჭერა უნდა იყოს პრიორიტეტი ყველა რესურსცენტრისათვის და ეს ასეცაა! ვფიქრობთ, რომ სკოლამდელი განათლების წარმომადგენელთა მხარდაჭერა რესურსცენტრის მიერ მნიშვნელოვანია და, შესაბამისად, ამ მიმართულებით ვახორციელებთ რიგი სახის პროექტებს.

ჩვენი როლი მნიშვნელოვანია, აგრეთვე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ სტუდენტთა რეგისტრაციის ხელშეწყობაში, რაც სახელმწიფო

სკოლის ადმინისტრირება

სასწავლო გრანტით დაფინანსების მისაღებად ხორციელდება სოციალური პროგრამის ფარგლებში.

თითოეული სკოლა, მოსწავლე თუ მასწავლებელი მუდმივად სიახლის ძიების პროცესში უნდა იყოს. ყოველი მათგანი მკვლევარია, რომელსაც გვერდში დგომა სჭირდება. ვცდილობთ, შესაბამისი ღონისძიებების გატარებით, სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალი პროგრამების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგვას შევუწყოთ ხელი, იმისათვის, რომ განათლების სამინისტროს პოლიტიკა გატარდეს, აუცილებელია, განათლების სფეროში მოქმედ საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა. ეს პროცესი ორმხრივია, თუმცა მთავარი ინიციატორი ვართ ჩვენ.

შესაბამისად, მნიშვნელოვანი მოვალეობები და ინიციატივები ჩვენს სახელთან არის დაკავშირებული, რაც გულისხმობს იმას, რომ შემდგომი აქტივობების განხორციელება დიდწილად სწორედ ჩვენზეა დამოკიდებული. საბედნიეროდ, ეს პროცესიც წარმატებულია და შედეგი – თვალსაჩინო, არაერთი განხორციელებული პროექტის გათვალისწინებით.

ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, სხვადასხვა პერიოდში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაკლიაში, სასტუმრო „პალმ ბიჩში“ ჩატარდა საჯარო სკოლების დირექტორთა და მასწავლებელთა ორდღიანი კონფერენცია „STEM საგნების სწავლების წარმატებული გამოცდილებები“; ასევე – მასწავლებელთა ორდღიანი კონფერენცია „ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების წარმატებული გამოცდილებები“. ჩვენი რესურსცენტრის ინიციატივით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერითა და „ზუგდიდის ტექნოპარკის“ დახმარებით, მოხდა ყველა საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი წლის მასწავლებლის, ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ შერჩეული 9 მასწავლებლისა და წლის საუკეთესო დირექტორის გამოვლენა და მათი ფულადი საჩუქრებით დაჯილდოება.

რესურსცენტრის ინიციატივით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დირექტორებისთვის მოეწყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისა და სსიპ ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლის დირექტორის შეხვედრა შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს საგრანტო პროექტის – „ქალაქ ზუგდიდისა და ქალაქ მონდალის მუნიციპალიტური ურთიერთთანამშრომლობა განათლების საკითხებზე“ – მიმდინარეობის თაობაზე. პროექტი საერთაშორისო ორგანიზაცია ICLD (საერთაშორისო ცენტრი ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისათვის) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. შეხვედრაზე სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოსა და შვედეთის თვითმმართველი ქალაქების საგანმანათლებლო სისტემაში ჩართულობის საკითხის შესახებ, რომლის ფარგლებშიც მხარეებმა ერთმანეთს გამოც-

დილება გაუზიარეს და სიახლეების დანერგვაზე იმსჯელეს.

მნიშვნელოვანია სსიპ ქალაქ ზუგდიდის N6 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის, ახალგაზრდა მხატვრის, TBC ბანკის სტიპენდიანტის გიგი სიჭინავას ინიციატივის – „არა ბულინგს“ განხორციელება, რაც რესურსცენტრისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით შედგა ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 57 საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. აქცია გულისხმობდა მსჯელობას ბულინგის არსზე, ძალადობის მძიმე შედეგებზე და მიზნად ისახავდა ბულინგის პრევენციას სკოლებში, ცნობიერების ამაღლებას მოსწავლეებში.

მნიშვნელოვანია რესურსცენტრის მონაწილეობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. სწორედ ჩვენი თანამონაწილეობის შედეგია ის, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, ყოველწლიურად, გარდა დელეგირებული უფლებამოსილების შესრულებისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, საჯარო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ინფრასტრუქტურული და შემეცნებითი ღონისძიებებისთვის გამოყოფს დაახლოებით 350 000 ლარს და, ასევე, მხარს უჭერს „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტის ფარგლებში ჩართული 9 საჯარო სკოლის პროექტების თანადაფინანსებას.

პანდემიის პერიოდში, მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო დისტანციური სწავლების პროცესის ხელშესაწყობად ჩატარებული არა ერთი გამოკითხვა თუ კვლევა სასწავლო პროცესის ხელმისაწვდომობაზე; ასევე, მნიშვნელოვანი იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერთა უანგარო დახმარება ონლაინ ტრენინგების („კიბერბულინგი და მისი პრევენცია ონლაინსწავლების პროცესში“) ჩატარებაში.

ერთ-ერთი სასარგებლო ინიციატივა იყო ჩვენი მასწავლებლებისთვის პროექტ „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში ჩატარებული მასშტაბური ონლაინ კონფერენცია „კომპლექსური დავალება და საინტერესო მიგნებები სწავლების პროცესში“.

განათლების სამინისტროს მიერ წამოწყებული ღონისძიებების ფართო მასშტაბით განხორციელება, მეტწილად, ჩვენს მოვალეობებში შედის. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ყველა წამოწყება განათლების სფეროში



თითოეული მოსწავლისა და მასწავლებლის ცნობიერებამდე მივიტანოთ და ხელი შევუწყოთ, რომ ყოველი ახალი საქმე უფრო და უფრო დიდი შედეგის მომტანი იყოს. აუცილებელია, მზად ვიყოთ და ყველა გამოწვევას შესაბამისი, გამჭრიახი იდეებით ვუპასუხოთ, რადგანაც ჩვენ ვართ უმნიშვნელოვანესი შუამავალი რგოლი სკოლასა და განათლების სამინისტროს შორის.

სკოლის
მართვა



შორენა ხუხუა

სსიპ მარნეულის
N2 საჯარო სკოლის
დირექტორი

პანდემიით გამოწვეული პრობლემები და რეკომენდაციები არაქართულენოვანი სკოლებისთვის

არაქართულენოვან სკოლებს, რომლებიც საქართველოს განათლების სისტემის ორგანული ნაწილი არიან, რა თქმა უნდა, ფუნქციონირების საკუთარი სპეციფიკაც აქვთ. სკოლა თემის არსებითი სტრუქტურაა და მისი გამართული მუშაობა, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, საზოგადოებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია. ეს წერილი სწორედ ამგვარ ვითარებაში სასკოლო ცხოვრების ორგანიზებას ეხება.

საქართველოში 2084 საჯარო სკოლაა, აქედან დაახლოებით 200 არაქართულენოვანია, რომელთა უმრავლესობა მდებარეობს ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში. აღსანიშნავია, რომ არაქართულენოვან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა ინფორმაციას, ძირითადად მეზობელი სახელმწიფოების საინფორმაციო წყაროებიდან იღებს, რაც დებინფორმაციის გავრცელების საფრთხეს ქმნის. არაქართულენოვანი სკოლების ადმინისტრაციებისთვის დეტალური ინსტრუქციებისა და ინფორმაციის მშობლიურ ენაზე მიწოდება გაამარტივებს კომუნიკაციას არაქართულენოვან თემთან, რადგან სკოლა მნიშვნელოვანი სტრუქტურაა საზოგადოებაში და განსაკუთრებულ როლს ასრულებს სოციუმში.

2020 წლის მარტში საქართველოში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და წითელ ზონად მოინიშნა მარნეულის მუნიციპალიტეტი. არაქართულენოვანი მოსახლეობის მიმართ მაშინვე გაჩნდა ერთგვარი დაპირისპირება. არამეგობრული ენით მოიხსენიებდნენ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, რამაც საპასუხო რეაქცია გამოიწვია და შეიქმნა უსიამოვნო მდგომარეობა. ასეთი სახიფათო გამოწვე-

ვევები პრობლემას უქმნის არქართულენოვანი მოქალაქეების ინტეგრაციას და სტაბილურობას სახელმწიფოში. ამ დროს, ისევ და ისევ სკოლა და სკოლის თემია მთავარი საყრდენი, რომელსაც შეუძლია საზოგადოებაზე პოზიტიური ზეგავლენა მოახდინოს, რომ ადვილად არ გავხდეთ არამეგობრულად განწყობილი ძალების სამიზნე. აუცილებელია, სასკოლო თემში მიიღოს კონკრეტული ინსტრუქციები, თუ როგორ მოიქცეს მსგავს სიტუაციებში ინტერნეტ სივრცესა თუ სხვა საინფორმაციო ქსელებში.

სკოლა, მასწავლებელი და სასკოლო თემი ჩვენი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. სწორი აქცენტები, რომელსაც სკოლა გააკეთებს, მეტად ზემოქმედებს სოციუმზე, ვიდრე სარეკლამო ბანერები ან მედიიდან გაჟღერებული ინსტრუქციები.

პანდემიის გავრცელებამ სხვადასხვა პრობლემა წარმოშვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელთა უმრავლესობა უფრო ძძიმე ფორმით გამოვლინდა არაქართულენოვან სკოლებში. ჩვენს სკოლას აქვს ორი სექტორი, ქართულენოვანი და არაქართულენოვანი. არაქართულენოვანი სექტორის მასწავლებლები და მოსწავლეები უფრო გვიან ჩაერთვნენ დისტანციურ სწავლებაში, რადგან მათთვის მშობლიურ ენაზე ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო დისტანციური სწავლებისათვის განკუთვნილი ინსტრუქციები და რესურსები. ვებინარებთან ერთად ინსტრუქციების თარგმნას და მორგებას დასჭირდა დრო. ამ პრობლემის მოსაგვარებლად სკოლის პედაგოგები, რომლებიც პარალელურად მუშაობდნენ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში – „ახალი სკოლის მოდელის“ ექსპერტებად, გვერდით დაუდგნენ კოლეგებს. ზოგმა თარგმნა ინსტრუქციები, ზოგი რესურსებს ქმნიდა, ზოგი კი ატარებდა ვებინარებს რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე. ყოველივე ამან ხელი შეუწყო სკოლაში თანამშრომლობითი გარემოს განმტკიცებას. შემოძლია თამამად განვაცხადო, რომ თუკი 2020–2021 სასწავლო წელი დაიწყება დისტანციურად, ჩემი გუნდი მზად არის, გააგრძელოს აღნიშნული მოხალისეობრივი საქმიანობა, როგორც ჩვენს სკოლაში და საქმეებში მასწავლებლების, ასევე, ყველა არაქართულენოვანი სკოლის მხარდასაჭერად.

სასწავლო წლის დაწყებამდე, აუცილებლად მიმაჩნია, არაქართულენოვანი სკოლის პედაგოგებისთვის ჩატარდეს ვებინარები და მიეწოდოთ მათ ონლაინ სწავლების დეტალური ინსტრუქცია. ჩვენი ინფორმაციით, არაქარ-

თულენოვანი სკოლების უმეტესი ნაწილი არ იყო ჩართული Microsoft Teams-ის პროგრამაში და ალტერნატიულ, ნაკლებეფექტიან საშუალებებს იყენებდა.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც გამოვლინდა, იყო მშობლებთან ერთობლივი კომუნიკაციის დამყარება ონლაინ რეჟიმში. დამრიგებლების მრავალი მცდელობის მიუხედავად, რთული იყო ყველა მშობელთან გასაუბრება, რადგან ისინი იყენებდნენ სხვადასხვა სოციალურ ქსელს. ყოველივე ეს კი აფერხებდა ეფექტიანი უკუკავშირის მიღებას მშობლისგან. ჩვენმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ უმჯობესია მშობლებს დაუკავშირდეთ მათი შვილების Microsoft Teams-ის ანგარიშების საშუალებით, რადგან უკვე შექმნილ ჯგუფებში მარტივია კომუნიკაციის დამყარება. ვფიქრობ, მომავალშიც ძალიან აქტიურად გამოვიყენებთ აღნიშნულ რესურსს.

ეთნიკური უმცირესობების სკოლებში შეგვექმნა პრობლემა გოგონების მშობლებთან, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ მათ შვილებს არ უნდა ჰქონოდათ კავშირი ონლაინ რეჟიმში და არ უნდა ჩართულიყვნენ კლასელებთან სასწავლო პროცესში. ასეთ დროს აუცილებელია სოციალური სამსახურისა და ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით მომუშავე სტრუქტურების ჩართულობა. მსგავს სიტუაციებში კლასის დამრიგებლებმა უნდა გააფრთხილონ სკოლის ადმინისტრაცია, რომელიც შემდეგ კანონმდებლობის შესაბამისად მიიღებს ზომებს. საბოლოო შედეგად მივიღეთ ის, რომ გოგონები ჩაერთნენ დისტანციურ სწავლებაში, მაგრამ მათ კამერების ჩართვას არ ვთხოვდით. ზოგჯერ იყო შემთხვევა, ხმის გათშვასაც ითხოვდა მშობელი და ბავშვი წერილობით ერთვებოდა.

პანდემიის პირობებში აქტუალური გახდა სკოლის შენობასა და საკლასო ოთახებში შესაბამისი ხსნარებით დეზინფექციის ჩატარება და სანიტარული ნორმების დაცვა. წინა თვეებში სკოლაში მხოლოდ დირექცია-ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი ვიყავით მორიგეობით. აქედან გამომდინარე, საკმაოდ მარტივი იყო შენობის დეზინფექცია. ახალი სასწავლო წლის დაწყების შემდეგ ეს პროცესი საკმაოდ გართულდება, რადგან სკოლაში 1300-მდე მოსწავლე და 100-მდე თანამშრომელია. პანდემიის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, სკოლაში შევისყიდეთ სხვადასხვა ხსნარი, დეზობარიერი და ხელის სადეზინფექციო დისპენსერები. მარაგში გვაქვს ასევე, ზედაპირის დასამუშავებელი ხსნარები, რომლებიც გადაეცემა კლასის დამრიგებლებსა და დამლაგებლებს.

თუმცა ზოგიერთ სკოლას ანგარიშზე არ აღმოაჩნდა საკმარისი თანხა, რათა ეს საშუალებები შეესყიდა. ამ მხრივ, ვფიქრობ, რომ მათ აუცილებლად უნდა მიმართონ სამინისტროს და მოითხოვონ დამატებითი დაფინანსება.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ შესაბამისი მოწყობილობების არსებობის შემთხვევაში, სკოლას საკუთარი ძალებით შეეძლება ჩაატაროს დემინფექცია, რაც დამატებით ხარჯებს აარიდებს თავიდან. ამ მხრივაც, ვგეგმავთ, რომ სკოლისთვის შევიძინოთ ქლორისა და სხვა სერტიფიცირებული სადემინფექციო ხსნარების მარაგი, რათა ცვლეს შორის საკუთარი ძალებით შევძლოთ სკოლის შენობის სანიტარული დამუშავება. საბაზო და საშუალო საფეხურის (VII-XII) ყველა კლასი თუ დაალაგებს საკუთარ საკლასო ოთახს, დამრიგებლის ხელმძღვანელობით და ჩართულობით, ეს შეამსუბუქებს დამლაგებლების გადატვირთულ გრაფიკს. აუცილებელია, კლასის მოწესრიგების დროს ყველა უზრუნველყოთ პირბადეებით, ხელთათმანებითა და სხვა საშუალებებით.

ზაფხულის პერიოდში გაისმა მრავალი მოსაზრება ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით. სამინისტრომ რამდენიმე რეკომენდაციაც გამოაქვეყნა, რომელშიც აღწერილია ჰიბრიდული სწავლების მექანიზმი: I-IV კლასების სულ ივლიან სკოლაში და შესაძლებელია V-VI კლასებს ერთი დღე, VII-XI კლასებს ორი დღე, ხოლო XII კლასს სამი დღე დისტანციურად ჩაუტარდეს გაკვეთილები. აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით, საკლასო ოთახებში მოსწავლეებს შორის დისტანცია უნდა იყოს 1 მეტრი, რაც შეიძლება ზოგიერთი მრავალკონტინგენტიანი სკოლისათვის რთული იყოს, რადგან კლასებში 33-34 მოსწავლე მის. ჩემი სკოლის მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ საკლასო ოთახების ფართისა და მოსწავლეთა რაოდენობის თანაფარდობა ამ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს. შესაძლოა, ზოგიერთ საკლასო ოთახში მხოლოდ მოსწავლეთა 50-60% განთავსდეს. ამიტომ, თუკი გვექნება შესაბამისი ნებართვა ან გვექნება არჩევანის გაკეთების საშუალება, სასკოლო თემის მაქსიმალური უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის, უმჯობესი იქნება დაწყებითმა კლასებმა იარონ სკოლაში, ხოლო ზედა კლასებში ისევ იყოს დისტანციური სწავლება, რომელსაც სკოლის მხრიდან გაეწევა მონიტორინგი, მოხდება დასწრების ანალიზი. V-XII კლასის იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც არაქვთ ინტერნეტი ან კომპიუტერული ტექნიკა, ვგეგმავ, სკოლაში მოვაწყო შესაბამისი გარემო, სადაც ისინი სპეციალური

მასწავლებლების დახმარებით შეძლებენ სასწავლო პროცესში ჩართვას.

გვაქვს, ასევე, ასეთი რეკომენდაცია -- თუ ყველა საკლასო ოთახში იქნება როუტერი და ლეპტოპი, მასწავლებელი შეძლებს ონლაინ რეჟიმში მყოფი ნახევარი კლასი გაკვეთილზე ჩართოს სხვებთან ერთად. თუ სკოლას არ შეუძლია უზრუნველყოს ლეპტოპის მიწოდება კლასებისთვის, როუტერის საშუალებით გამოიყენებს საკუთარ მობილურ ტელეფონს ან პირად ნოუთბუქს. ამისთვის საჭიროა სწრაფად ჩატარდეს ონლაინ გამოკითხვა პედაგოგებში: რამდენი ლეპტოპი მუშაობს გამართულად დაწყებითი კლასის მასწავლებლებში? რამდენი არის შრომისუნარიანი საბაზო საფეხურზე? რამდენს აქვს პირადი ნოუთბუქი, რომელიც შეუძლია ატაროს სკოლაში? რამდენი იქნება მობილური ტელეფონით გაკვეთილზე? ამინფორმაციის დახმარებით დავინახავთ, თუ რა გამოწვევა გვჩნდება სკოლის ადმინისტრაციას.

ვფიქრობთ, ორცვლიანი ფორმატისათვის საკმაოდ ძნელი აღმოჩნდება ცვლეს შორის მოსწავლეთა მოძრაობის დარეგულირება. ამ კუთხით, სკოლას გვერდით უნდა დაუდგეს მანდატურის სამსახური, რომელიც დაგვეხმარება, როგორც წესრიგის შენარჩუნებაში, ასევე, მოსწავლეების თერმოსკრინინგში; სკოლის შენობაში შემსვლელი ყველა პირის სადემინფექციო ხსნარით ხელეების დამუშავებაში, დეზობარიერის გავლაში. მანდატურის სამსახურის მხარდაჭერა სასიცოცხლო მნიშვნელობის იქნება იმ სკოლებისათვის, რომლებშიც არ არის სკოლის ექიმი. იმ სკოლებში, სადაც არ არის მანდატურის სამსახური, არსებობს უფლებამოსილი პირი, რომელიც ასრულებს მანდატურის მოვალეობას.

ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, თუკი გვექნება ჰიბრიდული სწავლება (ან სრულად დისტანციური სწავლება), სკოლები უნდა ვიყოთ მომზადებული; საჭიროა მოქნილი საათობრივი ბადის გაწერა, რომ არ შეფერხდეს სასწავლო პროცესი. ამ მხრივ, სკოლამ მასწავლებლებს მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი, რათა მათ შეძლონ გაკვეთილების ჩატარება, როგორც საკლასო ოთახში, ასევე, დისტანციურად. ამის პარალელურად, აუცილებელია დაიგეგმოს ვებინარები, რათა არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებმა შეძლონ ახალი სასწავლო წლისთვის მომზადება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის პირობებში ზოგიერთი აქტივობა (წყვილებში და ჯგუფურად მუშაობა,



სპორტის გაკვეთილები) ჩვეულ რეჟიმში ველარწარიმართება. ეს პრობლემა ყველა სკოლაში გვექნება, რადგან მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი მოსწავლეთა უსაფრთხოებას. ვფიქრობ, ზოგიერთი აქტივობის დროს მოსწავლესაც მოუწევს პირბადის გამოყენება.

პანდემიის პირობებში სკოლის კედლებში დაბრუნებას კიდევ ერთ პრობლემამდე მივყავართ – სასკოლო ბუფეტის ფუნქციონირება. სკოლაში ეს ის ადგილია, სადაც ყველაზე მეტად უნდა იყოს დაცული სანიტარული ნორმები. სკოლების უმრავლესობას დამატებითი ეკონომიკური შემოსავალი სწორედ კვების ობიექტების გაქირავებიდან აქვს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალური უსაფრთხოების წესების დაცვით შენარჩუნდეს სასკოლო ბუფეტი სკოლის სივრცეში (ორცვლიან სკოლებში განსაკუთრებით). ვფიქრობ, კვების ობიექტის მფლობელებს და კლასის დამრიგებლებს შორის უნდა შედგეს შეთანხმება და მათი მეშვეობით უნდა მოხდეს მოსწავლეების მომარაგება, რათა თავიდან ავიცილოთ რიგები და დისტანციის დარღვევა (შემცირებული საგაკვეთილო დროის ხარჯზე შესაძლოა გავზარდოთ დასვენებების ხანგრძლივობა).

სკოლებს, რომლებსაც აქვთ რამდენიმე შენობა და შესასვლელი, უსაფრთხოების დაცვის მიზნით ვურჩევთ, რომ ცალკეული შენობები (ფლიგელები) მოაქციონ იზოლაციაში. შესაძლებელია, გამოიყოს დაწყებითი კლასების კორპუსი და მაღალი კლასების კორპუსი. თუკი სკოლებს აქვთ დამატებითი ფართი, შეუძლიათ მოაწყონ იზოლირებული სამსწავლებლო დაწყებითი კლასების მასწავლებ-

ლებისთვისაც. კორონავირუსის აღმოჩენის შემთხვევაში, ეს ხელს შეუწყობს გავრცელების არეალის შემცირებას.

ეპიდემიის გავრცელების პრევენცია და სკოლაში უსაფრთხოების ნორმების დაცვა ყოვლად შეუძლებელია მშობელთა ჩართულობის გარეშე. სექტემბრის დასაწყისში გვეგმავეთ დისტანციურად Microsoft Teams-ის საშუალებით შევხვდეთ კლასის დამრიგებლებს და დეტალურად გავაცნოთ ქცევის ახალი წესები, რაც განაპირობა პანდემიის არსებობამ. ხოლო კლასის დამრიგებლები, თავის მხრივ, გაცნობენ ინფორმაციას მშობლებს მშობლიურ ენაზე, შვილების Microsoft Teams-ის ანგარიშების საშუალებით. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, რომ 15 სექტემბრისთვის მთლიანად სასკოლო თემი იყოს მზად სწავლის დაწყებისთვის.

მშობლები სახლშივე შეუმოწმებენ საკუთარ შვილებს ტემპერატურას (რაც შემდგომ თერმოსკრინინგით გადამოწმდება სკოლაში). სიცხის დაფიქსირების შემთხვევაში, მშობელი გააფრთხილებს კლასის დამრიგებელს. ამასთანავე, გვეგმავეთ მშობელთა მორიგეობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას (მოხალისეობრივ დონეზე), რომელიც სკოლას დაეხმარება სხვადასხვა სიტუაციაში. ყოველივეს მოგვცემს კოორდინირებული და თანამშრომლობითი მუშაობის შესაძლებლობას და დაგვეხმარება, რომ სწავლა-სწავლების პროცესი არ შეჩერდეს და მოხდეს თითოეული მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.

მშვიდობიან სასწავლო წელს გისურვებთ ყველას.

სკოლის
ბარისა



ნინო გოგელიძე

განათლების
სპეციალისტი

ზოგადი რეკომენდაციებიდან „სკოლებში დაბრუნების“ კონკრეტულ სტრატეგიებამდე

პანდემიის პირობებში სკოლებში სასწავლო პროცესის ორგანიზების საერთაშორისო გამოცდილება, რა თქმა უნდა, ჩვენი სასწავლო დანახვებულებებისთვის საინტერესოა. ეს წერილი სწორედ ამ გამოცდილების შესახებ მოგვითხრობს.

პანდემიამ არათანაბრად, მაგრამ ყველა ქვეყანაზე იმოქმედა.

2020 წლის მარტში სკოლები თითქმის ყველგან დაიხურა. აპრილიდან კი, გარკვეული რეკომენდაციების დაცვით, თანდათან დაიწყო სასწავლო პროცესის ტრადიციულ რეჟიმში აღდგენა. ამ ეტაპზე, ქვეყნების უმეტესობა აცხადებს მზაობას, სექტემბრიდან სასწავლო პროცესი მთლიანად ან ნაწილობრივ დაიწყოს ჩვეულ გარემოში, ონლაინ სწავლების ელემენტების შენარჩუნებით.

რა პრინციპით გაიხსნა სკოლები?

ქვეყნების ნაწილმა სკოლები მხოლოდ დაწყებითი კლასებისთვის გახსნა (ბელგია, დანია, საფრანგეთი, საბერძნეთი, ნორვეგია) იმ საფუძვლით, რომ ამ ასაკის ბავშვები ყველაზე მეტად საჭიროებდნენ მასწავლებლებთან პირდაპირ კონტაქტს, უჭირდათ დამოუკიდებლად მუშაობა, გრაფიკის დაცვა და ნაკლებად იყვნენ ონლაინ სასწავლო პროცესში ჩართულები. ამას გარდა,

ინფიცირების შემთხვევები 10 წლამდე ბავშვებში მინიმალური იყო. გერმანიასა და ჩინეთში პირიქით, სასწავლო პროცესი ჯერ უფროსკლასელებისთვის განახლდა. ზოგ ქვეყანაში კი ტრადიციული სასწავლო პროცესი ყველასთვის აღდგა (შვედეთი, ტაივანი, ვიეტნამი).

რა ძირითადი უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით დაიწყო „სკოლებში დაბრუნება“?

ჰიგიენის ნორმების გაძლიერება – საჭირო გახდა შენობების მეტი ინტენსივობით დასუფთავება და განიავება. დღეში რამდენჯერმე, სპეციალური ხსნარებით იწმინდებოდა ხშირად შეხებადი ზედაპირები (მერხები, კარის სახელურები, ფანჯრის რაფები); გაიზარდა ხელსაბანი ნიჟარების რაოდენობა და სადებიზინფექციო საშუალებების მარაგი. დადგინდა პერსონალური ჰიგიენის რუტინა, განსაკუთრებით უმცროსკლასელებისთვის – რა შემთხვევებში, როდის და როგორ უნდა დაეხანათ ხელი (სკოლაში მისვლის დროს, გაკვეთილის დაწყებამდე, დაცემინების ან დახველების შემდეგ, საკვების მიღებამდე); ზოგ სკო-

ლაში ვიზუალური თვალსაჩინოებისთვის გამოაკრეს პოსტერები.

ფიზიკური დისტანციის დაცვა – სკოლებმა უზრუნველყვეს ფიზიკური დისტანციის დაცვა მერხებს შორის, სკოლის შემოსასვლელსა თუ კაფეტერიაში. შედეგად, ზოგან საჭირო გახდა არასასწავლო სივრცეების ათვისებაც (იაპონიაში, მეტი მოსწავლის განთავსების მიზნით, 2-მეტრიანი დისტანცია 1 მეტრამდე შემცირდა). შეიცვალა შენობაში მოძრაობის წესები: პატარა ჯგუფები იზოლირდნენ ერთმანეთისგან, ჰქონდათ საკუთარი სასწავლო და დასასვენებელი ტერიტორია, დამოუკიდებელი სველი წერტილები; დერეფნებში მოძრაობა მხოლოდ ერთი მიმართულებით გახდა დასაშვები, მაქსიმალურად შემცირდა პირდაპირი ინტერაქცია.

სასწავლო პროცესის ორგანიზების ცვლილება – პირველ რიგში, დადგინდა კლასში მოსწავლეთა დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა (ბელგია და გერმანია – 10, დანია – 12, საბერძნეთი – 15); საჭირო გახდა მცირე ჯგუფების მოძრაობის იმგვარად ორგანიზება, რომ არ მომხდარიყო ადამიანების თავშეყრა; შესაბამისად, ზოგმა ქვეყანამ ცვლებების მიხედვით სწავლება არჩია



საერთაშორისო გამოცდილება

(გერმანია, სამხრეთ კორეა, შოტლანდია), ზოგმა კი დღეების მიხედვით გადაანაწილა მოსწავლეთა ნაკადი (ბელგია, შვეიცარია); სადაც კლასები დაიყო, მასწავლებლებს გაეზარდათ დატვირთვა; ალტერნატივად გამოყენებული იქნა გაკვეთილებზე მოსწავლეთა მორიგეობით დასწრების მოდელი – 10 მოსწავლე საკლასო ოთახში იმყოფებოდა, დანარჩენი კი ვირტუალურად ერთვებოდა პროცესში. ბევრი სასწავლო პროგრამიდან დროებით ამოღებულ იქნა სიმღერისა და სპორტის გაკვეთილები.

რა დენადსავალდებულოა ნიღბის ტარება და ტემპერატურის დაფიქსირება?

ამ მხრივ, არ არის ერთნაირი მიდგომა. ზოგ ქვეყანაში სკოლის შესასვლელში უსინჯავენ მოსწავლეებს ტემპერატურას (ისრაელი, იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაივანი,

ვიეტნამი), ამერიკის მთავრობა კი რეკომენდაციას იძლევა, რომ სკოლებმა არ ჩაატარონ თერმოსკრინინგი უნივერსალური მეთოდებით, აქ ტემპერატურის კონტროლის ფუნქცია მშობლებს ეკისრებათ.

ნიღბის ტარება ბელგიაში მხოლოდ მასწავლებლებს მოეთხოვებათ. ყველასთვის სავალდებულოა ტაივანში, ვიეტნამში, სამხრეთ კორეაში, იაპონიასა და ისრაელში, შვედეთი კიპირიქით, რეკომენდაციას არ უწევს პირბადის გამოყენებას.

გაიზარდა თუ არა ინფიცირებულთა რიცხვი სასწავლო პროცესის აღდგენის შემდეგ?

სკოლების გახსნასა და ვირუსის შემთხვევების გაზრდას შორის მიზეზ-შედეგობრივი კორელაციის დამადასტურებელი კვლევები ამ ეტაპზე არ არსებობს, თუმცა



სტატისტიკური მონაცემებით, სადაც დაცული იყო უსაფრთხოების ზომები, ვირუსის მკვეთრი ზრდა არ დაფიქსირებულა. ისრაელში, სადაც მალევე მიივიწყეს სოციალური დისტანცია და კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა ისევ 40-მდე ავიდა, კოვიდ 19-ის შემთხვევებმაც იმატა.

რამდენიმე დეტალური მაგალითი

პანდემიის გამოწვევას სხვადასხვა ქვეყანამ განსხვავებულად უპასუხა, მეტიც, ქვეყნებს შიგნითაც კი არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული; სკოლების დონეზე რეკომენდაციები კიდევ უფრო მრავალწახნაგიანი, მაგალითები კი საინტერესო გახდა. არ არსებობს არაფერი, რაც ყველა ქვეყანამ ერთნაირად გააკეთა.

გამონაკლისი იყო **შვედეთი**, რომელსაც არც საზღვრები ჩაუკეტავს და არც სკოლები დაუხურავს. რატომ?



შვედები ამ სტრატეგიას „განაწილებულ პასუხისმგებლობას“ უწოდებენ. ქვეყანაში სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ „საექსპერტო სააგენტოები“, რომლებიც, მართალია, შედიან სამინისტროების ქუდის ქვეშ, მაგრამ მოქმედებენ დამოუკიდებლად. პანდემიასთან დაკავშირებით, მოსახლეობას მიმართავდა და რეკომენდაციებს აცნობდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სააგენტო. მითითებები იყო მინიმალური – ფიზიკური დისტანციისა და ჰიგიენის ნორმების დაცვა და მსუბუქი სიმპტომების შემთხვევაში სახლში დარჩენა. რეკომენდაციები არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს. ჯანდაცვის სააგენტოს პოზიცია იყო ასეთი – გამოცდილების გაზიარება სასარგებლო არა იმისთვის, რომ მოვძებნოთ იდეალური მოდელი, არამედ იმისთვის, რომ ვირუსის შესახებ მეტი ინფორმაცია მოვიპოვოთ. ეს დაგვეხმარება, საკუთარი ქვეყნების სპეციფიკიდან გამომდინარე, დავსახოთ ჩვენზე მორგებული, უნიკალური გზა. მომავალში კი მზად ვიყოთ მსგავსი სიტუაციებისთვის, რადგან ვირუსი არსად არ მიდის.

შვედეთი **არ უწევს** რეკომენდაციას პირბადეების გამოყენებას, რადგან იმის მეცნიერული საფუძველი, რომ ეს გადადების რისკს ამცირებს, არ არსებობს. მათი პოზიციით, პირბადის ტარების გამო, ადამიანს ხშირად უწევს პირთან, თვალთან, ცხვირთან შეხება რაც პირიქით, ხელს უწყობს ვირუსის გადატანას. პირბადეები რეკომენდებულია მათთვის, ვინც თვითონ არის ინფიცირებული.

სასწავლო პროცესი არ შეჩერებულა ბალებსა და დაწყებით კლასებში, იმ მიზეზით, რომ არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ 10 წლამდე ბავშვები ვირუსის გადატანის საფრთხეს წარმოადგენდნენ. უფრო მაღალი კლასები დისტანციური სწავლების მოდელზე გადავიდნენ.

„გაზიარებული პასუხისმგებლობის“ შედეგად, მოსახლეობის მხრიდან მოგზაურობები 20-25%-ით შემცირდა, ასევე, იკლო საავადმყოფოში მიმართვიანობის მაჩვენებელი. გარდა ამისა, გაძლიერებული ჰიგიენის დაცვის პირობებში, შემცირდა გრიპის სხვა ვირუსების შემთხვევებიც. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თუ შვედეთში მარტის დასაწყისში 10-მილიონიანი მოსახლეობის პირობებში, ვირუსის 400-მდე შემთხვევა ფიქსირდებოდა, აგვისტოში ეს რიცხვი 85 000-ზე მეტია (5800-ზე მეტი სიკვდილი), რაც ერთი შეხედვით „წარმატებულ მოდელს“ ფერს უცვლის.

ჩინეთში, კერძოდ ვუჰანში, სადაც პანდემიის აფეთქება დაიწყო, სასწავლო პროცესი ყველაზე ადრე, 23 იანვარს შეწყდა. ქვეყანა სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა. ამასობაში მთავრობამ ფინანსური რესურსები ინტერნეტ პლატფორმების გასაძლიერებლად წარმართა. მართალია, სწავლების ონლაინ პლატფორმები არსებობდა და მასზე განთავსებული იყო საგანმანათლებლო რესურსები, მაგრამ სიტუაციიდან გამომდინარე, ამას დაემატა საჭირო ფუნქციები, მაგალითად – პროცესის დროში დაგეგმვა.

საკმაოდ ბევრი ტექნოლოგიური კომპანია იყო ჩართული სასწავლო აპლიკაციების შექმნაში. იყო ასეთი შემთხვევაც – ვუჰანში, სკოლის მოსწავლემ აგიტაცია წამოიწყო Alibaba-ს ერთ-ერთი პროგრამის წინააღმდეგ: „DingDing-ის წყალობით, დავალება ყოველდღე მაქვს გასაკეთებელი“. პროტესტს შეუერთდნენ სხვა მოსწავლეებიც და მასობრივად დაიწყეს აპლიკაციის დაბალი რეიტინგით (1 ვარსკვლავი) შეფასება, რის გამოც, ის დროებით გაუქმდა.

დისტანციურ რეჟიმში სწავლების დროს, საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრატორებს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდათ მშობლებთან. ერთ-ერთმა სკოლამ, რომელმაც სწავლის დაწყებიდან 10 დღის შემდეგ ჩაატარა მშობლების გამოკითხვა (Yew Wah International Education School, Guangzhou), უკუკავშირში მიცემული რჩევა პრაქტიკაში გამოიყენა – დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის გაკვეთილები იმგვარად მოდიფიცირდა, რომ ბავშვები მხოლოდ 10 წუთით ყოფილიყვნენ ეკრანთან, შემდეგი 20 წუთი კი დამოუკიდებელ მუშაობას ეთმობოდა. ერთმა მშობელმა სკოლას ფიზიკური აქტივობის ალტერნატივად ბავშვების „სახლის საქმეებში“ ჩართვა შესთავაზა.

აპრილიდან ჩინეთში სკოლების გახსნა დიდი ქალაქებიდან დაიწყო. სკოლას პირველად უფროსკლასელები დაუბრუნდნენ – მოსწავლეებს უზომავდნენ ტემპერატურას, შეიცვალა ცხრილები, კლასები დაიყო მცირე ჯგუფებად; თავშეყრის თავიდან არიდების მიზნით, სკოლის ტერიტორიებზე მოძრაობისთვის სპეციალური მარშრუტები შეიქმნა. დაცული იყო ფიზიკური დისტანცია და აუცილებელი – პირბადის ტარება. ბეჯინგის ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეები მობილური აპლიკაციის საშუალებით ავსებდნენ გამოკითხვის ფორმას, რომლის

მიზანი იყო ინფექციის რისკების შეფასება. მოსწავლეები სკოლაში მხოლოდ აპლიკაციის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის დადებითად შეფასების შემდეგ დაიშვებოდნენ. სკოლების ნაწილმა პერსონალური თერმომეტრები გადასცა მოსწავლეებს და ტემპერატურის დღეში ორჯერ გაზომვა მოითხოვა.

გერმანია დაყოფილია 16 ფედერაციულ მიწად და ყველა დამოუკიდებელია გადაწყვეტილებებში. პირველად სკოლები Mecklenburg-Western Pomerania-მ გახსნა, რადგან აქ მოსახლეობის სიმჭიდროვე ნაკლებია. სკოლებში, რომლებშიც ვერ მოხერხდა ტრადიციული გრაფიკით სწავლება, სასწავლო დატვირთვა შემცირდა კვირაში 5 საათამდე. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, გერმანიაში არ გაუუქმებიათ მუსიკისა და სპორტის გაკვეთილები. კლასები დაყოფილი იყო „კოჰორტებად“, მათ ჰქონდათ თავისი საკლასო ოთახი, კაფეტერია, სველი წერტილები. ვარაუდობდნენ, რომ ვირუსის დაფიქსირების შემთხვევაში, მხოლოდ ეს მიკროჯგუფი იქნებოდა იზოლირებული და არა მთელი სკოლა, თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღება არა სკოლის, არამედ ადგილობრივი ჯანდაცვის ერთეულების პრეროგატივას წარმოადგენს. დაცული იყო ფიზიკური დისტანცია 2 მეტრის მანძილით. განისაზღვრა კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა – 10. სწავლების ტრადიციულ ფორმასთან ერთად, შენარჩუნდა ონლაინ ფორმატიც, რაც საშუალებას იძლეოდა, 10-ზე მეტი მოსწავლისთვის ჩატარებულიყო გაკვეთილები.

გერმანიის ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სწრაფ ტესტებს 4 დღეში ერთხელ უტარებდნენ. მოძრაობა დერეფნებში დასაშვები იყო ცალმხრივად, ფანჯრები გაკვეთილების მიმდინარეობისას არ იხურებოდა, შესაბამისად, მოსწავლეებს უფრო თბილად ჩაცმისკენ მოუწოდებდნენ.

ესტონეთი კორონავირუსით გამოწვეულ სიტუაციას მზად დახვდა. ელექტრონული არჩევნები, ონლაინ სწავლება, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე სკოლებში, და ციფრული ბიუროკრატია ქვეყანაში წარმატებით იყო დანერგილი. შესაბამისად, როდესაც სხვა ქვეყნებმა დაიწყეს ფიქრი სწავლების ალტერნატიულ გზებზე, ესტონელებს უკვე ჰქონდათ ყველანაირი რესურსი და, რაც მთავარია, მისი გამოყენების

ცოდნა. კარანტინის დროს ქვეყანაში სახელმწიფო მომსახურების 99% ვირტუალურ სივრცეში შეუფერხებლად მუშაობდა.

სკოლების 87% პანდემიამდე იყენებდა ონლაინ სწავლების მეთოდებს, მასწავლებლებს ტრენინგები სწავლების მეთოდებისა და ინტერნეტის უსაფრთხოდ მოხმარების შესახებ გავლილი ჰქონდათ. ქვეყანაში ინტერნეტი ხელმისაწვდომია ყველგან. მათ, ვისაც არ ჰქონდა კომპიუტერი, სკოლებმა, სხვადასხვა ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა უსასყიდლოდ გადასცეს ლეპტოპები.

ესტონეთმა 2015 წელს სასწავლო მასალების გაციფრულებისთვის 40 მილიონი ევრო გამოყო. PISA-ს რეიტინგში ესტონელი მოსწავლეები პირველ ადგილზე არიან (2018 წ.); ელექტრონულად ხელმისაწვდომია ყველანაირი სასწავლო ბაზა, სახელმძღვანელოები, სასწავლო მასალები, ჟურნალები, არსებობს ელექტრონული ჟურნალი, საგანმანათლებლო თუ საკომუნიკაციო აპლიკაციები, რისი მეშვეობითაც ხდება მშობლებთან კომუნიკაცია (eKool, Stuudium); სკანდინავიის შვიდივე ქვეყანამ ერთობლივად შექმნა ონლაინ პლატფორმა, სადაც შექმნილი ვითარების გამო, სასწავლო აპლიკაციები უფასოდ გახდა ხელმისაწვდომი სხვა ქვეყნების დასახმარებლად.

მართალია, სკოლები მარტში ესტონეთშიც დაიხურა, მაგრამ სწავლების ალტერნატიულ, ონლაინ მოდელზე გადასვლა ქვეყანამ ერთ დღეში მოახერხა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მასწავლებლებს აძლევს რეკომენდაციას, ონლაინ სწავლებისას, პირველი ორი კვირის განმავლობაში მაინც შეიკავონ თავი შეფასებისგან და მოუწოდებს, მეტი ყურადღება გადაიტანონ სწავლების ორგანიზაციულ ნაწილზე, მოერგონ ახალ სიტუაციას. მოსწავლეებს მისცენ ვერბალური, განმავითარებელი შეფასება, რათა შეუქმნან უკუკავშირის გაცემის მოტივაცია.

სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ: „დისტანციური სწავლების რეჟიმში იზრდება როგორც მასწავლებლების, ასევე ოჯახის დატვირთვა. იყავით მომთმენნი ერთმანეთის მიმართ. მიმდინარე სიტუაცია არის ნაკარნახევი საჭიროებით და ყველასთვის სიახლეს წარმოადგენს“.

შემოდგომიდან ესტონეთი, უსაფრთხოების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ტრადიციულ რეჟიმში, თუმცა ონლაინ ფორმატის ნაწილობრივ შენარჩუნებით

აპირებს სწავლის გაგრძელებას. ინფექციის დაფიქსირების შემთხვევაში, შემდგომი ნაბიჯები განხილული იქნება ინდივიდუალურად.

დანია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ერთ თვეში, 15 აპრილს სკოლების გახსნა დაიწყო. პირველ რიგში, ტრადიციულ სასწავლო გარემოს დაუბრუნდნენ 12 წლამდე მოსწავლეები, რადგან ამ ასაკობრივ კატეგორიაში ინფიცირების მაჩვენებელი უმნიშვნელო იყო.

პირველობის ტვირთს აზრთა სხვადასხვაობის გარეშე არ ჩაუვლია; მშობელთა ნაწილმა გახსნა ფეისბუქ-ჯგუფი „ჩემი შვილი არ იქნება კოვიდ 19-ის საცდელი ბატია“ (დანიურად Guinea pig გამოიყენება ამ აზრის გამოსახატად); თუმცა მიუხედავად უკმაყოფილებისა, მშობლებთან სწორი კომუნიკაციის შედეგად (დეტალური გეგმების გაცნობა, ინსტრუქციების გაგზავნა, მიზნებისა და მიზეზების ახსნა), სკოლებმა პრობლემების გარეშე მოახერხეს გახსნა. პირველ კვირას მოსწავლეების 50% დაბრუნდა დაწყებით კლასებში, მესამე კვირის ბოლოს კი ეს მაჩვენებელი 90%-ს შეადგენდა.

‘væsk hænder, nys i ærmet og hold afstand’ – „დაიბანე ხელები, დაცემინებისას სახელო მიიფარე და დაიცავი დისტანცია“ – ეს იყო მთავარი საკომუნიკაციო მესიჯები.

კლასები მცირე ჯგუფებად დაიყო; მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრა 12 ადამიანით. პირდაპირი კონტაქტები შემცირდა, თუმცა ბავშვებს მცირე ჯგუფებში თამაშის უფლება ჰქონდათ. ლანჩზე მორიგეობით გასვლა დაწესდა. მერხებს შორის დაცული იყო 2-მეტრიანი დისტანცია. მშობლები არ დაიშვებოდნენ სკოლის ტერიტორიაზე. მაისიდან უფროსკლასელებიც დაბრუნდნენ სკოლებში. ხელების დაბანა ყოველ 2 საათში მოითხოვებოდა, ნიღბების ტარება არ იყო სავალდებულო. შემცირდა სასწავლო დღის ხანგრძლივობა და განისაზღვრა 08:00-13:00 შუალედით. გამოიცა დეტალური მითითებები, ხელის დასაბანი პუნქტების რაოდენობა გაიზარდა, სივრცე იმგვარად მოდიფიცირდა, რომ თითოეულ კლასს საკუთარი სველი წერტილი ჰქონდა. სკოლებმა დაიქირავეს მეტი დამლაგებელი, ზედაპირები იწმინდებოდა დღეში ორჯერ. ამავე დროს შენარჩუნდა ონლაინ სწავლების ფორმატიც – მოსწავლეების ნაწილი სასწავლო პროცესში ჩართული იყო ონლაინ პროგრამებით (ZOOM); მეტი ყურადღება დაეთმო ისეთ აქტივობებს, რომელიც შენობის გარეთ



შეიძლება და ჩატარებულიყო. უამრავი სახელმძღვანელო წესი და პროცედურა გაიწერა; დროდადრო იცვლებოდა მითითებები, ერთ-ერთი ასეთი იყო დისტანციის 2 მეტრიდან 1 მეტრამდე შემცირება, რამაც გააჩინა საკლასო ოთახში მეტი მოსწავლის დაბრუნების შესაძლებლობა. ყველაზე ბოლოს 16-19 წლის მოსწავლეები ჩაერთვნენ განახლებულ სასწავლო პროცესში. გამოცდები მხოლოდ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის ჩატარდა.

რეკომენდაციები სკოლების გახსნამდე

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) 2020 წლის მაისში გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელშიც მონიშნულია სკოლის გახსნამდე გასათვალისწინებელი საკითხები – როგორი მდგომარეობაა კოვიდ 19-ის გავრცელების კუთხით ბავშვებში? ექნებათ თუ არა სკოლებს მზაობა, დაიცვან და შეინარჩუნონ პრევენციისა და კონტროლის ზომები? შესაძლებელია მერხებს შორის საჭირო დისტანციის უზრუნველყოფა? სივრცეების თუნდაც დროებით გაფართოება? კლასების მოცულობის შემცირება ან ალტერნატიული ფართის გამოყენება? არსებობს თუ არა

საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსი ახალ გამოწვევებთან გასამკლავებლად?

დოკუმენტი მთავრობებს მოუწოდებს, გაითვალისწინონ ის დამატებითი ფაქტორებიც, რასაც პოტენციურად ზიანი მიადგება სკოლების დახურვის გამო – სკოლაში არდაბრუნების რისკი, მზარდი უთანასწორობა აკადემიურ მიღწევებში, ეკონომიკურ ფონზე გაუარესებული ოჯახური ძალადობა და ა.შ. რეკომენდაციები ყურადღებას ამახვილებს, ერთი მხრივ, ჰიგიენის წესების დეტალურად გაწერასა და შესრულებაზე, მეორე მხრივ კი, შესაბამისი კომუნიკაციის დამყარებაზე პროცესში ჩართულ პირებთან. ასევე, ხაზს უსვამს, რომ ნებისმიერი სიმპტომის არსებობისას საჭიროა **სახლში დარჩენა**.

სასწავლო პროცესის ორგანიზების ნაწილში შეთავაზებულია ცვლების ან დღეების მიხედვით სწავლება, სპეციალური გრაფიკების შედგენა, შესვენებების დროის მოდიფიცირება, გაკვეთილების გადატანა ღია სივრცეში.

UNICEF-ის მიერ შემუშავებული დოკუმენტი სკოლების გახსნის შესახებ (2020 წ., ივნისი) იწყება სკოლების დახურვის უარყოფით გავლენებზე საუბრით. იმისთვის, რომ განისაზღვროს, სად და რომელი სკოლები შეიძლება

გაიხსნას, ქვეყნებმა სწრაფად უნდა შეაგროვონ კრიტიკული მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ უმკლავდებიან პანდემიას სკოლები, მასწავლებლები, მოსწავლეები, საზოგადოება. შემდეგ კი დაუპირისპირონ სკოლებში დაბრუნების დადებითი მხარეები უარყოფითს, ქვეყნის კონტექსტიდან გამომდინარე. ჩარჩოში წარმოდგენილი რეკომენდაციები, თურა ფაქტორებს მიექცეს ყურადღება სკოლების გახსნამდე და მას შემდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის ვებგვერდზე (CDC.GOV) ნახავთ ყველაზე დეტალიზებულ სახელმძღვანელოებს პროცესში მონაწილე ყველა მხარისთვის. სასწავლო პერიოდის დაწყებამდე, მშობლები ავსებენ სპეციალურ ფორმას, რომლითაც აფასებენ, თუ რამდენად ენდობიან ადმინისტრაციას გადაწყვეტილებების სწორად მიღებაში და სკოლას აწვდიან ინფორმაციას ბავშვის ჯანმრთელობის, სპეციალური საჭიროებების, ონლაინ სწავლებაში სრულფასოვნად ჩართვის პირობების შესახებ.

სახელმძღვანელოში მოცემულია, როგორ იქცევა სკოლა: 1. როდესაც არ ფიქსირდება ვირუსის შემთხვევა. 2. პირველი შემთხვევის დროს 3. როცა იმატებს დაავადებულთა რიცხვი 4. როდესაც ვირუსი მკვეთრად ვრცელდება.

ყველა სარეკომენდაციო დოკუმენტში მუშაობის ყველაზე დიდი წილი მოდის პრევენციის ეტაპზე. ამ დროს უნდა დაიგეგმოს სტრატეგიები ყველა მიმართულებით. საჭიროა, რისკების გათვალისწინებით, თავიდან გაიწეოს თითქმის ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი, რითაც სკოლა ხელმძღვანელობს. გასატარებელი ცვლილებები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება ისეთი საკითხებით, როგორცაა ჰიგიენის ზომების გაძლიერება, ფიზიკური გარემოს მოდიფიცირება, სასწავლო პროცესის ორგანიზება, ადამიანური რესურსის გადამზადება, საკომუნიკაციო არხების გაძლიერება.

დადგენილი სტრატეგიების დანერგვის შემდგომ ეტაპზე, არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი შესრულების ხარისხის მონიტორინგი. სკოლამ კრიტიკულად უნდა მოახდინოს თვითმეფასება – რამდენად ეფექტიანად მუშაობს ესა თუ ის მიდგომა, როგორ გაართვა თავი კონკრეტულ ამოცანას, რამდენად იქნა მიღწეული სწავლის შედეგები, ონლაინ სწავლებისას მოსწავლეთა რა ნაწილი დაიფარა, როგორია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირი და ა. შ..

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 14 აგვისტოს წარმოადგინა ის რეკომენდაციები, რისი გათვალისწინებითაც სწავლა საკლასო ოთახებში 15 სექტემბერს განახლდება:

- მოსწავლეებს შორის 1-მეტრიანი დისტანციის დაცვა;
- შენობაში შემსვლელი ყველა პირისთვის პირბადის სავალდებულო ტარება, გარდა მოსწავლისა;
- შენობაში ნებისმიერი პირის დემობარიერის გავლით, თერმოსკრინინგისა და ხელის დეზინფიცირების შემდეგ შესვლა;
- პირბადეების რეზერვის სკოლებში არსებობა;
- სველი წერტილების სანიტარული დამუშავება ყოველი დასვენების შემდეგ;
- ცვლებს შორის ნახევარსაათიანი შესვენება, საკლასო ოთახებისა და სკოლის საერთო სარგებლობის ფართების სანიტარული დასუფთავება და განიავება;
- სიცხიანი და რესპირატორული სიმპტომების მქონე მოსწავლეებისთვის დროებითი საიზოლაციო ოთახის გამოყოფა;
- ოთახების განიავება გაკვეთილებს შორის დასვენებებზე;
- ხშირად შესახები ზედაპირების სანიტარული დამუშავება;
- სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებში (მათ შორის, დერეფანი, კიბის უჯრედი, სამასწავლებლო და ა.შ.) ყოფნისა და გადაადგილებისას ყველა პირს (გარდა მოსწავლეებისა) უნდა ეკეთოს პირბადე, მათ შორის, დასვენებების პერიოდში და სხვა.

სამინისტროს განცხადებით, სკოლებს ექნებათ საშუალება, თავად შეარჩიონ მათზე მორგებული მოდელი, განსაზღვრონ გაკვეთილების ხანგრძლივობა, ცვლებში სწავლების საჭიროება და, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შეძლებენ დამატებით გამოიყენონ შაბათი დღე. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ნათელია რა უნდა გაკეთდეს, პრაქტიკაში ამის გადატანა წარმოუდგენლად შრომატევადი საქმეა და ყოველდღიურ ძალისხმევას მოითხოვს. ახალ „ძველ“ რეჟიმზე გადასაწყობად სკოლებს 1 თვე ჰქონდათ.



თამარ კაკანაძე

თბილისის
კლასიკური გიმნაზიის
დირექტორი

მიდგომები განათლების ხარისხისადმი

განათლების ხარისხის ამაღლების საკითხი ჩვენი სფეროს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა და გამონვევაა. მისი გადაწყვეტა კომპლექსურ მიდგომებს მოითხოვს და რამდენიმე არსებით მომენტთან არის დაკავშირებული. ესენია: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სკოლის მართვისა და სწავლების პროფესიული უზრუნველყოფა, დაფინანსების გაზრდა, რესურსების თვისებრივი გაუმჯობესება, ტექნოლოგიური განვითარება. რა თქმა უნდა, ბევრი სახელმწიფო ფიქრობს ამ თემაზე და სხვადასხვა გზით ცდილობს, გადაწყვიტოს არსებული პრობლემა. სტატია დანვრილებით მოგვითხრობს უკვე ცნობილი გამოცდილების შესახებ.

შესავალი

გლობალიზაცია განათლების საკითხს ადგილობრივ, რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეზე მთელი აქტუალობით განიხილავს. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მსოფლიოში განათლების გაუმჯობესებისთვის ასეულობით მილიონ დოლარს ხარჯავს.¹ ეს პროცესები საინტერესოა საგანმანათლებლო ორგანიზაციების ლიდერთათვის, რადგან მათ დღის წესრიგში ხარისხიანი განათლება შეაქვთ. იმდენად, რამდენადაც განათლება აბსტრაქტული არსებითი სახელია, ხოლო პიროვნულ დონეზე – უმთავრესად, პირის პასუხისმგებლობის კომპეტენცია, ცნების განსაზღვრა ადვილი არ არის. ხარისხიანი განათლების გაზომვადი ინდიკატორების დადგენა კი – უფრო რთულია. ამ პრობლემის განსახილველად მსოფლიოს საუკეთესო და ყველაზე აქტუალური მიდგომები შევარჩიეთ და მათი კრიტერიუმები ეთიკური სტრუქტურების მიხედვით გავაანალიზეთ. ნაშრომი ხარისხიანი განათლების კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს განათ-



ლების პოლიტიკის ფორმალურ ტექსტებსა და პროგრამებში ეძებს, როგორც არის: მდგრადი განვითარების მიზნები, ნორვეგიული, ამერიკული, უდიდესი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის—მსოფლიო ბანკის კრიტერიუმები თუ კომპონენტები. ხარისხიანი განათლების შესახებ არსებული კონცეფციებიდან ზოგი აქცენტს ადამიანურ კაპიტალზე (i), ზოგი კი—ადამიანის უფლებებზე (ii) აკეთებს. პირველი კონცეფციის მიხედვით, უთანასწორობა ბუნებრივი მოვლენაა და თანასწორობის ნებისმიერი მცდელობა საზოგადოებისთვის ძალადობრივად თავსმოხვეული გამოვა. კონცეფცია, სოციალიზმისა და/ან კომუნისტური შიშით, სოციალური სახელმწიფოს ყოველგვარ გამოვლინებას ეწინააღმდეგება, მაგრამ აქვთ მნიშვნელოვანი კითხვა ჩნდება—როგორ განხორციელდება განათლების რეფორმა თუ სოციალური სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები: სოციალური უსაფრთხოება, ეკონომიკური თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა უგულებელყოფილი იქნება? სოციალური სახელმწიფო მოქალაქეთა თანაბარი სოციალურ-ეკონომი-

კური განვითარებისათვის, მისი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისთვის, ღირსეული საცხოვრებლისთვის, დასაქმებისთვის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის თანაბარი ხელმისაწვდომობისთვის ბრუნავს. ამით ის იცავს ადამიანის უფლებებსა და გარანტირებულ თავისუფლებას, რითაც სახელმწიფოებრიობის ფუნქციას აღასრულებს. ხარისხიანი განათლების ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული კონცეფციის მიმდევრები (ii) თავის დისკურსს სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ დებულებებზე აფუძნებენ.² კულტურული კაპიტალის კონცეპტუალისტები (i), მმართველობის მერიტოკრატიული ფორმის აპოლოგეტებად გვევლინებიან. ამგვარი მიდგომა საგანმანათლებლო ორგანიზაციის დონეზე ახალი ტიპის „გამჭვირვალე ავტოკრატიის“³ წარმოქმნის საფრთხეს ბრდის; კვაში საბაზრო ეკონომიკის გაფეტიშება—პაგანიზებას ახდენს; პროფესიონალიზმს—აკრედიტაციითა და კვალიფიკაციით ანაცვლებს; პროფესიონალიზმსა და ეფექტიანობას შორის ხელოვნურად წარმოქმნილ კონფლიქტში, წინასწარი განსჯით, არჩევანს მეორის სასარ-

გებლოდ აკეთებს; საგანმანათლებლო ორგანიზაციაზე გარემოს ზეწოლას – ტრადიციული ღირებულებებისგან გადახვევის, მასწავლებლის ახალი მენტალიტეტის ფორმირების მიზნით – ყოველთვის ამართლებს; ეს ყოველივე კი – ხარისხიან განათლებას სრულ ბუნდოვანებაში ხვევს.

ხარისხიანი განათლების ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული კონცეფცია (ii) არაა დამაჯერებელია. „ყველა ბავშვის ხარისხიანი განათლების“, „არც ერთი აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლის“ დებულებები ნებისმიერ დოკუმენტს რომანტიკული უტოპიის ელფერს სძენს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გონება რეალობას არამისი გაუმჯობესების, არამედ აღმასრულებელი სისტემის სრული კრაზისთვის ებრძვის. ყველაფერი ევრისთევსისა და ჰარაკლეს მითოსური წინააღმდეგობის ამბავს ჰგავს, მაგრამ ეს სხვა თემაა და სხვა დროს ვისაუბროთ. სინამდვილე კი საკლასო ოთახებში აკადემიური კაპიტალიზმის შემოსვლად ფორმდება: სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გადაეშენენ. მცირეკონტინგენტთან სკოლებსა და საგანმანათლებლო ორგანიზაციებს არსებობა სულ უფრო და უფრო უჭირთ. ასეთ გარემოში ხარისხიანი განათლების ცნების დეტერმინირება საკმაოდ რთულია, მაგრამ შევეცდებით წინამდებარე სტატიაში სწორედ ამ საკითხის შესახებ ვიმსჯელოთ.


ხარისხიანი განათლება გლობალური განვითარების მიზნებში

2000 წლის 18 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 55/2 რეზოლუციით, ათასწლეულის დეკლარაციაში

ათასწლეულის განვითარების მიზნები (აგმ)⁴ დამტკიცდა. 2015 წელს გაეროს შტაბ-ბინაში, 193 სახელმწიფოს ლიდერი მდგრადი განვითარების 17 მიზანსა და 169 ამოცანაზე (მგმ)⁵ შეთანხმდა.⁶ მათი მიღებიდან ხუთი წლის თავი მიმდინარე წლის 25 სექტემბერს შესრულდება.

აგმ-ის განხორციელებისა და ყველა ხელმძღვანელი ქვეყნის საჭიროებებთან რელევანტურობის შესახებ დავა დღემდე არ წყდება. ქვეყნები ინოვაციურ გამოცდილებასა და ცოდნას ერთმანეთს უზიარებენ. საქმეს ართულებს ისიც, რომ მგმ-ის ხელმძღვანელი მთავრობები 2030 წლისთვის ხელისუფლებაში აღარ იქნებიან. ათასწლეულის განვითარების მიზნები (აგმ): სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, დაწყებითი განათლების საყოველთაობის უზრუნველყოფა, ქალთა უფლებების გაფართოება, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, ეკოლოგიური მდგრადობის ხელშეწყობა, გლობალური პარტნიორობის შექმნა აისახა მდგრადი განვითარების მიზნებში (მგმ), რასაც ორგანული კავშირი აქვს გარემოს მდგრადობასა (i) და ეკონომიკურ განვითარებასთან (ii).

- i. სამგანზომილებიანი მდგრადი განვითარების⁷ პრინციპები არის: i. სოციალური ჩართულობა, ii. გარემოს მდგრადობა და iii. ეკონომიკური განვითარება. ამ სამი საყრდენიდან გარემოს მდგრადობა ყველაზე მთავარია, რადგან სოციუმში და ეკონომიკაც სწორედ მასში – უფრო დიდ სისტემაში არსებობს. გარემოს მდგრადობა აკმაყოფილებს აწმყოს მოთხოვნებს ისე, რომ არ უქმნის საფრთხეს მომავალი თაობების შესაძლებლობას, დაიკმაყოფილონ თავისი საჭიროებები.⁸



დიაგრამა 01: მდგრადობის სამი საყრდენი სვეტი⁹

ii. ეკონომიკური განვითარება არ არის ეკონომიკური ზრდა, ეს არის – გაფართოებული კვლავწარმოება და თანდათანობით თვისებრივი და სტრუქტურული პოზიტიური ცვლილებები ეკონომიკაში, მწარმოებელ ძალებში, განათლებაში, მეცნიერებაში, კულტურაში, მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტსა¹⁰ და ხარისხში¹¹, ადამიანურ კაპიტალში. ეკონომიკური განვითარება მოიცავს სოციალური ურთიერთობების განვითარებას, ამიტომ ის კონკრეტულ სოციოკულტურულ რეალობაში განსხვავებულია, ეკონომიკის ტექნოლოგიური სტრუქტურისა და მატერიალური სიმდიდრის განაწილების სპეციფიკის მიხედვით. ეს არის: ადამიანის ცხოვრების დონის, ადამიანური ღირსებისა და უფლებების რეალიზების, გაუმჯობესების პროცესი.

როგორც აღვნიშნეთ, აგმ-ის პრიორიტეტები აისახა მგმ-ში. აქ მთავარი სამიზნე სიღარიბისა და უთანასწორობის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლაა. მიზნის მიღწევის გზად კი კანონის უზენაესობის განმტკიცება, კორუფციის აღმოფხვრა, დისკრიმინაციულ ტრადიციებთან და ნორმებთან ბრძოლა, უკეთესად დაგეგმილი და ინფორმირებული ინიციატივების საშუალებით მარგინალიზებული ჯგუფების გააქტიურება მიიჩნევა.¹²

მგმ საერთაშორისო მნიშვნელობის, სახელმწიფოთა მთავრობების მიერ მთელ მსოფლიოში სავალდებულოდ შესასრულებელი დოკუმენტია. ავტორი უცნობია, რადგან მასზე საავტორო უფლებას გაერო ფლობს. ხარისხიანი

განათლება დოკუმენტის ერთ-ერთი პრინციპია და არა ერთადერთი. მიუხედავად ამისა, ის ხარისხიანი განათლებას ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული კონცეფციით განიხილავს.

სიღარიბის, უთანასწორობისა და ავადმყოფობის საბოლოო დაძლევა, ისევე, როგორც ეკოლოგიური უსაფრთხოების, მშვიდობიანი განვითარებისა და საყოველთაო დასაქმების მიღწევა, მსოფლიოს ათასწლეულის განვითარების პრინციპებზე გადასვლას მოითხოვს. მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიზანია – ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის. მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხარისხიანი საყოველთაო განათლებას, რომელიც შემდეგ საფეხურებსა და სფეროებს მოიცავს:

- სკოლამდელი განვითარების (საფეხური);
- დაწყებითი და საშუალო განათლების (საფეხური);
- პროფესიული და უმაღლესი განათლების (საფეხური);
- კითხვის, წერისა და თვლის უნარების განვითარება;
- ადამიანის უფლებების, მსოფლიო კულტურისა და მოქალაქეობის, ღირებულებითი ცნობიერების ამაღლება.

ამ თვალსაზრისით, ხარისხიანი განათლების საყოველთაობა – მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ბაზისურ ღირებულებას წარმოადგენს.

№	ფორმალური განათლების საფეხურები	პრინციპები				ღირებულებები
		უზასო	ხარისხიანი	თანასწორი / საყოველთაო თანაბრად ხელმისაწვდომი	უწყვეტი სწავლება	
1	სკოლამდელი	X	X	X	X	<ul style="list-style-type: none"> ■ მდგრადი განვითარების (მგ) წესი ■ მდგრადი ცხოვრების (მც) წესი ■ ადამიანის უფლებები ■ მსოფლიო კულტურა ■ მსოფლიო მოქალაქეობა ■ ღირებულებითი ცნობიერება ■ კულტურული მრავალფეროვნება ■ კულტურის წვლილის გაცნობიერება
2	დაწყებითი	X	X	X	X	
3	საშუალო	X	X	X	X	
4	პროფესიული		X	X		
5	უმაღლესი		X	X		

ცხრილი 01. განათლების პრინციპები საფეხურების მიხედვით და ღირებულებები

სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო განათლება განისაზღვრება: უფასოობით, ხარისხიანობით, თანასწორობითა და ეფექტური სწავლებით, ხოლო პროფესიული და უმაღლესი განათლება – ასევე მაღალხარისხიანობითა და თანაბარი ხელმისაწვდომობით (იხ. ცხრილი 01). ფორმალური განათლების ღირებულებები: მდგრადი განვითარებისა და მდგრადი ცხოვრების წესი, ადამიანის უფლებები, მსოფლიო კულტურა, მსოფლიო მოქალაქეობა, ღირებულებითი ცნობიერება, კულტურული მრავალფეროვნება და კულტურის წვლილის გაცნობიერება, ხარისხიანი განათლების მისაღწევი ღირებულებებია.

მიუხედავად იმისა, რომ ხარისხიანი განათლების უფლება მდგრადი განვითარების მიზნებით, ადამიანის უფლებებით და კონსტიტუციითაც თითქოს გარანტირებულია, მისი ყველასთვის რეალიზება მაინც დიდ პრობლემად რჩება.

მაინც, რა არის ხარისხიანი განათლება და როგორ განმარტავენ მას განვითარებულ ქვეყნებში.

ხარისხიანი განათლება – ნორვეგიული კრიტერიუმები

განათლების ხარისხის ექვსი კრიტერიუმი შემუშავებულია ნორვეგიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (Norad) მიერ, რომელიც ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანაარსებობს. დოკუმენტი ხარისხიან განათლებას ინვაირონმენტალიზმისა და ადამიანის უფლებების კონცეფციებიდან განიხილავს. მას, მინიმუმ ნაციონალურ დონეზე და მაქსიმუმ – ევროპის მასშტაბით მოქმედების არეალი გააჩნია, მაგრამ ეს არ არის სავალდებულო მნიშვნელობის. ავტორი აქაც უცნობია და დოკუმენტზე საავტორო უფლებას ნორვეგიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო ფლობს. დოკუმენტის უმთავრესი მიზანი ხარისხიანი განათლების რეალიზებაა.

ნორვეგიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილი განათლების ხარისხის ექვსი კრიტერიუმი: I. მასწავლებელი და სწავლების მეთოდები; II. განათლების შინაარსი; III. სასწავლო გარემო; IV. სკოლის მართვა; V. სწავლების წინაპირობა; VI. დაფინანსება და ორგანიზება.¹³

მასწავლებელი და სწავლების მეთოდები – ხარისხიანი განათლების პირველი კომპონენტი. პედაგოგის შეფასების კრიტერიუმებია: კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები; სწავლა/სწავლების ინტერაქტიური მეთოდები; მოსწავლეთა განსხვავებულობების ჰარმონიზება სასწავლო გარემოში; ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მაღალი ხარისხის სასწავლო მასალასა და რესურსებზე წვდომა; კლასში/თან/სთვის საჭირო დროს, საკმარისი რეგლამენტით ყოფნა; მასწავლებლის ჯამაგირის კორელაცია მისი და მისი ოჯახის საციცოცხლო მოთხოვნებთან და ღირსეულ საქმიანობასთან; სახლიდან სამსახურამდე მანძილის დაფარვისთვის საჭირო დრო და ფინანსები.

მასწავლებლები, რომლებიც სათანადო სამართლიან ჯამაგირს ვერ იღებენ, ნაკლებად მოტივირებულნი ხდებიან. მათში ენერჯის ხარჯვა-აღდგენის ბალანსი ირღვევა, რაც მათ მინიმუმ, პროფესიული გადაწვის საფრთხის წინაშე აყენებს. თუ მასწავლებელს სკოლაში მისასვლელად ორი-სამი საათი სჭირდება, ის ვერც სათანადო განწყობის ჩამოყალიბებას შეძლებს და საგაკვეთილო პროცესის უმნიშვნელოვანეს საკითხებსაც მუდმივად უგულებელყოფს.

საგანმანათლებლო შინაარსი – ხარისხიანი განათლების მეორე კომპონენტი. მისი შეფასების კრიტერიუმებია: ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების რელევანტურობა სასწავლო მასალასთან; სასწავლო რესურსების ორიენტირებულობა წიგნიერებისა და ციფრული კომპეტენციის უნარების განვითარებაზე; ესგ-ში ისეთი ცოდნისა და საბაზისო უნარების განვითარება, როგორცაა: ჰიგიენის დაცვა, ჯანსაღი კვება, დღის განრიგის შედგენა, აივ ინფექციისგან დაცვა, კონფლიქტებისა და რისკების მართვა, ლოგიკური ფალსიფიკაციებისა და პროპაგანდისგან დაცვა, გამოხატვის თავისუფლებისა და ადამიანური ღირსების თანაბრად დაცვა, სხვა მნიშვნელოვანი ეროვნული და საერთაშორისო საკითხების გაგება.

სასწავლო გარემო – ხარისხიანი განათლების მესამე კომპონენტი. მისი კვლევა შესაძლებელია შემდეგი

კითხვების საშუალებით: არის თუ არა სასწავლო გარემო ჯანსაღი, უსაფრთხო, დაცული, ადაპტირებული როგორც გოგონებისთვის, ასევე ბიჭებისთვის? არის ინკლუზიური სასწავლო გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის? სწავლობენ მოსწავლეები ერთმანეთისა და გარემოს პატივისცემას? თანამშრომლობენ თუ არა მასწავლებლები ჯანსაღი და დაცული სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად? სჯიან მასწავლებლები მოსწავლეებს? ჩართული არიან თუ არა მშობლები და თემის წარმომადგენლები სტუმართმოყვარე სკოლის მშენებლობაში?

სკოლის მართვა – ხარისხიანი განათლების მეოთხე კომპონენტი. მისი შესწავლა შემდეგი კითხვების მიხედვით წარმოებს: სკოლა გამართულად მუშაობს? ასრულებს თუ არა ის ეროვნულ ინტერესებს? სასკოლო განრიგი კარგად არის ორგანიზებული? სკოლის ადმინისტრაცია გამჭვირვალეა? ფინანსური და სხვა რესურსების მოზიდვა-განკარგვის დანახვა ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია? არსებობს თუ არა მასწავლებლის მოქმედების მკაფიო პარამეტრები თუ როგორ ასწავლოს, ურთიერთობდეს მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან? პედაგოგიურ და სასკოლო საბჭოებში მასწავლებლის პატივისცემა შეინიშნება?

სწავლების წინაპირობა – ხარისხიანი განათლების მეხუთე კომპონენტი. ამ კომპონენტის შესწავლა შემდეგი საკითხების მიხედვით მიმდინარეობს: რა გამოცდილებით მოდის მოსწავლე სკოლაში? რას შეიძლება ეს თავგადასავალი შევადაროთ, როგორია მისი პარადიგმა? ქონდა თუ არა მოსწავლეს ფატალურ პრობლემებთან გამკლავების გამოცდილება, როგორცაა: სტიქიური უბედურება, ძალადობა, ეთნიკური წმენდა, გენოციდი, ბავშვთა შრომა, სიმსივნე ან შიდსი? იზრდება თუ არა მოსწავლე ისეთ გარემოში, სადაც გოგონებსა და ბიჭებს, მდიდრებსა და ღარიბებს, სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლებს არათანაბარი შესაძლებლობები აქვთ? რამდენად განსხვავდება ერთმანეთისგან სამეტყველო ენა სკოლაში და სახლში? მოსწავლე სკოლაში მოსვლისას მშვიერია თუ დანაყრებული? ვის აქვს ალერგიული ან ქრონიკული დაავადება? მოსწავლე სკოლამდე და შინისკენ გრძელ გზას გადის?

დაფინანსება და ორგანიზება – ხარისხიანი განათლების ბოლო და საკვანძო პარამეტრი. მისი რეალიზება სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა. თუ სკოლა სათანადო დაფინანსებას არ ღებულობს და მკაფიო მითითებებით არ მოქმედებს, განათლების მაღალ ხარისხს ვერ უზრუნველყოფს. ამასთან, თითოეული სკოლა



საკუთარი რესურსების მართვასა და განკარგვაში დამოუკიდებელი უნდა იყოს. მას უნდა შეეძლოს მის ხელთ არსებული ქონება და ფასეულობები განვითარებისთვის გამოიყენოს ისე, როგორც ეს მას ყველაზე უკეთ შეუძლია განახორციელოს.

ნორვეგიის ზოგადი განათლების მიზანი არის ხარისხიანი განათლების მიღწევა. მიზნის მისაღწევად, დოკუმენტი მასწავლებლის ქცევით ორიენტირებს განსაზღვრავს; ესენია: საკუთარი საქმიანობის კვლევა და შეფასება; ინტერაქტიური სწავლების მეთოდების ფლობა და გამოყენება; სოციალური ჯგუფის აგება და ჩამოყალიბება; მაღალი ხარისხის სასწავლო მასალების შერჩევა და გამოყენება; კლასის კონტროლი, მხარდაჭერა, გამხნეება და განვითარება; საკუთარი საქმის ღირსეულად მსახურება, თუნდაც ღირსების მედალი არ მისცენ (ნორვეგიაში ღირსების მედალი არც არის); რესურსების გამოყენება, კომპეტენციების განვითარება; გარემოს ორგანიზება, ბრუნვა და დაცვა; აღიარება და წახალისება, თანამშრომლობა და ანგარიშგება; გააზრებული, დაგეგმილი, სინქრონული და შეთანხმებული ქცევა, პასუხისმგებელიანი მოქმედება ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად; დროის სწორი დაგეგმვა და გადანაწილება; მრავალფეროვანი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება; საოფისე და საკანცელარიო საქმიანობის მართვა; მასწავლებლის საქმიანობის დაფასება, აღიარება, კარიერული ზრდა და დაწინაურება; ფარული კურიკულუმის შედგენა; ფსიქოლოგიური დახმარება და ფსიქორეაბილიტაცია; არაფორმალური და არაოფიციალური განათლება; ჯანსაღი კვების ორგანიზება; პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა; ტრანსპორტირება; პიროვნების პედაგოგიურ-ალმზრდელიობითი ისტორიის შედგენა.

ნორვეგიულ ხარისხიან განათლებას საფუძვლად შემდეგი ღირებულებები უდევს:

მასწავლებლის პიროვნება (ხელფასი/ტრანსპორტის ხარჯები და საკმარისი დრო), მასწავლებლის დადასტურებული კვალიფიკაცია, ესგ, ინდივიდუალიზმი, ნებაყოფლობითობა, სოციალური ჯგუფი, საზოგადოება; რელევანტურობა გეგმასა და რესურსს შორის, წიგნიერება და ციფრული კომპეტენციები, ჰიგიენა, ჯანსაღი კვება,

თვითორგანიზება, ეროვნული და საერთაშორისო საკითხები; ინდივიდუალიზმი, ადამიანის პატივისცემა, ჯანსაღი და დაცული სასწავლო გარემო, არაძალადობა, ღიაობა და სტუმართმოყვარეობა; ორგანიზაციული მართვის გამართულობა, ეროვნული ინტერესები, ერთგულება, დრო, გამჭვირვალობა, სიზუსტე, მასწავლებლის პატივისცემა; მოსწავლის განვლილი ცხოვრების გზა, სოციოკულტურული გარემო, ჯანმრთელობის მდგომარეობა, განწყობა, კულტურული კაპიტალი.

ხარისხიანი განათლება – მსოფლიო ბანკის კრიტერიუმები

განათლების ხარისხის შემდეგი ექვსი კრიტერიუმი შემუშავებულია მსოფლიო ბანკის მიერ. დოკუმენტი აფრიკისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში განათლების რეფორმის ფარგლებში დაფინანსებული პროექტია და იქ მისი განხორციელება სავალდებულოა. ზოგადად, საკითხით დაინტერესებული სპეციალისტებისა და ექსპერტებისთვის უაღრესად საინტერესო რესურსს წარმოადგენს. ხარისხიანი განათლების კრიტერიუმები ფინანსური და შინაარსობრივი ანგარიშგების რთულ პროცედურას პროექტის განვითარების ციკლის სახით გადის. მასზე თვალისმიდევნება ისე, როგორც გაეროს მგმ-ის განხორციელებაზე, შესაძლებელია როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე მთლიანი ანგარიშების მიხედვითაც. დოკუმენტი ხარისხიან განათლებას ნაწილობრივ ადამიანის უფლებების, ნაწილობრივ კი ადამიანური კაპიტალის კონცეფციებიდან განიხილავს. ის ნორვეგიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებთან საკმაოდ ახლოს დგას. დოკუმენტზე სააგენტო უფლებას მთლიანად მსოფლიო ბანკი ინარჩუნებს. დოკუმენტის უმთავრესი მიზანი ხარისხიანი განათლების რეალიზება არის.

მსოფლიო ბანკი ხარისხიანი განათლების მისაღწევად განათლების სისტემის რეფორმის ექვს ძირითად კომპონენტს გვთავაზობს: I. შეფასება, II. სკოლების ავტონომია, III. პასუხისმგებლობა, IV. მასწავლებელი, V. ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარება, VI. კულტურა.

შეფასება (I). ხარისხიანი განათლების მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად შეფასების მონაცემებს გადაამწყვე-

ტი დატვირთვა ენიჭება. ეს მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო სისტემის არსებული მდგომარეობის დასადგენად. თუ მოსწავლე წამში ერთ სიტყვას, ხოლო წუთში 60 სიტყვას კითხულობს—ტექსტს მთლიანობაში აღიქვამს, დაიმსხვოვრებს და ცალკეულ ნაწილებს შორის ორგანულ კავშირებსაც იოლად აღმოაჩენს.¹⁴ მოსწავლის მიღწევები კიდევ უფრო გაუმჯობესდება თუმის კითხვის უნარის მონიტორინგი—სტანდარტებისა და პროცედურების დაცვით განხორციელდება. მოსწავლის შეფასების სისტემები სასარგებლოა, როდესაც ინფორმაცია ტექნიკურად გამართული, გასაგები და ფართოდ გავრცელებულია. განვითარებად და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, სადაც ტექნიკური და საკომუნიკაციო საშუალებები არაეფექტურია — შეფასების სისტემებიც გაუმართავია. მომავლის კარიერული დაგეგმვის მიზნით, კოლნიური გავლენით, მოსწავლეები სწავლისთვის არამშობლიურ ენას ირჩევენ. ამის გამო, მოსწავლეებს წაკითხულიდან შინაარსი ვერ გამოაქვთ. ფინეთს სკოლამდელ და საბაზო განათლებაში ასაკობრივი ჯგუფის ტესტირება საერთოდ არ აქვს. ერთადერთი ეროვნული გამოცდა ტარდება საშუალო სკოლის ბოლოს.

ავტონომია (II). სკოლის ავტონომიის გაზრდა განათლების ხარისხს გააუმჯობესებს. ავტონომია ქონების ფლობის, რესურსების მოძიების, არჩევანის და დააწვევტილების მიღების მიმართულებებს მოიცავს. იმ ქვეყნებმა, რომელთა სტუდენტებმაც საერთაშორისო ტესტები კარგად გაიარეს, სკოლების ავტონომიის რეფორმა გაატარეს. ეს რეფორმა მჭიდრო კავშირშია სკოლების უფლებამოსილებასთან. ავტონომიურ სკოლაში: პასუხისმგებლობა მის ადმინისტრაციას ეკისრება სკოლის საკუთრებაზე; სკოლის რესურსები გაფართოებულია სოციალური ძალების მობილიზაციის გზით; სკოლაში განათლების აქტუალობის საკითხი ჩართული მხარეების მაღალ მოტივაციას განაპირობებს; განათლების ყველა საფეხურზე სკოლის კონკურენტუნარიანობა აშკარად გამოკვეთილია. ნიდერლანდების შემთხვევა ცხადყოფს თუ როგორ იძლევა სკოლის ავტონომია ეფექტურობას და აუმჯობესებს სწავლის ხარისხს. ნიდერლანდები ავტონომიაზე დაფუძნებული განათლების სტრუქტურის ყველაზე

ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ქვეყნად შეიძლება მივიჩნიოთ. იქაც, როგორც საქართველოში, ყველა სკოლა დაფინანსებულია მთავრობის მიერ, თუმცა სკოლების უმეტესობას სამეურვეო საბჭოები ხელმძღვანელობენ. ავტონომია ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. ამ მხრივ, სანიმუშო მდგომარეობაა მთელ ავსტრალიაში, კანადაში, ფინეთსა და იაპონიაში.

პასუხისმგებლობა (III). ავტონომიურობასთან მჭიდრო კავშირშია პასუხისმგებლობა. განათლების ხარისხზე და განათლების ამოცანების შესრულებაზე საჭირო დროის დათმობა ანგარიშვალდებულებით მიიღწევა. გადაწყვეტილების მიღების უფლება ადგილობრივ მმართველობაზე, სკოლის ადმინისტრაციაზე, მოსწავლეებზე, მშობლებსა და პედაგოგიურ გუნდზე ნაწილდება. სკოლის ავტონომია ძირეულად ცვლის მართვის სტრუქტურას და პასუხისმგებლობის გადანაწილებას ითვალისწინებს. გაერთიანებულ სამეფოში განათლების ანგარიშვალდებულების სისტემის რეფორმა 1988 წელს განათლების აქტის საფუძველზე განხორციელდა. აქტში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის როლი და პასუხისმგებლობები ნათლად იყო გაწერილი. ინგლისის სკოლების ავტონომიამ სტუდენტების სწავლის შედეგები გააუმჯობესა.

მასწავლებელი (IV). კარგ მასწავლებელს სასწავლო პროცესისთვის დრო არ ენანება, რაც სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას იწვევს. ამ მხრივ, საუკეთესო მდგომარეობაა ფინეთში. განათლების ხარისხის არის, რაც სისტემაში მოღვაწე მასწავლებლების ხარისხია. მოსწავლეთა მოტივაცია და საგანში წარმატებაც მასწავლებელთა პროფესიონალიზმსა და გულმოდგინებაზე არის დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, რომ სწავლების ხარისხი პროფესიონალი კადრების სწორად შერჩევაზე, მასწავლებლის სახელფასო ფონდსა და პედაგოგიური კვალიფიკაციის მუდმივამაღლებზე არის დამოკიდებული.¹⁵ ფინეთში მასწავლებლობის კანდიდატს შემდეგი პროცედურით არჩევენ: ეროვნული გამოცდა — სამასი კითხვისგან შემდგარი პრობლემების გადაჭრის, არჩევით-ბოლოიანი, ღია და დახურული ტესტი. საუნივერსიტეტო გამოცდა — ინფორმაციის გადამუშავების, კრიტიკული

აზროვნებისა და მონაცემთა ანალიზის დაზოგადი წიგნიერების უნარების შეფასება. მასწავლებლობის მაძიებელი შეიძლება გახდეს მხოლოდ 20% ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე კურსდამთავრებულებისა. სწავლებისა და სწავლის მოტივაციის, კომუნიკაციის უნარებისა და ემოციური ინტელექტის შემაფასებელი სიღრმისეული საუნივერსიტეტო ინტერვიუ. კომუნიკაციის, დემონსტრაციისა და პიროვნებათაშორისი ურთიერთობების საუნივერსიტეტო ჯგუფური სამუშაო. შესარჩევი კონკურსი (სკოლები) – უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულებს ცალკეული სკოლები უწყობენ შესარჩევი კონკურსებს.

ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარება (V). ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარებაზე (ააბგ) (Early childhood development (ECD)) ყურადღების გაზრდა მოზარდობის ასაკში, ააბგ-ში ხარისხიანი ჩარევა პროდუქტიულობას ზრდის; სახელმწიფო ხარჯებს ზოგავს და ხარისხიანი განათლების საფუძვლად გვევლინება. პიროვნების სწავლისა და კეთილდღეობის საფუძველს ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარება წარმოადგენს.¹⁶ კვლევებმა აჩვენა, რომ სინაფსების წარმოქმნის სიხშირე ადრეულ ასაკში იზრდება, ხოლო დაწყებითი სასკოლო ასაკის პერიოდში – კლებულობს. ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარებაზე განსაკუთრებული ზრუნვის გამოცდილებით სანიმუშოა იამაიკა.

კულტურა (VI). კულტურის მიმართ ყურადღება სახელმწიფო ენის მშობლიურთან შედარებით უპირატესი სტატუსის, კულტურის განვითარების დაბრკოლებად შეიძლება იქცეს. საკითხი პოლიტიკური კონოტაციისა და ზოგჯერ რელიგიურ ფასეულობასთან იდენტიფიკაციის გამო სადაოდ იქცევა. ის, რომ ბავშვები მშობლიურ ენაზე ვერ სწავლობენ განათლების ხარისხზე ნეგატიურად მოქმედებს. საქართველოში ეს განსაკუთრებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეიმჩნევა. განათლების რეფორმის განხორციელება დამოკიდებული, განპირობებული და გამომდინარეა კულტურული კონტექსტიდან. კულტურაში – განათლების, მართვის, თანაგრძნობის, სამშობლოს შესახებ არსებულ იმ ღირებულებებსა და ღირებულებით ორიენტაციებს ვგულისხმობთ, რომელიც მოცემულ სოციოკულტურულ რეალობაში არსებობს.

ხარისხიანი განათლება – ამერიკული კრიტერიუმები

ხარისხიანი განათლების ამერიკული კრიტერიუმები შემუშავებულია კონკრეტული მეცნიერის მიერ. მისი გაცნობა და გამოყენება ყველა მოტივირებული პროფესიონალისთვის არის შესაძლებელი. დოკუმენტს არანაირი ვალდებულებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. მისი უმთავრესი მიზანი ხარისხიანი განათლებისთვის საჭირო გარემოსა და განწყობების ჩამოყალიბებაა. დოკუმენტი ხარისხიანი განათლებას მთლიანად ადამიანური კაპიტალის კონცეფციებიდან განიხილავს; მიუხედავად ამისა, საკმაოდ კონსერვატიულად გამოიყურება. ის მგმ-ის, ნორვეგიისა და მსოფლიო ბანკის ხარისხიანი განათლების კრიტერიუმებისგან სრულიად განსხვავდება. ხარისხიანი განათლების ამერიკული ხედვა მკვიდრ წარმოდგენებს ქმნის დისციპლინის, თვითორგანიზებისა და შინაგანი მზაობის მიმართულებით. ის ბუნდოვანებისა და პლატონური ჩრდილების ალეგორიებიდან სრულიად დაცლილ სიცხადეზეა დაფუძნებული. სამყაროს მთლიანობის კონცეპტი, ნებაყოფლობითობა და აღმოჩენის შედეგად მოგვრილი აღმაფრენა, ასევე განათლების ხარისხის ამერიკულ ნიშანს წარმოადგენს. და ბოლოს, ერთი ცხადი კავშირი სტოიკურ ასკეტიზმთან – ეს არის სიმტკიცე, მუდმივი მზაობა გარდამტეხი წამის შესაჩერებლად, შემობრუნების წერტილის მუდმივად გარდასაქმნელად. ხარისხიანი განათლების ამერიკული კრიტერიუმები მხოლოდ ადამიანს და მის მიერ განპირობებულ გარემოს შეეხება, სადაც ის თავისუფალია და ამითაა განმგებელი.

დიუკის უნივერსიტეტის სენფორდის საჯარო მართვის სკოლის პროფესორ-ემერიტუსი ფილიპ კუკი (Philip J. Cook) ხარისხიანი განათლების 5 კომპონენტს გამოყოფს, ესენია: I. რიგორიზმი, II. რელევანტურობა, III. კრეატიულობა, IV. ინდივიდუალიზმი, V. სიმტკიცე.

რიგორიზმი კანონისადმი უსიტყვო მორჩილების და მისი განუხრელად დაცვის მნებობრივი პრინციპია, მიმართული ლაქსიზმის¹⁷ და პრობაბილიზმის¹⁸ წინააღმდეგ. მიზნად ისახავს საგანმანათლებლო რეჟიმის შექმნას და მოსწავლისთვის მკაფიო, მუსტი კითხვების მომზადებას, რადროსაც ის აგროვებს ინფორმაციას, ადარებს ერთმანეთს, აანალიზებს, მიდის ორიგინალურ გადაწყვეტამდე, წერს, საუბრობს, ქმნის.

რელევანტურობა – შესაბამისობა შერჩევის დროს. ფილოსოფიის ერთ-ერთი განშტოება – ეპისტემოლოგია, ცოდნის ბუნებას (სიმართლეს, აღქმას, გონებას, მეხსიერებას, ხედვას), ცოდნისა და რწმენის რაციონალობას (რწმენის დასაბუთებას) შეისწავლის. რელევანტურობა ეპისტემოლოგიის შესწავლის ობიექტია, რაც ერთი თემის კონცეფციის სხვა თემის კონცეფციასთან კავშირში ვლინდება და სწავლების პროცესში ღრმა წვდომას, რთული სააბროვნო სავარჯიშოების შემოტანას, ღია კითხვების გენერირებას, ინსტრუქციების სიზუსტეს და პროექტებით სწავლებას ითვალისწინებს.

კრეატიულობა – ახლის და ღირებულის აღმოჩენა (იდეა, თეორია, კომპოზიცია, გამოგონება, ნაწარმოები, ნახატი და სხვ). აქ მნიშვნელოვანია სერ კენ რობინსონის (Ken Robinson) ნაშრომები. ავტორი „ყველა ბავშვის განათლების“ შესახებ ამრს ირონიულად აღიქვამს:¹⁸ მილიონობით უყურადღებოდ დარჩენილი ბავშვი რეალობაა, ყველა ბავშვის ხარისხიანი განათლება – ირონია. ყველა ბავშვის ხარისხიანი განათლება გამორიცხავს მრავალფეროვნებას შესაბამისობის ხარჯზე. განათლებამ ყველა საგნის სწავლაზე თანაბრად უნდა იზრუნოს. ბავშვში ცნობისმოყვარეობის აღძვრა მასწავლებლების პროფესიონალიზმის საქმეა. მასწავლებელს ბავშვი სწავლამდე მიჰყავს, კარგი მასწავლებელი კი – სწავლის შესაძლებლობას აძლევს და ამას უიოლებს. განათლების კულტურა ფოკუსირებას სწავლა/სწავლებაზე უნდა ახდენდეს და არა გამოცდებზე, სტანდარტულ ტესტებზე, დიაგნოზის დასმაზე. განათლებამ უნდა გააღვიძოს და განავითაროს შემოქმედებითი ნიჭი. ამისთვის საჭიროა, ზუსტად განისაზღვროს თუ: რა არის სწავლა და სწავლება, ვინ

არის მოსწავლე, როგორ გავავლიძოთ ბავშვში სწავლის სურვილი. მასწავლებლის პროფესიას უნდა ენიჭებოდეს ძალიან მაღალი სტატუსი. პასუხისმგებლობა უნდა გადანაწილდეს სასკოლო გარემოზე. განათლების პოლიტიკის საფუძველს მისი რადიკალურად მექანიკური კონცეფცია არ უნდა ქმნიდეს. ერთხელ და სამუდამოდ განათლება უნდა გამოცხადდეს ადამიანურ სისტემად, სადაც ბრძანება და კონტროლი საერთოდ გამოირიცხება. ასეთია, განათლების ცნობილი სპეციალისტის კენ რობინსონის მოსაზრებები კრეატიულობის შესახებ.

ინდივიდუალიზმი – ინდივიდუალურ თავისებურებათა ერთობლიობა. გეორგ ზიმელის,¹⁹ ულრიხ ბეკის,²⁰ ზიგმუნდ ბაუმანის მიხედვით, სოციალური ცვლილების დროს პრივატული კაცის სახით მიიღება.²¹ კაცის პრივატულობა უფრო ასოციალურობაა, ვიდრე სოციალურობა. შესაძლოა, პრივატული ადამიანი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი და აღიარებული პიროვნება იყოს, მაგრამ თავად ამ კაცის ინტერესის საგანი ეს არ არის, იგი აქეთ არ მიისწრაფვის. სასწავლო პროცესში ეს მოსწავლისთვის მიცემულ იმგვარ ინდივიდუალურ თავისუფლებაში ვლინდება, როცა ის თავად მიაკვლევს რაიმე უნიკალურ იდეას, მას გაეცნობა და სიახლეს თანატოლებს ენთუზიამით გააცნობს. შესაძლოა, აქ ტექნოლოგიის მნიშვნელობა გაიზარდოს.

სიმტკიცე ეთიკურ სათნოებათა შორის ერთ-ერთია, რაც ნების, სულის სიმტკიცეს, გაასკეცებულ გარჯას აღნიშნავს. ეს ის პიროვნული თვისებაა, რომელსაც ახასიათებს თანმიმდევრულობა, მიზანსწრაფულობა, ერთგულება და თავდადება. ის მოწადინებას და ბეჯითობას უკავშირდება, სასარგებლო ჩვევების გამოუმუშავებით მიიღწევა, რასაც დიდი შრომა და მონღლომებასჭირდება.

მშმ	ნორკვიშია	მსოფლიო ბანკი	აშშ
განათლების საყოველთაობა	მასწავლებელი & სწავლების მეთოდები	მასწავლებელი	რიგორიზმი
დაწყებითი საფეხურის უფასოობა	დაფინანსება და ორგანიზება	სკოლების ავტონომია	რელევანტურობა
ხარისხი	სასწავლო გარემო	კულტურა	კრეატიულობა
ეფექტური სწავლება	სკოლის მართვა	პასუხისმგებლობა	ინდივიდუალიზმი
	სწავლების წინაპირობა	ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარება	სიმტკიცე
	განათლების შინაარსი	შეფასება	

ცხრილი 02. ხარისხიანი განათლების კრიტერიუმები და კომპონენტები

მგმ-ი, ნორვეგიისა და მსოფლიო ბანკის კრიტერიუმები მსგავსი ალგორითმის მიხედვით არის შექმნილი. კერძოდ, თუ მასწავლებელს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი გააჩნია, ინტერაქტიური მეთოდით ასწავლის, მოსწავლეებთან საკმარის დროს რჩება, ჯამაგირი მისი და მისი ოჯახის სასიცოცხლო მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ე.ი. ხარისხიანი განათლება ხორციელდება. ამგვარი მიდგომა, წინასწარ გაწერილი სტანდარტიზებული „პატერნის“ მიხედვით მოქმედი პირის უწყვეტ გარეგან კონტროლს, მის მუდმივ გამოცდას, ნებისმიერი ცვლილების წინასწარ შემუშავებული ხარისხის ეტალონთან შედარებას გულისხმობს და ეს პროფესიული საქმიანობის ყოველ ნაწილზე, ყოველ ფრაგმენტზე ვრცელდება.

ფილიპ კუკის ხარისხიანი განათლების კომპონენტები კაცის მთლიანობიდან, შესაძლებლობებიდან და პიროვნულობიდან ამოდის. ეს ის კაცია, რომელიც გარემოებების კარნახით კი არ მოქმედებს, არამედ ფიზიკლად ადევნებს მას თვალს, ცხადად აღიქვამს. ეს კაცი გარემოს დასაურ-

ვებლად, გასაუმჯობესებლად უწყვეტად მოქმედებს. მან იცის, რომ უსასრულოდ დიდზე უფრო დიდსა და პატარაზე პატარას იმრავლეთა დევნაზე მნიშვნელოვანი საკუთარი თავის შეცნობაა, როგორც თვითორგანიზებული, სამართლიანის, უანგაროს და ხალისიანის.

დასკვნა

ლოკალურ დონეზე ხარისხიანი განათლების განხორციელება საერთაშორისო გლობალური დოკუმენტების გააზრებას და გამოცდილების შესწავლას მოითხოვს. ასეთ დოკუმენტებად მივიჩნევთ: მდგრადი განვითარების მიზნებს, ხარისხიანი განათლების ნორვეგიულ, ამერიკულ და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს.

განხილული დოკუმენტები ერთმანეთისგან განსხვავებულია შექმნის, მიღების, გავრცელების არეალის, საავტორო უფლებების, აუცილებლობის, ინსტიტუცი-



ონალიზაციის, დანიშნულებისა და სხვა პარამეტრების მიხედვით.

განათლების ხარისხის განსაზღვრა დაკავშირებულია მატერიალური და არამატერიალური რეალობისა და ფენომენების ურთიერთქმედებასთან. ამიტომ ეს საკმაოდ რთული საქმეა.

ხარისხიან განათლებას, როგორც საგანმანათლებლო ორგანიზაციის მიზანს, საკუთარი ღირებულებები და ღირებულებითი ორიენტირები, ასევე, ქცევითა გარკვეული თანმიმდევრულობა, პროცედურული ნორმები გააჩნია. ზემოხსენებულ დოკუმენტებში მიზნის მიღწევის კრიტერიუმები ეთიკური სტრუქტურების მიხედვით გავანალიზეთ. აღმოჩნდა, რომ ღირებულებების, ქცევისა და მიზნების ურთიერთმიმართება ყველგან ეთიკური მოდელების მიხედვით არის წარმოდგენილი.

განხილულ დოკუმენტებში ხარისხიანი განათლების შესახებ არსებული კონცეფციები აქცენტირებულია როგორც ადამიანურ კაპიტალზე, ასევე ადამიანის უფლებებზე. ამასთან, მდგრადი განვითარების მიზნებში, ხარისხიანი განათლების უფრო ადამიანის უფლებებზე ორიენტირება შეინიშნება, ამერიკულ სტანდარტში კი – ადამიანურ კაპიტალზე კეთდება აქცენტი.

2000 წლის 18 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 55/2 რეზოლუციით მიღებული ათასწლეულის განვითარების მიზნები 2015 წლის 25 სექტემბრის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში აისახა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მგმ-ი ორგანულ კავშირშია გარემოს მდგრადობასა და ეკონომიკურ განვითარებასთან, ასევე მგმ-ში ეკონომიკური განვითარების, სოციალური ჩართულობისა და გარემოს მდგრადობის მიმართ მიდგომა უფრო ჰოლისტური გახდა.

მგმ-თვის ხარისხიანი განათლების საყოველთაო საბაზისო პრინციპს წარმოადგენს. მგმ-ის ღირებულებები: მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების წესი, ადამიანის უფლებები, მსოფლიო კულტურა, მსოფლიო მოქალაქეობა, ღირებულებითი ცნობიერება, კულტურული მრავალფეროვნება, კულტურის წვლილის გაცნობიერება.

ხარისხიანი განათლების ნორვეგიული ექვსი კრიტერიუმი არის: მასწავლებელი და სწავლების მეთოდები, განათლების შინაარსი, სასწავლო გარემო, სკოლის მართვა, სწავლების წინაპირობა, დაფინანსება და ორგანიზება. ხარისხიანი განათლების მისაღწევად განსაზღვ-

რულია მასწავლებლის კონკრეტული ქცევები: საკუთარი პროფესიული საქმიანობის კვლევა და შეფასება; ინტერაქტური სწავლების პრაქტიკა, ლიდერობა, სასწავლო რესურსების შერჩევა და გამოყენება, ჯგუფის მართვა და გარემოს ორგანიზება, კვალიფიციური კომუნიკაცია, კარიერის დაგეგმვა და განვითარება, პიროვნების პედაგოგიურ-აღმზრდელითი კურიკულუმის ორგანიზება. ნორვეგიულ ხარისხიან განათლებას საფუძვლად მნიშვნელოვანი ღირებულებები უდევს: პიროვნების აღიარება, პროფესიული დაფასება, პროფესიული კვალიფიკაცია, ნებაყოფლობითობა, სოციალურობა, თვითორგანიზება, არაძალადობა, სტუმართმოყვარეობა, ეროვნული ინტერესები, ერთგულება, სიზუსტე, სოციოკულტურული გარემო, განწყობა, კულტურული კაპიტალი.

ხარისხიანი განათლების ამერიკული ხუთი კრიტერიუმი არის: რიგორიზმი, რელევანტურობა, კრეატიულობა, ინდივიდუალიზმი, სიმტკიცე. კრიტერიუმები საკმაოდ მოქნილი და მთლიანად ადამიანურ კაპიტალზე არის ორიენტირებული.

ხარისხიანი განათლების მსოფლიო ბანკის ექვსი კრიტერიუმი არის: შეფასება, სკოლების ავტონომია, პასუხისმგებლობა, მასწავლებელი, ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარება, კულტურა.

მდგრადი განვითარების მიზნებში, ნორვეგიის, აშშ-ისა და მსოფლიო ბანკის მიერ წარმოდგენილი ხარისხიანი განათლების კრიტერიუმები გვიჩვენებს, რომ განათლების ხარისხი, საგანმანათლებლო ორგანიზაციისა და განათლების სისტემის გარდა, სხვა ფაქტორებზეც არის დამოკიდებული, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანებს შორის არსებული განწყობა-დამოკიდებულებებია. ამ უკანასკნელს კი არაფერი ისე ძლიერ არ აზიანებს, როგორც მანიპულირება და სიმულაციები. ორივე მათგანი მოჩვენებითობითა და უნდობლობით არის გაჯერებული, რაც ძალადობისა და აგრესიისთვის საუკეთესო ნიადაგია. განათლება ძალადობასთან და აგრესიასთან კი არაბედნიერებასთან არის მჭიდრო კავშირში. განათლების მიზანი ადამიანებისთვის სიხარულისა და ბედნიერების მინიჭება უნდა იყოს. თუ ბედნიერების გლობალური ინდექსის ანგარიშებს ჩაეხედავთ, ვნახავთ, რომ საგანმანათლებლო პოლიტიკა მთელ მსოფლიოში არსებითად მცდარია.

შენიშვნები:

- 1 2015 წლისთვის რამდენიმე სახელმწიფომ მიიღო მილიონიანი დაფინანსება შემდეგი ოდენობით: ბანგლადეში – 56, კოლუმბიის რესპუბლიკა – 57, დომინიკელთა რესპუბლიკა – 51, ეკვადორის რესპუბლიკა – 50, სალვადორი – 53, განა – 51, კენია – 55, მალავის რესპუბლიკა – 65, ნეპალის ფედერალური დემოკრატიული რესპუბლიკა – 24, პერუ – 75, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა – 86. 2030 წლამდე, საქართველო \$140 მილიონს მიიღებს, იხ.: Tracking Spending on the SDGs, <https://www.internationalbudget.org/wp-content/uploads/tracking-spending-sustainable-development-goals-ibp-budget-brief-2017.pdf>
- 2 სახელმწიფოს კონსტიტუციის მეხუთე მუხლის მიხედვით საქართველო სოციალური სახელმწიფოა: „საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე“, იხ.: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, სარეგისტრაციო კოდი: 010.010.000.01.001.000.116, 2018; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>
- 3 Öge Kerem, Transparent autocracies: The Extractive Industries Transparency Initiative (EITI) and civil society in authoritarian states, Journal: The Extractive Industries and Society, Volume 4, Issue 4, November 2017; pp. 816-824
- 4 Millennium Development Goals (MDGs)
- 5 Sustainable Development Goals (SDGs). მთლიანი დოკუმენტი: მსოფლიოს ტრანსფორმაცია: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის, იხილეთ: <https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld>
- 6 გაეროს გენერალური ასამბლეის A/RES/70/1 რეზოლუცია, https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_70_1_E.pdf
- 7 ხაზი გაესვა 2012 წლის რიოს+20 კონფერენციაზე
- 8 Report of the World Commission on Environment and Development: Our Common Future, United Nations Department of Economic and Social Affairs (UN DESA), 1987; p. 41. <https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/5987our-common-future.pdf>
- 9 დიკრამა განთავსებულია ჯორჯიის შტატის არაკომერციული კვლევითი ორგანიზაციის Thwink.org-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <https://www.thwink.org/sustain/glossary/EnvironmentalSustainability.htm>
- 10 Standard of living, ქართულად თარგმნიან, როგორც „ცხოვრების დონეს“, რაც მის შინაარსს ზუსტად ვერ გამოხატავს. ცხოვრების სტანდარტის დასადგენად მხედველობაში იღებენ: შობადობა-სიკვდილიანობის თანაფარდობას; სიცოცხლის ხანგრძლივობას; სანიტარულ და ჰიგიენურ პირობებსა და საცხოვრებელი ფართის მოცულობას; საკვების მრავალფეროვნების, ასაკის, გეოგრაფიული მდებარეობისა და კალორიების თანაფარდობას; საბინაო პირობებს; განათლებისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას; სამუშაო პირობებსა და დასაქმების დონეს; შემოსავლისა და ხარჯვის ბალანსს; სამომხმარებლო ფასებს; ტრანსპორტის ხელმისაწვდომობას; დასვენების შესაძლებლობას; სისტემურ სოციალურ უზრუნველყოფას; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზების ხარისხს; ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავლის ოდენობას; საარსებო მინიმუმისა და მინიმალური სამომხმარებლო კალათის თანაფარდობას; ადამიანის განვითარების ინდექსს (HDI); ფუნქციონალური წიგნიერებისა და განათლების დონეს (HDI); ჯინის კოეფიციენტს; ბიგ მაკის ინდექსს; ანთროპომეტრიულ მონაცემებს; სამუშაო საათების, შემოსავლისა და ხარჯვის ბალანსის, მოხმარებული კალორიებისა და ანაბლურების თანაფარდობას;
- 11 ცხოვრების ხარისხის (Quality of life Index, QOL) შეფასება ცხრაფაქტორიან კვლევას წარმოადგენს და მოიცავს: ჯანმრთელობის; ქორწინებისა და განქორწინების; საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის; მატერიალური კეთილდღეობის; პოლიტიკური სტაბილურობისა და უსაფრთხოების; კლიმატური და გეოგრაფიული ვითარების; სამსახური დაკმაყოფილების; თავისუფლების ინდექსის; ქალისა და მამაკაცის ხელფასების თანაფარდობის მაჩვენებლებს.
- 12 Gurbo M., Why are Sustainable Development Goals Important? The Institute for Development of Freedom of Information (IDFI), Project of Supporting the Implementation of UN Sustainable Development Goals in Georgia; https://idfi.ge/en/why_does_sdgs_matter
- 13 Key elements of quality: Six basic elements influence the quality of education; <https://norad.no/en/front/thematic-areas/education/education-quality/six-key-elements-of-quality/>
- 14 Abadzi H., Efficient Learning for the Poor: New Insights into Literacy Acquisition for Children, International Review of Education, № 54(5-6), 2008; pp. 581-604
- 15 Barber M., Mourshed M., How the World’s Best-Performing School Systems Come on the Top, New York, 2007; pp. 16-23 / Hanushek E. A., Rivkin S. G., How to Improve the Supply of High Quality Teachers, Paper Prepared for the Brookings Papers on Education Policy, 2003; pp. 14-19
- 16 Heckman J. J., Invest in the very young. In: Tremblay R. E., Barr R. G., Peters R. De. V. (Eds). Encyclopedia on Early Childhood Development. Montreal, Quebec: Centre of Excellence for Early Childhood Development, 2004
- 17 Iaxus opinandi modus, შემრიგებლური აზროვნება, მე-17 ს-ის ზნეობრივი სიმულაცია, რომლის თანახმადაც, საეჭვო / საკამათო ვითარებაში ნებისმიერი მოსაზრება დაიშვებოდა, იხ.: პეტროზილო პ., ქრისტიანობის ლექსიკონი, თბ., 2011; გვ. 271
- 18 ვარაუდის მორალი, მე-16 ს-ის ზნეობრივი სიმულაცია, რომელიც საორტოვო ვითარებაში ნებისმიერ ქვევას თავისუფლების პრინციპით ამართლებს, თუნდაც, რომ კონკრეტულ ქვევას კანონი კრძალავდეს, იხ.: პეტროზილო პ., ქრისტიანობის ლექსიკონი, თბ., 2011; გვ. 271; 259
- 19 Robinson Ken, Creative schools: the grassroots revolution that’s transforming education, New York, 2015, pp. 171 - 219
- 20 Bistis M., Simmel and Bergson: The Theorist and the Exemplar of the Blasé Person, Journal of European Studies №35(4), 2005; pp. 395-418
- 21 Beck U., World at Risk, Cambridge, 2009; pp. 43-59; Beck U., World at Risk, Journal of Development and Society, Volume 37, № 1, June 2008, pp. 1-21
- 22 Dawson M., Bauman, Beck, Giddens and our understanding of politics in late modernity, Journal of Power, Vol. 3, Issue 2, 2010; pp. 189-207

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის: <https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld>
2. გაეროს გენერალური ასამბლეის A/RES/70/1 რეზოლუცია, https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_70_1_E.pdf
3. პეტროზილო პ., ქრისტიანობის ლექსიკონი, თბ., 2011
4. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, სარეგისტრაციო კოდი: 010.010.000.01.001.000.116, 2018; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>
5. ფირცხალაშვილი ა., სოციალური სახელმწიფოს ფორმულა: მაქსიმუმი, სულ ცოტა, მინიმუმისათვის, European.ge, 2017; <http://european.ge/socialuri-saxelmwifos-formula-maximumi-minimumisatvis/>
6. Abadzi H., Efficient Learning for the Poor: New Insights into Literacy Acquisition for Children, International Review of Education, № 54(5-6), 2008; pp. 581-604
7. Baltodano Marta, Neoliberalism and the demise of public education: the corporatization of schools of education, International Journal of Qualitative Studies in Education, Volume 25, Issue 4, 2012; pp. 487-507. <https://doi.org/10.1080/09518398.2012.673025>
8. Barber M., Mourshed M., How the World's Best-Performing School Systems Come on the Top, New York, 2007; pp. 16-23
9. Beck U., World at Risk, Cambridge, 2009; pp. 43-59; Beck U., World at Risk, Journal of Development and Society, Volume 37, № 1, June 2008, pp. 1-21
10. Bistis M., Simmel and Bergson: The Theorist and the Exemplar of the Blasé Person, Journal of European Studies №35(4), 2005; pp. 395-418
11. Dawson M., Bauman, Beck, Giddens and our understanding of politics in late modernity, Journal of Power, Vol. 3, Issue 2, 2010; pp. 189-207
12. Dumay Xavier, Dupriez Vincent, Educational quasi-markets, school effectiveness and social inequalities, Journal of Education Policy, Volume 29, Issue 4, 2014; pp. 510-531. <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/02680939.2013.850536>
13. Gurbo M., Why are Sustainable Development Goals Important? The Institute for Development of Freedom of Information (IDFI), Project of Supporting the Implementation of UN Sustainable Development Goals in Georgia; https://idfi.ge/en/why_does_sdgs_matter
14. Hanushek E. A., Rivkin S. G., How to Improve the Supply of High Quality Teachers, Paper Prepared for the Brookings Papers on Education Policy, 2003; pp. 14-19
15. Heckman J. J., Invest in the very young. In: Tremblay R. E., Barr R. G., Peters R. De. V. (Eds). Encyclopedia on Early Childhood Development. Montreal, Quebec: Centre of Excellence for Early Childhood Development, 2004
16. Key elements of quality: Six basic elements influence the quality of education; <https://norad.no/en/front/thematic-areas/education/education-quality/six-key-elements-of-quality/>
17. Monteiro A. Reis, Main Approaches to Education Quality, The Teaching Profession - Present and Future, New York, 2015; pp. 7-17
18. Monteiro A. Reis, The Teaching Profession - Present and Future, New York, 2015
19. Öge Kerem, Transparent autocracies: The Extractive Industries Transparency Initiative (EITI) and civil society in authoritarian states, Journal: The Extractive Industries and Society, Volume 4, Issue 4, November 2017; pp. 816-824
20. Report of the World Commission on Environment and Development: Our Common Future, United Nations Department of Economic and Social Affairs (UN DESA), 1987; p. 41. <https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/5987our-common-future.pdf>
21. Robinson Ken, Creative schools: the grassroots revolution that's transforming education, New York, 2015, pp. 171 - 219
22. Tracking Spending on the SDGs, <https://www.internationalbudget.org/wp-content/uploads/tracking-spending-sustainable-development-goals-ibp-budget-brief-2017.pdf>

ინტერნეტ-წყაროები:

23. ამერიკული კომერციული სოციალური ქსელი მეცნიერთათვის: Academia.edu
24. ანალიტიკური მედიაგამოცემა, ევროპული არჩევანი საქართველოსთვის: <http://european.ge/>
25. ბიუჯეტირების საერთაშორისო პარტნიორობა (IBP): <https://www.internationalbudget.org/>
26. გაეროს (UN) ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://www.un.org/>
27. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის (UNDESA) მდგრადი განვითარების მიზნების განყოფილება (DSDG): <https://sdgs.un.org/>
28. განათლების მიზნების თანამშრომლობის ნორვეგიული სააგენტოს (Norad) ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://norad.no/>
29. ინტერნეტგაზეთი: <http://mastsavlebeli.ge/>
30. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://idfi.ge/ge>
31. მეცნიერ-მკვლევართა ევროპული სოციალური ქსელი "ResearchGate": <https://www.researchgate.net/>
32. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka>
33. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა: <https://www.nplg.gov.ge/ge/home>
34. სტენფორდის ფილოსოფიური ლექსიკონი, <https://plato.stanford.edu/>
35. ჯორჯის შტატის არაკომერციული კვლევითი ორგანიზაციის Thwink.org-ის ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://www.thwink.org/sustain/glossary/EnvironmentalSustainability.htm>

ჩვენი ჟურნალის მკითხველებმა უკვე იციან, რომ შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა „მცირე პროზა“, რომელიც სკოლის უფროსკლასელებს მსოფლიო მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს აცნობს შედარებით მცირე მოცულობის მოთხრობათა სახით – გაკვეთილზე წაკითხვა და მსჯელობა რომ მოესწროს.

ამ კურსით მოსწავლეები ეცნობიან: რიუნოსკე აკუტაგავას, გაბრიელ გარსია მარკესის, ხორხე ლუსი ბორხესის, ჯერომ სელინჯერის, ერნესტ ჰემინგუეის, ტონინო გუერას და სხვა მსოფლიო კორიფეთა შემოქმედებას.

პრინციპი ასეთია:

თავდაპირველად მოსწავლეებს ვაცნობთ ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების შესახებ მოკლე ანოტაციას; შემდეგ ვაწვდით საკუთრივ მოთხრობას, რომელსაც მოსდევს ჩემ მიერ შედგენილი მცირე გზამკვლევი.

რუბრიკით „ჰუმანიტარული განათლება სკოლაში“ ამჯერად წარმოგიდგენთ გამოჩენილი ამერიკელი მწერლის, ჯონ აპდაიკის მოთხრობას, რომელსაც ჰქვია „ხვალ, ხვალ და კიდევ ხვალ“.

ეს ტექსტი საგანმანათლებლო საზოგადოებისთვის საინტერესო გამოწვევაა, რადგან ძალიან ხშირი არ არის შემთხვევა, როდესაც ასეთი მაღალი რანგისა და რეპუტაციის მწერალი სასკოლო თემატიკით ინტერესდება.

დაკვირვებული თვალი და გონება აპდაიკის ამ მოთხრობაში რამდენიმე მნიშვნელოვან სააზროვნო ნაკადს წააწყდება, რომელზე საუბარიც ნამდვილად ღირს ჩვენს მოსწავლეებთან.

გია მურღულია



ჯონ აპდაიკი

ცნობილი ამერიკელი მწერალი, ჯონ აპდაიკი 1932 წლის 18 მარტს, პენსილვანიაში, რედინგში დაიბადა. 13 წლის განმავლობაში ცხოვრობდა შელინგტონში, რომელიც ასევე პენსილვანიაში მდებარეობს. მამა—სკოლის მასწავლებელი გახლდათ, დედა კი მოთხრობებს წერდა.

1954 წელს წარმატებით დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი, სადაც ინგლისურ ლიტერატურას სწავლობდა, ასევე გაიარა ოქსფორდის უნივერსიტეტის სამხატვრო სკოლის ერთწლიანი კურსი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, აპდაიკი ჰარვარდში სატირული ჟურნალის „Lampoon“ რედაქტორი გახლდათ. ინგლისიდან ამერიკაში დაბრუნების შემდეგ ორი წელი ჟურნალ „ნიუ იორკერში“ მუშაობდა, სადაც პირველი მოთხრობების გამოქვეყნება დაიწყო. ამის შემდგომ ის იპსვიჩში გადავიდა საცხოვრებლად.

მისი პირველი რომანი 1959 წელს გამოქვეყნდა, რასაც 1960 წლიდან მოჰყვა რომანების ციკლი კურდლის შესახებ, რომელშიც რამდენიმე წიგნი შევიდა, მათ შორის „კურდელი გამდიდრდა“ და „კურდელი დამშვიდდა“. ამ სერიისთვის ჯონ აპდაიკს პრესტიჟული პულიცერის პრემია მიენიჭა.

ჯონ აპდაიკი 28 რომანის და 45-მდე სხვა წიგნის ავტორია, მათ შორის არის ლექსებისა და ესეების, ასევე მოთხრობების კრებულები. შეგვიძლია დავასახელოთ „ისტვიკელი ალქაჯები“ (1984 წ.), „კენტავრი“ (1963 წ.), „მეუღლეები“ (1968 წ.).

მწერალი 2009 წლის 27 იანვარს, მასაჩუსეტსში, ბევერლი ფარმში გარდაიცვალა.

ხვალ, ხვალ და კიდევ ხვალ

თარგმნა ნანა ბუხრაძემ

„რჩეული მოთხრობები“

შემდგენლები – გია მურღულია და ბეგო ბეჟუაშვილი

ტ. 5, თბილისი, 2008

მე-11^ე კლასი ერთი შფოთითა და ყაყანით 109-ე საკლასო ოთახში შემოდის. მარჯ პროსერი მიხვდა, ჯგუფის ამგვარი გამოცოცხლება უთუოდ ავდარს ჰპირდებოდა. საკვირველი იყო, აგერ უკვე სამი წელია საშუალო სკოლაში ასწავლიდა და მინცვერაფერი გაეგომობარდების. რა ეგენი და მგრძობიარე ცხოველები. ჰაერის პატარა ცვალებადობა და უკვე კარგი ბარომეტრივით იყენენ მომართულები.

ბრუტ იანგი კარებში შეჩერდა თუ არა, სადღაც მის გვერდით ბარისნაიდერი ახითხითდა. ბარის არაბუნებრივი სიცილი გაისმა და ისევ შეწყდა. აშკარად რაღაც მზაკვრულ საიდუმლოს სულის კაწკაწით გემოს უსინჯავდა და ლამის ცაში აჭრილიყოზარების ჩამოსარეკად – ეს ამბავი მარტო სკოლის ყოჩმა და მე, პატარა ბარიმ ვიცითო. ბარი ყოჩის ჭირს მიწაზე არ აგდებდა. ყოჩს კი მისთვის არ სცხელოდა: კისერი მოღრეცოდა და ცდილობდა კარებში დაენახა ის, რაც ჯერაც არ ჩანდა, მაგრამ მოწოლილ ტალღასთან ვერაფერი გააწყო და თან გაჰყვა.

სწორედ პროსერის ცხვირიწინ, როგორც ისტორიულ ანალებში, სამეფო კარზე აღსრულებული, მოულოდნელად გამოაშკარავებული მკვლელობა, ვილაცამ ფანქრით განგმირა გოგონა. მან არაფრად ჩააგდო თავდასხმა და

ცხვირი გამომწვევად აიბზუა. სხვა ხელი ამასობაში ჯეფერი ლანგერის პერანგის კალთას დასწვდა და დაითრია. სამაგალითო მოსწავლეს, ჯეფერის ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო; ხუმრობად მიეჩნია ეს ყველაფერი თუ გამოწვევა მიელო და ბოლოს, ვითომც თავი ნუ მომაბებრეთო, ცივ, ქედმაღალ კომპრომისს დასჯერდა, რაც პროსერმა მისთვის ჩვეული გუმანით კარგად იგრძნო, ალაპლაპებული გასაღებები და გადაკეცილი მანუეტების აბრჭყვიალებული ღილები ამ პროცესიას რაღაც განსაკუთრებული ელექტრობით მუხტავდა, რაც უამინდობის მომასწავებელი იყო.

გლორია ანგსტრომის სვიტერი მარკს სულ თვალწინ ედგა და მოსვენებას არ აძლევდა. ნეტა დღესაც ის უსახელო მოვარდისფრო-ქარვისფერი სვიტერი ეცმება? ქალიშვილის ნატიფი, სალუქი მკლავები ისეთივე ვნების აღმძვრელი იყო, როგორც სიყვარულით მთვრალი ნებიერი ქალის სხეული.

მაღე ნატვრაც აუსრულდა. ოთახში ზღაზღვნიტ შემოსული მოზარდების ბოლო ჯგუფში სასურველმა ფერმა გაიეღვა.

„აბა, ადგილებზე – დაიძახა პროსერმა. – არ გესმით? გამოვიაროთ, გამოვიაროთ!“

უმეტესობა დამორჩილდა, მაგრამ პიტერ ფორსტერი გლორიას ირგვლივ მოქუჩულ ჯგუფებს გამოყოფოდა, ცხვირწინ დასდგომოდა მას და სათქმელს ისეთი თავგამოდებით ამთავრებდა, აშკარად ეტყობოდა ამ გოგოს გაცინებას ლამობდა და მაშინლა დაწყნარდა, როდესაც გლორია მართლა ჩაბჭირდა. პიტერმა კმაყოფილებით თავი უკან გადაიქნია. წითური თმა კობტად შეეკრიჭა და შუბლზე საგულდაგულოდ დაეწყო. მარკს ყოველთვის სძულდა წითური კაცები. მათი წამწამები, დაბერილი სახეები, გადმოკარკლული თვალები, გამომწვევად თვითდაჯერებული იერი მიზლსა ჰგვრიდა. ო, ისინი ხომ თავხედთა ჯიშისანი იყვნენ. თავად მარკს თმა წაბლისფერი ჰქონდა.

როდესაც გლორია დიდი ამბით მერხზე მოკალათდა და პიტერმაც თავის ადგილს მიაშურა, პროსერმა სწორედ მას მიმართა.

„დიახ“, – პიტერი წამოდგა და წიგნში გაკვეთილს ქექვა დაუწყო.

„იქნებ აგეხსნათ ამ სიტყვების ზუსტი მნიშვნელობა – „ხვალე ხვალს მოსდევს და წვრილ ნაბიჯით დღე დღის უკან მიიზღაზნება!“.

პიტერმა მერხზე გადაშლილ „მაკბეტის“ სასკოლო გამოცემას თვალი შეაპარა. პიტერის გონებამახვილობის ამბავი ბევრმა კარგად იცოდა და ახლა ამის მოლოდინში რომელიღაცა გოგონამ სულელურად წაიკიკინა. გოგონებს მოსწონდათ პიტერი: მათ ხომ ამ ასაკში ორი ბატიც არ მიეზარება.

„წიგნი დახურეთ, პიტერ, ეს ადგილი დღეისათვის ყველამ უნდა იცოდეს. გახსოვთ?“ გოგონა უკანა რიგებიდან ალტაცებისაგან ახლა უკვე წიოდა. ამასობაში გლორიამ პიტერს წიგნი მოუმარჯვა.

პიტერმა საკუთარი წიგნი ხმაურით დახურა და კისერი წაიგრძელა. „მე მგონი, – ეს ზუსტად იმას ნიშნავს, რასაც აქ, ამ სტროფებში ვკითხულობთ“.

„მაინც რას ვკითხულობთ?“

„უბრალოდ, „ხვალ“ ის რაღაცაა, რომელიც ხშირად გვაფიქრებს ხოლმე, ყოველი ჩვენი გეგმა ხვალინდელ დღეს უკავშირდება“.

„მაშინ გამოდის, რომ მაკბეტი თავს სახვალყო გეგმებით იზღუდავდა?“

მისტერ პროსერის საამებლად ჯეფრი ლანგერმა მლიქვნელურად გაიცინა და აამაკიდეც. პროსერმა იგრძნო, უპირატესობას ბოროტად ვიყენებო და უკან დახევა გადაწყვიტა. ბოლოსდაბოლოს არც ისე უღმერთოდ სცოდავდა ბიჭი.

„მე მესმის...“ – დაიწყო პროსერმა.

მაგრამ პიტერი არ შეჩერებულა, წითელთავა იყო და ზომა-წონისა, აბა, რა მოეკითხებოდა. „მაკბეტის აზრით, ჩვენ უნდა ვიფიქროთ დღევანდელ დღეებ იმიტომ, რომ ხელიდან არ გავუშვათ ბედნიერება, რომელიც დღესაც გვაქვს ცხვირწინ“.

მარკმა გადაწყვიტა ზედმეტი გონებამახვილობა არ გამოეჩინა და წუთიერი დუმილის შემდეგ წარმოთქვა: „ოჰ, რასაკვირველია, თქვენ მართალი ხართ, პიტერ, მაგრამ როგორ ფიქრობთ, იმ მდგომარეობაში, მაკბეტი, – აქ უკვე ველარ გაუძლო ცდუნებას, – ისე ამჩატებოდა, რომ ასეთ ენამზეობას მოჰყვებოდა?..“

ჯეფრიმ კვლავ გაიცინა. პიტერს ალმური მოედო, იატაკს ჩააშტერდა. გლორიამაც ველარ დამალა სიბრაზე და გაგულისებულმა პროსერი თვალებით გაანადგურა.

მარკი შეეცადა შეცდომა გამოესწორებინა. „გთხოვთ გამიგოთ, პიტერ. მე თვითონ არ მეგულება სწორი პასუხი,

¹ უ. შექსპირი, „მაკბეტი“, თარგმანი ი. მანაბლისა.

მაგრამ ვფიქრობ, ეს მონოლოგი თუნდაც ამ ადგილამდე – „თუმც უმნიშვნელო, მაგრამ სავსე აურზაურით“ – „ლაპარაკობს იმაზე, რომ ცხოვრება, ჰმ, მამაძაღლობაა, დიდი ვერაფერი ბედენაა“.

„ნუთუ შექსპირი ნამდვილად ამას გულისხმობდა?“ – წვრილი, ნერვიული ხმით იკითხა ლანგერმა.

ამ კითხვაში მარკმა კარგად იგრძნო მისთვის ერთ დროს განცდილი დაუნდობელი სინამდვილის შიში. მიხვდა, რაღაც მაინც უნდა ეთქვა. პიტერი დასვა, თვითონ კი ფანჯარაში ცის სწორ კიდურს მიაჩერდა. ღრუბლები თანდათან ძალას იკრებდნენ, იქუფრებოდნენ. „შექსპირის პიესაში, – დინჯად დაიწყო მან, – ბევრი შავბნელი ადგილია. არც ერთი მისი ნაწარმოები ისეთი შემხარავი არ არის, როგორც „მაკბეტი“. გარემო აქ აუტანელი, მომწამვლეელია. ერთ კრიტიკოსს უთქვამს კიდეც, კაცობრიობას ამ პიესაში სული ეხუთებაო, – და უცებ თვითონ მას სუნთქვა ისე შეეკრა, რომ ჩაახველა. შემოქმედების შუა პერიოდში შექსპირი წერდა ისეთ ადამიანებზე, როგორებიცაა: ჰამლეტი, ოტელო, მაკბეტი. საზოგადოება, საკუთარი სევდა ან სულაც უკუღმართი ბედი რომ არა, ისინი კიდეც ეწეოდნენ თავიანთ დიდ საწადელს. მსოფლიო სევდაზე მეტყველებს თვით ამ პერიოდის შექსპირისეული კომედიებიც. თავისი ადრეული კომედიების მკვეთრი, მზიანი ზედაპირის გამჭოლ, მან თითქოს რაღაც შემადრწუნებელი დაინახა. ასეთივე რაღაცამ შეიძლება ოდესმე ზოგიერთი თქვენგანიც შეადრწუნოს“. საჭირო სიტყვები რომ ეპოვა, მისდა უნებურად მარკი გლორიას მისჩერებოდა. გოგონამ თავი უხერხულად დაუქნია. მარკი გამოერკვა და გაუღიმა.

მარკი ცდილობდა ზედმეტი არ მოსვლოდა და ამიტომ ნათქვამი შეარბილა. „ვფიქრობ, შექსპირმა შეიგრძნო სიმართლის ორმხრივობა. მისი ბოლო პიესები ნათელი და სიმბოლურია. იგი თითქოს უსხლტება სიბოროტეს და ისევ სიკეთის სამეფოში ხვდება. ამით შექსპირმა მოგვცა ცხოვრების შედარებით ყველაზე უფრო სრული ხატი, ვიდრე ნებისმიერმა სხვა მწერალმა, თუ არ ჩავთვლით, დანტეს, იტალიელ პოეტს, რომელიც მასზე რამდენიმე

საუკუნით ადრე მოღვაწეობდა“. მაკბეტის მონოლოგი მარკს სულ გადაავიწყდა.

რამდენჯერ მიუხარებიათ მისთვის კოლეგებს – ბავშვები მასხრად გიგდებენ და შენი გულმავიწყობით მარჯვედ სარგებლობენო. მან ჯეფრის გახედა. ის კი თავისთვის იჯდა და რაღაც წიგნაკს ჩაჰყურებდა. ბატონმა პროსერმა დაავიწყებინა: „შექსპირის ბოლო პიესა მეტად უჩვეულოა. ჩვენ მას „ქარიშხლის“ სახელწოდებით ვიცნობთ. შემდეგი სემინარი 10 მაისსა გვაქვს. იქნებ ზოგი დაინტერესდეს და წაიკითხოს. პიესა დიდი არაა“.

ჯგუფი განცხრომას მისცემოდა. ბარი სნაიდერი დაფასთან რაღაცას ეშმაკობდა და ერთი სული ჰქონდა, სანამ ბრუტ იანგი დაინახავდა. „კიდეც ერთხელ, ბარი, – თქვა ბატონმა პროსერმა, – და გახვალთ გარეთ“. ბარი გაწითლდა და ეს რომ დაემალა, გაიღრჩა, მან თვალები ბრუტისაკენ გააპარა. უკანარი გზი ქარაფშუტა გოგო პომადას ისვამდა.

„შეწყვეტეთ, ელის! ვგონებ, აქსილამაზის სალონი არ უნდა იყოს“. სიჯეკი, პოლონელი ბიჭი, ლამის ცვლაში მუშაობდა და ახლა ეძინა. მერხის პრიალა ფრთაზე მიდებულ ლოყა გასთეთრებოდა, პირი განზე მოქცეოდა. ერთი პირობა, პროსერმა იფიქრა, არ გავაღვიძებო, მაგრამ მიხვდა, ამ სიკეთით საკუთარ თავს უფრო მოხიბლავდა, ვიდრე სხვას. ეს თვითონაც არა ერთხელ უგრძნია. გარდა ამისა, დისციპლინის ერთი დარღვევა და სხვები თავს გავილოდნენ. მან მერხებს ჩაუარა და სიჯეკს მხარზე ხელი მოუჭირა; ბიჭმა გაიღვიძა. ჯგუფის წინა რიგებში ქოთქოთმა იმატა.

პიტერ ფორსტერი გლორიას გაცინებას ლამობდა და ყურში უჩურჩულებდა: გოგონას სახე კი მშვიდსა და საზეიმო იერს მოეცვა, აქაოდა, თავში რაღაც აზრი მიტრიალებსო, ბატონი პროსერის სიტყვებმა დამაფიქრესო, ეს უკანასკნელი წმინდა რაინდული შემართებით აინთო. „პიტერ! ვგონებ, თქვენს მოსაზრებებს რაიმეს დაამატებდით“.

„არა, იცით, მონოლოგი ვერ გავიგე. გთხოვთ ამიხსნათ“, – თავაზიანად მიუგო პიტერმა:

ასეთმა გულწრფელმა აღიარებამ და უცნაურმა თხოვნამ ჯგუფი მართლა განაცვიფრა. თეთრი, მრგვალი სახეები, როგორც იქნა, რალაციით დაინტერესდნენ და მარკს მი-აჩერდნენ.


„არ ვიცი, – თქვა მან, – მეგონა, ამას თქვენგან გავიგებდი“.

კოლეჯში პროფესორის ამგვარი სიტყვები დიდ შთა-ბეჭდილებას ახდენდა. პროფესორის თავმდაბლობა, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის აზრთა გაცვ-ლა-გამოცვლის შემოქმედებითი აუცილებლობა ჯგუფზე დრამატული სიძლიერით მოქმედებდა, მაგრამ აქ, 11^ლ-ში, მასწავლებელი გველის ხვრელში უნდა გამძვრალიყო და თავისი უვიცობა დაემალა. მარკმა თითქოს მოსდოო ლაგამიმათ, მიიზიდა კიდევ თავისკენ, მაგრამ ერთმასიტ-ყვამ პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. თავები ამოძ-რავდნენ, თვალები ძირს დაიხარნენ, ხმები აბზუილდნენ. პიტერ ფორსტერისნაირი ეშმაკის ფეხები კი ერთმანეთს დამცინავი კმაყოფილებით უღიმოდნენ.

„სიწყნარე! – დაიყვირა ბატონმა პროსერმა, – არ გესმით? პოეზია არითმეტიკა არ არის. აქ ვერც ერთ ზუსტ პასუხს ვერნახავთ. არ მინდა საკუთარი აზრები თავს მოგახვიოთ. ამისათვის როდი ვარ აქ“. დასადგურებული სიჩუმე კი დაჟინებით ითხოვდა პასუხს: „მაშ რისთვისა ხარ აქ?“ და იქაურობას გაურკვევლობით ავსებდა. „თქვენით უნდა იაზროვნოთ. ამ საქმეში კი მე დაგეხმარებით“.

ასე თუ ისე დაშოშმინდნენ. მან მდგომარეობა აწონ-და-წონა, მიხვდა, კვლავ ჩვეულებრივ, ადამიანურ ენაზე უნდა აჭიკჭიკებულიყო და ამიტომ მერხის კიდებზე მოშინაურე-ბული ბელურის უდარდებლობით წამოსკუპდა. „აბა, სერი-ოზულად, ნუთუ არავინ გაგვიზიარებს საკუთარ აზრს?“ – გულწრფელად იკითხა მან.

ერთი ხელი, რომელსაც მოხატული ცხვირსახოცი ბურთი-ვით ჩაებლუჯა, გაუბედავად აიწია. „აბა, გისმენთ, ტერეზა“,



– მორცხვი გოგო წაათამამა პროსერმა, ტერეზას დედა „იელოვას მოწმე“² იყო.

„მაკბეტის“ მონოლოგის კითხვისას ძალაუნებურად ღრუბლების ჩრდილი მახსენდება“, – თქვა მან.

ჯეფრი ლანგერმა გაიცინა. „ნუ უხეშობ, ჯეფ, – ჩუმიად ჩაულაპარაკა პროსერმა, შემდეგ კი ხმა აიმაღლა: – გმადლობთ, ტერეზა. თქვენი შენიშვნა საინტერესოა და საფუძვლიანი, ღრუბლების მოძრაობაში, ისევე როგორც მონოლოგის პირველ პწკარში, ერთფეროვანი რიტმი მართლა იგრძნობა. ეს ადგილი ძალზე მძიმეა, ასე არ არის?“ პროსერს პასუხი არ მიუღია.

ფანჯრის მიღმა ნამდვილი ღრუბლები ერთმანეთისაკენ მიიჩქაროდნენ, ხოლო მზის ერთი მეტად უჩვეულო თავნება სხივი ოთახში შემოიპარა და თავზე შემოდებული კოპწია ხელი გლორიას ოქროსფრად აულივლივა. „რას გვეტყოდა გლორია?“ – იკითხა პროსერმა.

გლორიამ, როგორც იქნა, დააყენა საშველი და მერხიდან თავი ზვიადი მედიდურობით ასწია. „რაც ტერეზამ თქვა, ძალიან მომეწონა, – განაცხადა და ჯეფრის თვალები დაუბრიალა. მან კი პასუხად გამომწვევად გაიცინა. – და კიდევ ეს – რას ნიშნავს „წვრილი ნაბიჯი““

„წვრილი ნაბიჯი“? – დაეკითხა პროსერი. აქიგულისხმება ყოველდღიური, უმიზნო ცხოვრების დღეები. ის დღეები, ბუღალტერი, ბანკის მოხელე ან სულაც სკოლის მასწავლებელი რომ ცხოვრობს“, – ღიმილით დაამატა მან.

გლორიას ღიმილითვე არ უპასუხია. რაღაცაზე ფიქრობდა და მშვენიერი წარბები შეეკრა: „მაგრამ მაკბეტი ომობდა, კლავდა მეფეებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვითონ იყო მეფე!“

„მართალია, მაგრამ ასეთი საქმეებიც კი მას არაფრად მიაჩნია, გესმით“, – უპასუხა პროსერმა.

გლორიამ თავი გაიქნია: „აი, კიდევ რა მაინტერესებს: ნუთუ სისულელე არ არის, რომ ყველაფერთან ერთად, შუაგულ ომში, მეუღლის უეცარი გარდაცვალების შემდეგ მაკბეტი დგას და თავის თავს ესაუბრება?“

„სულ ერთია, რაგინდ სწრაფად არ უნდა შეიცვალოს სინამდვილე, გონება პირველია მაინც“.

პასუხი სუსტი იყო; ამას ყველა მიხვდებოდა – მაშინაც კი, გლორიას, მართალია თავისთვის, მაგრამ მთელი კლასის გასაგონად რომ არ ჩაელაპარაკა – რა სისულელეა.

მარკს თითქოს ბზიკმა უკბინაო, ისე შეხტა. რა საშინელი სიცხადით ხედავდნენ ახლა მას მოსწავლეები, რა სასაცილო იყო მათ თვალში – ცარციანი ხელები, მასიურსათვალიანი ოფოფა, „ლიტერატურით“ გასიებული თავისი თავი ნათლად დაუდგა თვალწინ, ეს კი „ლიტერატურა“ გახლდათ, სადაც მეფე განსაცდელის ჟამსაც კი, ყველა-სათვის გაუგებარ ლექსებს ლულულულებს. მიხვდა, ბავშვებმა დიდსულოვნად შეიბრაღეს. ო, რა აუტანელი იყო მათი სიკეთე, რა შიშისმომგვრელი – მათი თავშეკავება, რწმენა. მაინც როგორ მოითმინეს და კლასიდან სიცილით არ მიაბრძანეს. ძირს დაიხედა, თითის წვერები ერთმანეთს შეატყუა და ხელებიდან ცარცის მოშორება სცადა. ახმაურებული ჯგუფი უცნაურად გატრუნულიყო. „რა დრო გასულა! – თქვა ბოლოს, – მოდი, საზეპიროს მიხვდეთ. ბერნარდ ემილსონ, თქვენ დაიწყეთ“.

ბერნარდს ცუდი მეტყველება ჰქონდა და ამიტომ ასე დაიწყო „ვალე ვალს მო დევს“... კლასში ფხუკუნი ატყდა, ერთი გადახარხარება ყველაფერს ერჩინათ. თავის წიგნაკში კი ბატონმა პროსერმა ბერნარდის გვარის გასწვრივ ხუთიანი მოხაზა. სკოლის ექიმის ღრმა რწმენის მიუხედავად – ბიჭს ორგანული არაფერი სჭირსო – ზეპირში ბერნარდს ბატონი პროსერი ყოველთვის ფრიადს უწერდა.

² რელიგიური სექტა.

თუმც უგულობა იყო, მაგრამ, როგორც წესი, ზეპირი გამოკითხვა წინა რიგებიდან იწყებოდა. როდესაც ელისის ჯერი მოვიდა, პიტერ ფორსტერი ისე დაეჭყანა გოგოს, საბრალოდ ხმა ვერ ამოიღო. მარკმა კარგა ხანს ამყოფა იგი ასე დაყუდებული და მხოლოდ მაშინ მოლბა, როდესაც გოგონას სახე მწიფე ალუბალს და-ემსგავსა. „იქნებ ცოტა ხნის შემდეგ გეცადათ, ელის“. უმრავლესობა კარგად მომზადებულიყო, თუმცა ერთ პწკარს – „ვიდრე ჟამთ ბრუნვა უკანასკნელს საათს დაჰკრავდეს“ – ყველა ტოვებდა და რატომღაც „იჭიმება–იგრიხება“ აბრუნებდნენ, როგორც „იგრიხება–იჭიმება“, ან მხოლოდ იჭიმება–იჭიმებას ამბობდნენ. სიჯეკს მართალია, ნაუცბათევად, მაგრამ მაინც ესწავლა ნახევარი მონოლოგი „მთლად გაქრობამდე“, ჯეფრი ლანგერი, როგორც ყოველთვის, თავის ცოდნას უხვად აფრქვევდა და შიგადაშიგ საკუთარ ჭკვიანურ კითხვებს რთავდა. „ხვალე ხვალს მოსდევს და წვრილ ნაბიჯით დღე დღის უკან მიიზღაზნება“ – პატივცემულო, აქ განა დღეები მიიზღაზნებიან არ უნდა ვთქვათ?”

„საქმეც ის არის, რომ „მიიზღაზნება“ უნდა იყოს. და თუ ღმერთი გწამთ, შენიშვნებს თავი დაანებეთ. განაგრძეთ“. ლანგერის ლოიალობამ ბატონ პროსერს თავი მოაბეზრა. შავი, მოკლედ შეკრეჭილი ხეშეში თმა ჰქონდა ამ ბიჭს და მართლაც ვიროხას ჰგავდა.

„დღე დღის უკან მიიზღაზნება. ვიდრე ჟამთ ბრუნვა უკანასკნელ საათს დაჰკრავდეს. გუშინდელთა დღეთ უგუნურებს გზა გაუნათეს. მიწად გარდამქცევს იკვდილამდე... ოჰ, შენ ხანმოკლე მანათობელო! გაჰქერ, გაჰქერ“.

პროსერი სკამიდან წამოხტა. „არა, არა! ეს ხომ პოეზიაა, ასე სად მიგეჩქარებათ! წამით მაინც შეჩერდით „უგუნურებთან!“ ჯეფრი ამჯერად მართლაც შემკრთალი ჩანდა. მარკს საკუთარი აღშფოთების მიზეზი თავად ვერ გაეგო. რას ერაოდა ამ ჭკვიან ბიჭს, ნუთუ მიზეზი გლორიას ბრამ-მორეული წამწამა და წყლიანი თვალები იყო, ჯეფრის მკაცრად რომ მისჩერებოდნენ? მიხვდა, სულელურად იქცეოდა. გლორიას პირად ანგარიშებს ჯეფრისთან ერთ-

გულ ყმასავით თვითონ ასწორებდა. მტყუანი კაცივით ამოიოხრა და კლასს მიუბრუნდა. „ლექსი – დაიწყო მან, – სტროფებისაგან შედგება“. გლორია პიტერ ფორსტერს წერილს აწვდიდა.

რა თავხედობაა, როგორ მოურიდებლად აწვდის წერილს. განა არ იცის, რომ ყველაფრის მიზეზი თვითონ არის? მარკმა გოგონას ნატიფი მაჯა ჩაბლუჯა, თითებიდან წერილი გამოსტაცა და მთელი ჯგუფის დასანახად წაიკითხა, თუმცა ამ ხერხის დიდი წინააღმდეგი გახლდათ.

„ფი-ი-იტ! – წერდა გლორია, – მე მგონი, ცდები. ბატონი პროსერი შესანიშნავი კაცია და საინტერესო რაღაცეებსაც გვასწავლის. პოეზია ხომ ნეტარებაა მისთვის. იცი, მიყვარს, გეუბნები, მართლა მიყვარს, კი, ასეა“.

ბატონმა პროსერმა წერილი დაკეცა და პიჯაკის გვერდითა ჯიბეში ჩააცურა. „გაკვეთილების შემდეგ დარჩებით, გლორია“, – თქვა მან. შემდეგ ჯეფრის მიუბრუნდა: „მოდით, ხელახლა სცადეთ, თავიდან დაიწყეთ“.

სანამ ჯეფრი საზეპიროს ამბობდა, ზარის ხმა გაისმა და ეს ბოლო გაკვეთილიც დასრულდა. სასწრაფოდ დაცარიელებულ ოთახში გლორიას მეტი არავინ დარჩენილა. კარადები აბრახუნდნენ, წიგნებს რკინის თაროებზე პარტყაპურტყი გაუდიოდა – ღრიანცელი ოთახში ისმოდა:

„ვინ არის მანქანით“?

„სიგო დამიადე, რა“.

„ამ გუბეში რა გაგვიყვანს!“

მარკმა ახლალა შეამჩნია, რომ კარგა მაგრად წვიმდა. ჭოკი აიღო და ფანჯრებს ჩამოუარა: ფარდები ჩამოუშვა. წვიმის ერთი შეხეფი ოთახში შემოხტა და ხელზე დაეცა. უხერხულობა რომ არ ჩამოვარდნილიყო, გოგონას ენერგიული ხმით გამოეცაუბრა. ფანჯრებსაც ხომ ასეთი თავგამოღებით სწორედ ამიტომ კეტავდა.

„ჰო, წერილობანას თამაში, – გოგონა წინა მერხზე გაუნძრევლად იჯდა. მოკლე, ზემოთ ავარცხნილი თმა სასიამოვნო იერს აძლევდა. შიშველი მკლავები მკერდთან მიეტანა, მხრები აეწურა, ეტყობოდა სციოდა, – წერილების ჯღაბნა, მაშინ როცა მასწავლებელი გესაუბრებათ, მარტო თავხედობა არაა, სიტყვების ქალაღმზე გადატანა სისულელეა და სისულელე ნაკლებ სულელური გამოჩნდებოდა, სიტყვები რომ წარმოგვეთქვა მხოლოდ“. მან ფანჯრის დასაკეტი ჭოკი კუთხეში მიაყუდა და თავისი მაგიდისაკენ გაემართა. „რაც შეეხება „სიყვარულს“, ეს ერთ-ერთი იმ სიტყვათაგანია, რომელიც შესანიშნავად გამოხატავს, თუ რა დაემართა ჩვენს ენას, როგორ გაუფასურდა იგი. დღეს ამ სიტყვით სარგებლობს ყველა კინოვარსკვლავი, ესტრადის მომღერალი, მქადაგებელი თუ ფსიქიატრი; შედეგი კი ისაა, რომ „სიყვარულმა“ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა და მხოლოდ რაღაც მქრქალი გრძნობის გამოხატველია დარჩა. ამ გაგებით მიყვარს წვიმა, ეს დაფა, ეს მერხები, თქვენ მიყვარხართ! ეს სრულიად არაფერს ნიშნავს, გესმით, მაშინ როდესაც თავის დროზე ამ სიტყვით გამოხატავდნენ აბსოლუტურ სიმართლეს – წყურვილს, გადაეშალათ გული, გაეზიარებინათ თავისი ჭირ-ვარამი იმისათვის, ვინც უყვარდათ. დრო კია მოგვეტანა ისეთი ახალი სიტყვა, რომელიც ამ გრძნობის აღმნიშვნელი იქნებოდა, და თქვენ, როდესაც შესაფერის სიტყვას გამოიხატავთ, გირჩევთ დაფიქრდეთ და არ გაცვითოთ ის. მოიქეცით ისე, თითქოს მისი წარმოთქმა ერთხელ შეგეძლოთ მხოლოდ – თქვენთვის თუ არა, ენის საკეთილდღეოდ მაინც. იგისაკუთარ მაგიდას მიუახლოვდა და ზედ ფანქრები დაყარა, თითქოს ამითი თქვა, მოვრჩიო.

„უკაცრავად“, – წარმოთქვა გლორიამ.

„რაო?“ – გაიკვირვა პროსერმა.

„მაგრამ თქვენ ვერ გაიგეთ“.

„ჰო, რასაკვირველია, ვერ გავიგე. ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებ. თქვენი ხნისა რომ ვიყავი, ჯეფრი ლანგერს ვგავდი“.

„მაგას ვერ დავიჯერებ!“ ცოტაც და გლორიას ცრემლები წამოსცვივდებოდა. პროსერი ამას ნათლად ხედავდა.

„რაო, გლორია, ჰმ, გაიქეცი, არაფერიც არ მომხდარა“.

გოგონამ თავისი წიგნები შიშველ მკლავში ნაზად მოიმწყვდია და ოთახიდან ქალიშვილისათვის დამახასიათებელი ტანის მელანქოლიური რწევით გავიდა. გეგონებოდათ, მერხის თავებზე მიცურავსო.

რა ამბავია ამ ბავშვების თავს, ფიქრობდა მარკი. მაინც რა უნდათ? წყნარი დინება, დაასკვნა ბოლოს, გინდა ჩაიქროლო აუღელვებლად, ისე რომ რიტმიდან არ ამოვარდე. პატარა ბორბლებს კი უმიზნოდ, რაკუნით მიჰყავხარ სადღაც. ჰმმმ, როგორა თქვა, ნეტარებააო მისთვის პოეზია, – ჭეშმარიტად! მათ უყვართ სამყარო. ნეტარებაა მათი სიმღერების დიდ ნაწილში.

„ღმერთო დიდებულო, ღიღინებს!“ – ფიზიკულურის მასწავლებელი სტრანქი, ოთახში შეუმჩნევლად შემოსულიყო. გლორიას კარი ღრიჭოდ დაეტოვებინა.

„ოჰ, – თქვა მარკმა, – ფრთადა მსხვრეული გულადი ანგელოსი“.

„რა დაგემართა, ასე რა ჯანდაბამ გაგამხიარულა?“

„ო... იტყვი ხოლმე...“

„მხიარულება კი არა, ნეტარებაა. ვერ ხედავ?“

ჭორით დამძიმებულმა სტრანქმა მერხებს შუა მისთვის შეუფერებელი ნაზი ნაბიჯით გამოიარა და მარკს ჰკითხა.

„იცი, რა დაემართა მერჩინსონს?“

„არა“, – ჩურჩულითვე გამოაჯავრა მარკმა.

„თავი მოეჭრა მაგ უბედურს“.

„კარგი ერთი!“

სტრანქმა, როგორც ყოველთვის ახლაც წინასწარ ატეხა სიცილი.

„რომ იცოდე, რა ახუნტრუცებულია“.

„ნეტა თუ მართლა ამბობ?“ – გაიკვირვა მარკმა, თუმცა იცოდა, სტრანქი ყველაზე ასე ლაპარაკობდა.

„გლორია ანგსტრომი შენ ჯგუფშია?“

„მერე?!“

„ჰოდა, ამ დილით მერკს ხელში გლორიას წერილი ჩავარდნია: ვითომ მერკი მაგარი ვინმეა და გლორია მასზე ჭკუას კარგავდეს, გესმის?!“ – სტრანქმა შეიცადა, იფიქრა, მარკი რამეს მეტყვისო, შემდეგ კი განაგრძო: – წამოგიდგენია საუბრის ხან გამოირკვა, რომ ასეთივე ამბავი გუშინ ისტორიის გაკვეთილზე ფრაიბერგსაც მოსვლია. – სტრანქმა გაიცინა და თითები გემრიელად გაატკაცუნა. – „ამას მართლაც გოგო ვერ მოიფიქრებდა. ყველას ჰგონია, რომ აქ პიტერ ფორსტერის ხელი ურევი“.

„შეიძლება ასეც იყოს“ – დაეთანხმა მარკი. სტრანქი არ მოეშვა და კარამდე მისდია, თან საცოდავი, ნირწამხდარი მერჩინსონის სახეს იხსენებდა, როცა მასთან ფრაიბერგი მივიდა და თურმე მიამიტურად გაენდო.

მარკი მიბრუნდა და კარადის გასაღებად ციფრები აკრიფა 18-24-3. „მაპატიე, დეივ, – თქვა მან, – ქალაქში ცოლი მელოდება“.

სტრანქი სქელკანიანი იყო და მარკის გაღიზიანებული კილო ამიტომაც გამოეპარა. „დარბაზში გადაბარგება მომიხდა, პატარებს წვიმაში, აბა, როგორ გავიყვან, დედიკოებს ხომ არ ავამხედრებ, – თქვა მან და წაკუნტრუშდა. დერეფნის ბოლოში კი შეჩერდა და მარკს გამოსძახა: – არაფერი წამოგცდეს, ხომ იცი, ვისთანაც!“

ბატონმა პროსერმა კარადიდან პალტო გამოიღო და მხრებზე მოისხა. ქუდი თავზე დაიდო, ვიწრო კალოშები ტუფლებზე გაჭირვებით მოირგო და საკიდიდან ქოლგა ჩამოხსნა. ცოტაც და აქვე, დაცარიელებულ ჰოლში ხუმრობით ქოლგას გაშლიდა. შემდეგ გადაიფიქრა. არა, იმ გოგოს ლამის ეტირა, ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა.

ხვალე ხვალს მოსდევს.

და წვრილ ნაბიჯით დღე დღის უკან მიიზღაზნება, ვიდრე ჟამთ

ბრუნვა უკანასკნელს საათს დაჰკრავდეს.

გუშინდელთა დღეთ უგუნურებს გზა გაუნათეს მიწად გარდამქცევ სიკვდილამდე... სიცოცხლე მხოლოდ ჩრდილი ყოფილა მოარული, ტაკი-მასხარა, რომელსაც ვიდრე დრო აქვს, ადის მაღალ სცენაზე და იჭიმება, იგრიხება მთლად გაქრობამდე. სულელი სენით მოთხრობილი ამბავი არის, თუმც უმნიშვნელო, მაგრამ სავსე აურზაურით.

მოთხრობის გზამკვლევი

ხანდახან მოსწავლეები სასტიკები არიან—ეს ყველა მასწავლებელმა იცის. მაინც რით გამოიხატება ხსენებული სისასტიკე? ალბათ, ყველაზე მეტად—დაცინვით. დაცინვა ხომ ისეთი სიკვდილია, როდესაც ჯერ ისევ ცოცხალი ხარ. დაცინვას თავისი „სახეები“ აქვს. შეიძლება პირდაპირ ადამიანს მოუძებნონ კორპორაციულად მიუტევებელი ხარვეზები, მაგრამ ამას მეტად მას ის დაამცირებს, თუ მის ღირებულებებს გააბიაბურებენ. რატომ ამბობს მაკბეტი, ერთი შეხედვით, უადგილო ადგილას და უდროო დროს: „ხვალე ხვალს მოსდევს და წვრილ ნაბიჯით დღე დღის უკან მიიზღაზნება, ვიდრე ჟამთ ბრუნვა უკანასკნელს საათს დაჰკრავდეს“? დღეს ვინმე ასე ლაპარაკობს?

უფროსკლასელებს თავისი სამყარო აქვთ. მათში მასწავლებლებს საკუთარი ფუნქცია, დანიშნულება და გამოხატულება ეძლევათ, თუმცა, შესაძლოა, არც ისე მნიშვნელოვანი. ყოველ შემთხვევაში, სიყვარულთან და თვითდამკვიდრებისა თუ აღიარების სურვილთან მასწავლებლები რას მოვლენ!

ბატონი პროსერი ლიტერატურას ასწავლის, ამჯერად — უილიამ შექსპირის „მაკბეტს“. მართლაც დამაინტრიგებელია, როგორ ეწვნის ტრაგედიის განხილვის პერიპეტეიები კლასში მოსწავლეებს შორის ან მასწავლებელსა და მოსწავლეთა შორის არსებულ განწყობებსა და დამოკიდებულებებს.

ახალგაზრდებში სიცოცხლე ცელქობს და საკმარისზე ხშირად მათ ხუმრობებს შედარებით უფროს თაობაში ფილოსოფიური გაგრძელებები აქვს — ყველასთვის ადვილად დასანახ ილუმბიას რომ ბადებს. გლორიას წერილს, მასწავლებლით აღტაცებას რომ გამოხატავს, რამდენიმე კაცი იღებს და ყველას მხოლოდ საკუთრივ თავისი ჰგონია. რამდენიმე ადამიანის სასიყვარულო ოცნება იმთა-

ვითვე სასაცილო გარსით იბადება. მოსწავლეები თავის მასწავლებლებს სახალისოდ და გასართობად ეთამაშებიან, რათა, ნებსით თუ უნებლიეთ, არა ლიტერატურით ან ხელოვნებით, არამედ რეალურად ასწავლონ, რომ რასაც მაკბეტი მისტირის და განიცდის, ლიტერატურულ ტექსტზე მეტად ცხოვრებას ახასიათებს.

ბატონი პროსერი გლორიას სიყვარულის მნიშვნელობის დაკარგვაზე ესაუბრება, მაგრამ გოგონასთვის ეს თითქოს მხოლოდ წინასწარ დაგეგმილი თამაშის ნაწილია. არავინ იცის, მასწავლებელი რომ დასაციანდ განწირულ სიყვარულზე ლაპარაკობს, გლორიას მართლა წამოსცვივდა ცრემლები თუ უბრალოდ ლიტერატურის მასწავლებელს დასცინოდა.

რა შეიცვალა „მაკბეტის“ დაწერის შემდეგ — აღარ არის სიცოცხლე ტაკიმასხარა, „რომელსაც ვიდრე დრო აქვს, ადის მაღალ სცენაზე და იჭიმება, იგრიხება მთლად გაქრობამდე“. ახალ დროსაც შეუძლია მასზე თქვას: „სულელის ენით მოთხრობილი ამბავი არის, თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ სავსე აურზაურით“.

ჰო, ასეა — რაღაც ყოველთვის ხდება, თუმცა ამ „რაღაცას“ ვილაცისთვის დიდი აზრი არ აქვს, სხვათათვის კი შესაძლოა საზრისით სავსე იყოს.

ნიჰილისტური ტექსტია? რა თქმა უნდა, მაგრამ — ძალიან დამაფიქრებელი. ასეთი ტექსტები ყოველთვის ბადებენ მთავარ კითხვას — მე სად ვარ, სიცოცხლის მდინარის რომელ ნაპირზე?

